ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

№121 (182) 31 მაისი - 7 ივნისი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

თქვენ ოქრუაშვილების, ბურჯანაძეების და გაჩეჩილაძეების არ გეშინიათ, თქვენ ქართველი ხალხის რისხვის გეშინიათ!

მართლაც, ეთნიკურად არაქართველი, ან შეურაცხადი უნდა იყოს ადამიანი, ან შუბლის ძარღვი უნდა ჰქონდეს გაწყვეტილი, რომ საკუთარი ხალხის (მაგრამ, ისიც საკითხავია, არის კი სააკაშვილისთვის ქართველი ხალხი “საკუთარი”?) ასე ვანდალურად დარბევის შემდეგ სახეზე უაზროდ ღიმილგადაკრული შედგე მაღალ ტრიბუნაზე და საზეიმო აღლუმი ჩაიბარო!

ალბათ ამიტომ, ის, რაც საზეიმოა სააკაშვილისათვის, ტრაგიკულია საქართველოსა და ქართველი ერისათვის!

ამაში უკვე აღარავის ეპარება ეჭვი!

არაქართველი მანქურთისათვის ქართველის ტანჯვა და დამცირება მხოლოდ დიდი სიამოვნების მომტანია!

26 მაისს კრიმინალური ხელისუფლების მიერ ბარბაროსულად ჩატარებულმა სადამსჯელო ოპერაციამ ორი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ, რა არის ორი დაღუპული იმ ხელისუფლებისათვის, რომელსაც სამოცდაათამდე უდანაშაულო ადამიანი ჰყავს გასტუმრებული იმ ქვეყნად, რომელიც წამებით ჰკლავს სანდრო გირგვლიანს და შუადღით, ქალაქის ცენტრში, დაუნდობლად ხოცავს ახალგაზრდებს?

ქართველი ხალხი არ გაჰყვა ნინო ბურჯანაძეს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ხალხმა ეს სააკაშვილისადმი სიყვარულის გამო გააკეთა. ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხი ბურჯანაძეს სააკაშვილზე მეტად არ ენდობა! სააკაშვილი ზურაბ შვანიამ მოიყვანა ხელისუფლებაში, რომელსაც დიდად არ ეხატა გულზე შევარდნაძე, ნინოს მამა – ანზორ ბურჯანაძე კი დღესაც შევარდნაძის ერთგული მეგობარია და მისი შვილის ხელისუფლებაში მოსვლა შევარდნაძის პრეზიდენტად დაბრუნების ტოლფასი იქნებოდა!

მაგრამ ნინო ბურჯანაძე მაინც მადლობელი უნდა იყოს სააკაშვილისა, იმიტომ, რომ ისიც ზურაბ შვანიასავით არ გაუყენა მოუსავლეთის გზას და მშვიდობიანად გაუშვა თანამდებობიდან. მთავარი კი მაინც ის არის, რომ ქართველების ხელისუფლებისადმი სიძულვილს და უნდობლობას “ნაციონალები” ჯიუტად მაინც რუსებს აბრალებენ!

აბა, საკუთარ თავს ხომ არ დააბრალებენ?

საქართველოში ახლოვდება საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი, მატულობს პოლიტიკური ტემპერატურა და აშკარად იკვეთება, თუ ვინ არის ნამდვილი ოპოზიცია და ვინ არის “ნაციონალთა” მიერ მოსყიდული ე.წ. “ოპოზიცია”.

მახსენდება, თუ როგორ პანიკაში ჩავარდნენ შევარდნაძე და მისი “მოქკავშირელები”, როცა ქართულ პოლიტიკაში “მოუსყიდავი” და პრინციპული ახალგაზრდა პოლიტიკოსი ალექსანდრე ჭაჭია გამოჩნდა. რა არ იღონეს მაშინ, რომ მისი ძალისხმევა გაენეიტრალებინათ: მოინდომეს მისი დაპატიმრება, დაუწვეს ავტომანქანა, ემუქრებოდნენ ღიად...

სწორედ მაშინ ამეკვიატა ის აზრი, რომ შევარდნაძეს და მის ხროვას ეშინოდა არა ერთი ადამიანის, უიარაღო და არც თუ დიდი ფინანსების მქონე ალექსანდრე ჭაჭიასი, არამედ ქართველი ხალხის რისხვის, რადგან კარგად იცოდნენ, რომ ხალხი ზურგს შეაქცევდა ცრუპენტელა შევარდნაძეს და მის ხროვას და გაჰყვებოდა გულწრფელ ალექსანდრე ჭაჭიას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მთელი მოქკავშირი განსასჯელთა სკამზე აღმოჩნდებოდა. მაგრამ, რა არის მოქკავშირელთა დანაშაული იმ ავკაცობასთან შედარებით, რაც “ნაციონალებმა” და მათმა “ბელადმა” სააკაშვილმა ჩაიდინეს ქართველი ერის წინაშე: უდანაშაულო ადამიანების ჩახოცვა ქალაქის ცენტრში, სანდრო გირგვლიანის მხეცური მკვლელობა, საქართველოს სტრატეგიული ობიექტებით დანაშაულებრივი ვაჭრობა, მთელი რიგი სასიცოცხლო დარგების მონოპოლიზება და ხალხის გაღატაკება, ქართველი ხალხის ზნეობისა და სულიერების უხეში ხელყოფა, დაუნდობელი ბრძოლა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ...

ახლა, როცა “ნაციონალთა” პოზიციები შეირყა ხალხისადმი მათი არაადამიანური დამოკიდებულების გამო და ისინი აშკარად ვერ არიან კარგ ხასიათზე, წამსვე დაიწყეს “კუდიანების” ძებნა რუსეთში და, რა თქმა უნდა, საქართველოს უპირველეს მტრებად დასახეს ხელმოცარული პოლიტიკოსები გაჩეჩილაძე, ოქრუაშვილი და ბურჯანაძე, იმ მოტივით, რომ ისინი რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან დაახლოებული ადამიანები არიანო!

“ნაციონალებისა” და სააკაშვილის შეშფოთებას აძლიერებს ისიც, რომ სააკაშვილის დიდმა “მეგობარმა” დონალდ ტრამპმა უარი თქვა ამერიკის პრეზიდენტობაზე არჩევნებში მონაწილეობაზე და ახლა, სააკაშვილი, როგორც იტყვიან, პოლიტიკურად მთლად “გაშიშვლდა”, რადგან, როგორც ცნობილია, ბარაქ ობამა მას დიდად არ წყალობს. სწორედ აქ იჩინა თავი “შევარდნაძის სინდრომმა”, რადგან სააკაშვილს და მის დანაშაულებრივ გარემოცვას ეშინიათ არა ოქრუაშვილების, ბურჯანაძეებისა და სხვა ძალაგამოცლილი პოლიტიკოსების, არამედ, ეშინიათ ჭაჭიასთანა მოუსყიდავი ოპოზიციონერების და ქართველი ხალხის რისხვის. ეს დადასტურდა 2008 წლის აგვისტოშიც, როცა მთელი ნაციონალური პარტია თავქუდმოგლეჯილი გარბოდა საქართველოდან და თან მიჰქონდა ნაძარცვ-ნაოხრალი ფული და ქონება.

ვფიქრობ, რომ მას შემდეგ, მათ არც კი ამოულაგებიათ ჩემოდნები და ახლა კვლავ მზად არიან ქვეყნიდან გასაქცევად, თუ, რა თქმა უნდა, მათ კეთილდღეობას რაიმე საფრთხე შეექმნება!

არა და საფრთხე შორს არ არის, რადგან “ნაციონალებისაგან” ყოველნაირად დაწიხლულ ქართველ ხალხს უკვე გადავსებული აქვს მოთმინების ფიალა!

იმდენად დამფრთხალები არიან სააკაშვილი და სააკაშვილისტები, რომ მათი მისამართით ნათქვამ ნებისმიერ ჭეშმარიტებას პირდაპირ მუქარად და ფაშისტურ გამოხტომად აფასებენ. მაგალითად, ამას წინ ჩვენ გამოვაქვეყნეთ დიდი ქართველი რეჟისორის რობერტ სტურუას ინტერვიუ, სადაც ხელოვანი ჩვეული გულწრფელობით, სავსებით უბოროტოდ და ნიშნისმოგების გარეშე ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილი სომეხიაო (ისიც არაერთგზის აღნიშნულა პრესაში, რომ ედუარდ შევარდნაძემ სომეხ მილიონერებს დიდ თანხად მიჰყიდა საქართველოს პრზიდენტის პოსტი, სადაც მათ სააკაშვილი დასვეს და საგანგებო დავალებით აღჭურვესო, რომელიც, ბუნებრივია, საქართველოს სასიკეთოდ არ იქნებოდა მიმართული). აი, ნაწყვეტი რობერტ სტურუას ინტერვიუდან:

“...ბათუმში გახლდით. თქვენ გგონიათ, ეს გზები გაკეთებულია? აღმოჩნდა, რომ უკვე გაფუჭებულია ყველაფერი. ავტობანის შემდეგ ყოველგვარი გამაფრთხილებელი ნიშნის გარეშე იწყება გაფუჭებული გზები. კინაღამ ავარიაში მოვყევით. უგემოვნობის გარდა, არაფერია გაკეთებული. ბათუმი „თურქულ ჩეჩმუსად“ გადააქციეს.

– ეს დამოკიდებულებაა გასაკვირი, რაღაც სიყვარული შენი ხალხისადმი, რომ შენიანია, არ უნდა ჰქონდეთ? (კორესპონდენტის შეკითხვა).

– სომეხია და რა ვქნათ... ეს ხომ არ არის დამალული?

– თავად უარყოფს ამას. ეს გასაგებია, მაგრამ იყოს სომეხი! იყოს შუშანიკი – ფეხებს დავუკოცნით. უდიდესი შანსი ჰქონდა, დიდი პიროვნება გამხდარიყო... (კორესპონდენტის განმარტება).

– მერე ეგ შუშანიკივით ექცევა საქართველოს? – ამიტომ არის ეჭვი, რომ რასაც აკეთებს, დაავალეს.”

ატყდა, მაგრამ რა ამბავი ატყდა – სტურუა ლამის ფაშისტად შერაცხეს. თუ ასეა, მაშინ, გამორიცხული არ არის, რომ ნაციონალებმა სულმნათი იაკობ გოგებაშვილიც ფაშისტად შერაცხონ, რადგან მან ას წელზე მეტი ხნის წინ თქვა – სააკაშვილი სომეხიაო! აი, ფრაგმენტი იაკობ გოგებაშვილის მოთხრობიდან “თავდადებული მღვდელი თევდორე”: “...თათრების ჯარის შემოსევაზე გორში სრულიად არაფერი იცოდნენ, ისე მოულოდნელი იყო ყველასთვის ეს შემოსევა. ამიტომ, გორიდან არხეინად მოდიოდა ცხენით სომხის მღვდელი სააკაშვილი სოფელ დოესში, სადაც ქართველებთან ერთად სომხებიც ცხოვრობდნენ და მიწერილნი იყვნენ გორის მრევლზე...” (ი. გოგებაშვილი, “საგანძური”, მეორე გამოცემა, გამომცემლობა “განათლება”, თბილისი, 1980 წელი, გვ.364, ქვეთავი “გორი გადაურჩა თათრებსა”).

მაგრამ იაკობ გოგებაშვილი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოიხსენიებს “იმ” სომეხ სააკაშვილს, რომელმაც გლეხებს ხიდი ააყრევინა და ასე გადაარჩინა რამდენიმე ქართული სოფელი თურქებისაგან აწიოკებას. იგივეს ვერ ვიტყვით “ამ” სომეხ სააკაშვილზე, რომელიც თავად აწიოკებს საქართველოს მოსახლეობას და აუტანელ პირობებში ამყოფებს მას, თავად კი საკმაოდ ხელგაშლილად ცხოვრობს, არც მილიონიან სრა-სასახლეებს იკლებს, არც მილიონიან თვითმფრინავებს და ვეებერთელა ამალით უაზროდ მოგზაურობს მთელ მსოფლიოში.

ამრიგად, ვერც იაკობ გოგებაშვილს და ვერც მთლიანად ქართველ ხალხს ვერავინ დაადანაშაულებს რასიზმსა და სხვა ერების მიმართ ეთნიკურ და რელიგიურ შეუწყნარებლობაში. ჩვენ რომ სომხები სომხობის გამო გვძულებოდა, მაშინ საქართველოში მშვიდად (ბედნიერად ჩვენ ვერ ვცხოვრობთ და სხვები როგორ იცხოვრებენ?) ვერ იცხოვრებდა ნახევარ მილიონამდე სომეხი, ასევე ვერ იარსებებდნენ ჩვენს გვერდით აზერბაიჯანელები, ოსები, ბერძნები, რუსები, უკრაინელები, ესტონელები, აისორები... ჩვენ მხოლოდ იმ სომხებსა და არაქართველებს ვამხელთ და ვეწინააღმდეგებით, რომლებიც ქართულ ქურქში გახვეულები ებრძვიან დაუნდობლად ქართულ მდიდარ ტრადიციებს, სულიერებას, ზნეობრიობას, რელიგიურ ფასეულობებს...

ჩვენ მოწიწებით ვინახავთ იმ არაქართველ საქართველოს მოქალაქეთა ხსოვნას, რომლებიც საქართველოს ერთიანობისათვის გამართულ ბრძოლებს შეეწირენ!

პირიქით, ეს სომეხმა მიხეილ სააკაშვილმა გამოიჩინა პატარა კაცობა, რადგან (ალბათ მისი მოგვარის სომხობაში მხილების გამო) იაკობ გოგებაშვილის მრავალი ნაწარმოები ამოიღო ქართული სკოლებიდან! ახლა თავად განსაზღვრეთ, ვინ არის რასისტი – სააკაშვილის სომხობაში მამხილებელი რობერტ სტურუა თუ ქართველის ქურქში გახვეული მიხეილ სააკაშვილი! მან კარგად იცოდა, რომ ქართველი ადამიანი არასოდეს შეებრძოლებოდა სკოლებში იაკობ გოგებაშვილის სულს და ამიტომ, ეს უმსგავსო საქმე არაქართველი განათლების მინისტრის შაშკინის ხელით გააკეთა!

ბუნებრივია, რომ სააკაშვილს არ ეჯავრება ის ქართველი ხალხი, რომელიც მის ნამდვილ ეთნიკურ ფესვებს ამხელს და ამით აკეთებს დასკვნას, რომ მისი საქართველოს საწინააღმდეგო ყველა ქმედება არ არის მხოლოდ უმწიფარი პოლიტიკოსის შეცდომა და იგი წინასწარ შეკვეთილია გარკვეული გარე ძალების მიერ, რომელსაც საქართველოს განადგურება აქვს განზრახული.

სხვაგვარად როგორ გავიგოთ ის, რომ უიმედობის სიმბოლოდ ქცეული საქართველო ლუკმა-პურის მაძიებელი გაღატაკებული მოსახლეობისაგან იცლება და მათ ადგილს უცხო თესლი იკავებს!

სხვაგვარად როგორ გავიგოთ ის, რომ სააკაშვილის შეგნებული პროვოკაციით დაკანონდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა, აჭარა კი სომეხი ეროვნების წარმომადგენლებით გაივსო?

განა დანაშაული არ არის ის, რომ გოდერძის უღელტეხილზე გზის გაჭრით ახალი პროვოკაციის საფრთხის წინაშე აყენებ საქართველოს?

განა ედუარდ შევარდნაძის მიერ როკის გვირაბის გაჭრამ არ დაგვაკარგვინა სამაჩაბლო?

თუ შეგნებულად არ მტრობ ქართველ ხალხს და სისულელის გამო იმეორებ წარსულის შეცდომებს, მაშინ რა გინდა ქვეყნის ხელისუფლებაში?

ამიტომ გძულთ და გეშინიათ ქართველი ხალხის, რომ თანდათან აკნინებთ და ძირს უთხრით საქართველოს!

წარმომიდგენია, როგორი შიშის ფეთება აგიტყდებათ, როცა ქართულ პოლიტიკაში ბატონი ალექსანდრე ჭაჭია გამოჩნდება! ამიტომ, კიდევ ერთხელ გიმეორებთ: “თქვენ სწორედ ჭაჭიასთანა პატრიოტი პოლიტიკოსის და ქართველი ხალხის რისხვის გეშინიათ!”

მაგრამ, როგორც დიდი შოთა ამბობდა: “შიში ვერ იხსნის...”

ამიტომ, დროზე მიხედეთ თავს, თორემ, მერე ნახეთ თქვენ დაღრეჯილობა, ჰალსტუხების ღეჭვა და ცხვირით მიწის ხვნა!

არც იმის იმედი გქონდეთ, რომ ვინმე გამოგესარჩლებათ!

P.S. *რაც შეეხება მავანთა მიერ რობერტ სტურუას მაგინებლებს და სააკაშვილის დამცველებს – აქაოდა სტურუამ სააკაშვილს შეურაცხყოფა მიაყენა იმიტომ, რომ სომეხი უწოდაო, ვერ გამიგია, რატომ უნდა იყოს შეურაცხყოფა ის, რომ ეთნიკურ სომეხს სომეხი უწოდო. ამით ხომ ამ ვაიდამცველებმა მთელ სომეხ ერს მიაყენეს შეურაცხყოფა იმიტომ, რომ სომხობა პიროვნების შეურაცხყოფად ჩათვალეს. რაც შეეხება ფარაჯანოვს, მან ზუსტად ისეთი “მადლიერება” გამოავლინა ქართველი ერის მიმართ, როგორც ეს თავის დროზე გააკეთა მოჭადრაკე ტიგრან პეტროსიანმა. მათ ყველაფერი მიიღეს საქართველოსაგან, რათა მსოფლიოში სახელმოხვეჭილები გამხდარიყვნენ, შემდეგ კი ქართული მადლი დაივიწყეს და “მშობლიურ” სომხურ მიწაში განსვენება ისურვეს.*

იქამც ყოფილან!

კიდევ ერთი P.S. *ახლახან აბაშაში ახალი საავადმყოფოს საავადმყოფოს გახსნაზე ჩასულმა სააკაშვილმა (ესეც ალბათ ისეთივე ბლეფია, როგორც ხობში “გახსნილი” საავადმყოფო, რომელიც აღარ ფუნქციონირებს) ყინჩად განაცხადა: “მეც აქედან ვარო”! არ მეგონა, თუ აბაშა სომხეთის ერთ-ერთი რაიონი იყო.*

ასე რომ, ცავატანემ, აბაშელებო-ჯან!

(უზომოდ დამფრთხალი “ნაციონალური” ხელისუფლების მიერ 2011 წლის 26 მაისის ღამეს მომიტინგეთა მხეცურად დარბევასა და შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე დაწვრილებით მოვუთხრობთ მკითხველებს ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში)

იერი
ეროვნული
ინფორმაციის

მკითხველის თვალსაზრისი — "მეგრელთა საქმე"-ზე

"მეგრელთა საქმე" ლენინგრადის ექიმთა საქმეების შემდეგ გახმაურებული მოვლენაა საბჭოთა სისტემაში, რომელიც იოსებ სტალინის სახელთანაა დაკავშირებული.

"მეგრელთა საქმე" 1951-1953 წლებში შეითხზა და იგი 26 ტომისაგან შესდგება. მის გარშემო უამრავი გამოკვლევა, წიგნი, სტატია, დაპატიმრებულთა მოგონებები გამოქვეყნდა. საინტერესო სტატიები, მოგონებები გამოაქვეყნეს საქართველოს კპ ჩხოროწყუს რაიკომის ყოფილმა პირველმა მდივანმა მამანტი პაჭკორიამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა პირველმა მდივნებმა კანდიდ ჩარკვიანმა და ალიოშა მირცხულავამ, საზოგადო მოღვაწე გერმანე ფაცაციამ. 2000 წელს დაისტამბა ვალიკო შონიას წიგნი **"დანაშაული ერის წინაშე, ანუ როგორ შეითითხნა "მეგრელთა საქმე"**. იურისტმა ჯემალ შონიამ 2002 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი **"სამხელი მეგრელთა ნაციონალისტური ჯგუფისა და საქართველოდან მტრული ელემენტების გადასახლების შესახებ"**. 2005 წელს დაიბეჭდა ალვენ (ალეკო) ასლანიშვილის მეტად საინტერესო წიგნი **"მეგრელთა საქმე"**. სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აკაკი მგელაძისა და უშუალოდ რეპრესირებულ პირთა წერილები. მასზე, აგრეთვე, უამრავი სტატიაა დაბეჭდილი ცენტრალურ პრესაში. **"მეგრელთა საქმის"** არსზე პუბლიკაციებში ერთიანი აზრი არ არსებობს, ამიტომ გადავწყვიტე აღნიშნული სტატიის გამოქვეყნება.

"მეგრელთა საქმის" უშუალო მომსწრე თვითონ ვარ. ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც აღნიშნული საქმის გამო პარტიული არქივის მასალები დაამუშავა, მე გახლდით. ჩემი საკანდიდატო დისერტაციის თემა იყო **"საქართველოს კომპარტიის იდეოლოგიური მუშაობა ომის შემდგომ წლებში"**, რომელშიც ერთი თავი ჰქონდა დათმობილი **"მეგრელთა საქმეს"**. მოძიებული მასალების ნაწილი გამოქვეყნებულია იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. საარქივო მასალების დამუშავების გარდა უშუალო შეხვედრები მქონდა მიხეილ ბარამიასთან, კონსტანტინე ჭიჭინაძესთან, მამანტი პაჭკორიასთან, გრიგოლ ჩაჩიბაიასთან, ანტიფო ჭეჟიასთან, კანდიდ ჩარკვიანთან. პირადად მეც გადამიარა **"მეგრელთა საქმის"** აჩრდილმა, რადგან 1951 წლის ოქტომბრიდან 1952 წლის სექტემბრამდე ვმუშაობდი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სტუდენტ-ახალგაზრდობის განყოფილების ინსტრუქტორად. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად მამია მეგრელიშვილის დანიშვნის შემდეგ მეგრული გვარის მქონე ყველა თანამშრომელი გაანთავისუფლეს, მათ შორის მეც. 1952 წლის სექტემბერში პარტიის ჩხოროწყუს რაიკომში დავიწყე მუშაობა, რომელიც მთელი 35 წელი გაგრძელდა. პარალელურად დაუსწრებლად დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა საქართველოს ისტორიის სპეციალობით.

ვინ მოიფიქრა "მეგრელთა საქმე"

საინტერესოა როგორ დაიწყო, ან ვინ მოიფიქრა მეგრელთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გაჩაღება. **"მეგრელთა საქმის"** თაობაზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების ავტორთა უმრავლესობა მთავარ მოქმედ პირებად საქართველოს უშიშროების მინისტრს ნიკოლოზ რუხაძეს და საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს აკაკი მგელაძეს მიიჩნევენ, რასაც არ ვეთანხმებით. რუხაძე და მგელაძე ამ საქმის ტექნიკური აღმსრულებლები და გამყალბებლები იყვნენ. ბუნებრივია, ეს პროცესი სტალინის გარეშე არ მოხდებოდა და იგი თავიდან ბოლომდე მის სახელთან არის დაკავშირებული.

"მეგრელთა საქმე" ასე დაიწყო – სტალინი 1951 წლის აგვისტოში ბორჯომში ისვენებდა. აქ მას ეახლნენ მისი ყრმობის მეგობრები ვასო ეგნატაშვილი – უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი და გიორგი ელისაბედაშვილი – სოციალური უზრუნველყოფის ყოფილი მინისტრი, რომელიც ბარამიამ გაანთავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან. მათ შესჩივლეს სტალინს, რომ საქართველოში ყველა პასუხსაგებ თანამდებობებზე მეგრელები მუშაობენო, მათ აწინაურებს და მფარველობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი მიხეილ ბარამიაო. ზემოდან კი ბარამიასა და მის ჯგუფს ლავრენტი ბერია იცავსო. სტალინი ამ დროისათვის ბერიასთან მწყრალად იყო და საბაბს ეძებდა მის ჩამოსაშორებლად. ბერია აღნიშნულ პერიოდში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. ერთ პერიოდში სტალინს ბერია თავის მემკვიდრედ მიაჩნდა, მან 1950 წლის 15 დეკემბერს პოლიტბიუროს სხდომაზე თავის შემცვლელად ლავრენტი ბერია დაასახელა, მაგრამ აღნიშნულ წინადადებას პოლიტბიუროს წევრთა უმრავლესობა არ დაეთანხმა, რადგან ისინი კეთილი თვალით არ უყურებდნენ მას. ამის შემდეგ თანდათან იცვლება სტალინის დამოკიდებულება ბერიასადმი და მათ შორის ბზარი ჩნდება. სტალინს არ მოსწონდა ბერიას მიერ გატარებული რეფორმები, მან სტალინთან შეუთანხმებლად რამდენიმე პოლიტპატიმარი გაანთავისუფლა. ბოლო დროს სტალინი უნდობლად ეკიდებოდა პოლიტბიუროს სხვა წევრებსაც: მან ასპარეზიდან ჩამოიშორა მოლოტოვი და მიქოიანი, შემდეგ უშიშროების მინისტრობიდან გაანთავისუფლა ბერიას მარჯვენა ხელი აბაკუმოვი და აღნიშნულ პოსტზე დანიშნა მისდამი მტრულად განწყობილი იგნატიევი.

ბორჯომიდან სტალინი წყალტუბოში გადავიდა დასასვენებლად, მას აქაც ეახლნენ ეგნატაშვილი და ელისაბედაშვილი, რომლებმაც პაკეტი გადასცეს, სადაც წერილობით იყო დაფიქსირებული კონკრეტული ფაქტები ბარამიას ჯგუფის საქმიანობაზე, რომელიც მათ რუხაძემ მიაწოდა. ამასთან უთხრეს სტალინს, რუხაძე უფრო დაზუსტებულ მასალებს მოგაწვდითო. წყალტუბოს შემდეგ სტალინმა დასვენება ახალ ათონში გააგრძელა, აქ მასთან მოვიდნენ რუხაძე და მგელაძე რომელთაც ასევე წერილობით გადასცეს მთელი რიგი შეთითხნილი და გაყალბებული მასალები მეგრელებზე. მგელაძეს ადრეც გამოუთქვია სტალინთან საყვედური ბარამიასა და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა მხრივ სისხლის სამართლის დამნაშავეთა მფარველობაზე. სტალინი გაეცნო მასზე მიწოდებულ ყველა მასალას, გააანალიზა იგი, შემდეგ დაიბარა თავისი თანაშემწე პოსკრებიშევი და დაავალა მოემზადებინა სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ტექსტი **"საქართველოში მექრთამეობისა და ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ"**. ამასთან, დადგენილების შინაარსი თვითონ უკარნახა. ასე შეიქმნა სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 9 ნოემბრის დადგენილება, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის გვერდის ავლით მომზადდა.

მას დადგენილება 10 ნოემბერს გამოუგზავნეს, რათა იგი ბიუროს წევრებისათვის გაეცნო და პლენუმი მოემზადებინა.

სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 9 ნოემბრის დადგენილება და მისი განხორციელების პირველი ღონისძიებანი

სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 9 ნოემბრის დადგენილების არსი შემდეგში მდგომარეობდა: საქართველოში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მექრთამეობასთან ბრძოლა. მათ მფარველობს ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც სათავეში ბარამია უდგას. ჯგუფში შედიან – იუსტიციის მინისტრი რაფავა, საქართველოს პროკურორი შონია, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ჭიჭინაძე და კუჭავა (შემდგომში, 1951 წლის 6 დეკემბრის პოლიტბიუროს დადგენილებით, კუჭავა ამოღებული იქნა დამნაშავეთა სიიდან, როგორც შეცდომით მოხვედრილი). ბარამიას ჯგუფის მიზანია ხელში ჩაიგდოს ყველა საკვანძო პოსტი და იქ დანიშნოს მეგრელები, ცეკას აპარატი მეგრელთა ხელშია. ეს ჯგუფი დაკავშირებულია ჯაშუშურ ქართველ ემიგრაციასთან პარიზში (ჟორდანია, გეგეჭკორი), რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციას. დადგენილია ბარამიას ჯგუფის საქმიანობა, წინადადება მიეცათ საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, გამოიკვანოს ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან და თანამდებობიდან მოხსნას რაფავა, შონია და ანტიპარტიული ჯგუფის სხვა მონაწილენი.

პოლიტბიუროს სხდომის ოქმის დედანში სტალინის შესწორებით არის აღნიშვნა, რომ დადგენილებას არ ახლავს მასალები. გამოდის რომ დადგენილება ერთი ადამიანის მოფიქრებულ-დაწერილია, იგი გახლავთ სტალინი. პოსკრებიშევმა ის უშუალოდ მისი კარნახით შეადგინა, რომელშიც გამოყენებული იყო მგელაძისა და რუხაძის მიერ შეკოწიწებული სიმართლეს მოკლებული ყალბი და გამოგონილი ფაქტები. ბუნებრივია, **"მეგრელთა საქმე"**, საბოლოო ჯამში, პირველი მეგრელის – ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ იყო მიმართული.

1951 წლის 10-11 ნოემბერს გამართულმა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოხსნა მიხეილ ბარამია მეორე მდივნის პოსტიდან, სამუშაოდან მოიხსნენ აგრეთვე რაფავა და შონია, რომლებიც მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მოიხსნენ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები კონსტანტინე ჭიჭინაძე, ვლადიმერ კუპრავა და სხვები. პლენუმზე ბარამიას სიტყვით გამოსვლის უფლებაც არ მისცეს, მხოლოდ განცხადება გააკეთა ხუთი წუთით და კატეგორიულად უარყო წაყენებული ყველა ბრალდება. პლენუმზე სტალინის მითითების შესაბამისად შეიქმნა პარტიის ქუთაისისა და თბილისის საოლქო კომიტეტები, რომლებიც სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1953 წლის აპრილში გაუქმდა.

გამოძიება, დაპატიმრებები

მეგრელთა საქმესთან დაკავშირებით პირველ ხანებში გამოძიებას უშუალოდ აწარმოებდნენ: ნიკოლოზ რუხაძე, მისი მოადგილე მირიან თავდიშვილი, გამომძიებლები – ქესანაშვილი, კუციავა, სტეფანოვი. შემდეგ ქართველ გამომძიებელთა დასახმარებლად 1952 წლის იანვარში სსრ კავშირის უშიშროების სამინისტროდან ჩამოვიდნენ განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა საგამომძიებლო ნაწილის პასუხისმგებელ მუშაკთა ათკაციანი ჯგუფი, უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკ ცეპკოვის ხელმძღვანელობით. გამოძიებას კონტროლს უწევდა მიხეილ რიუმინი – **"ექიმთა საქმისა"** და **"ლენინგრადის საქმის"** ფალსიფიკაციის დიდოსტატი. გამოძიება 15 თვე გრძელდებოდა.

დაპატიმრებები დაიწყო 1951 წლის ნოემბერში. პირველ რიგში დააპატიმრეს მიხეილ ბარამია. შემდეგ, სხვადასხვა დროს დაპატიმრებულ იქნენ კონსტანტინე ჭიჭინაძე, ვახტანგ კუპრავა, პეტრე შარია – ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები; აქვსენტი რაფავა – იუსტიციის მინისტრი, ვლადიმერ შონია – პროკურორი, გრიგოლ კარანაძე – შინაგან საქმეთა მინისტრი; სამეგრელოს რეგიონის პარტკომის მდივნები: გრიგოლ ჩაჩიბაია – ზუგდიდი; ალექსანდრე კვარაცხელია, ვალერიან გუნავა – ცხაკაია; მიხეილ კვარაცხელია – წალენჯიხა; გრიგოლ კოკაია – ფოთი; მიხეილ სორდია – ხობი; პართელ კორთხონჯია – გეგეჭკორი; სევერიანე ებრალიძე –აბაშა; მამანტი პაჭკორია – ჩხოროწყუ; ანტიფო ჭეჟია – გალი; ვლადიმერ სიჭინავა – ზემო სვანეთი; კირილე ბეჭვაია – აჭარის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი; ნინა ჟვანია – თბილისის ორჯონიკიძის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი; ალიოშა მირცხულავა – სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ინსპექტორი; მარიამ ჭკადუა – საქართველოს კპ (ბ) ცეკას ყოფილი ინსპექტორი; აკაკი კილასონია – აჭარის საოლქო კომიტეტის ყოფილი განყოფილების გამგე; რაფიელ კვირკველია – საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი; ე. კალანდია – აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე; გ. პაპასქუა – აფხაზეთის ასსრ ჯანდაცვის მინისტრი; ე. ჯიქია – ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე; გ. გობეჩია – ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე; ვ. ბეჭვაია – ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე; ლ. გაბისონია – უშიშროების სამინისტროს ზუგდიდის განყოფილების უფროსი; ი. რაფავა – რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე; კ. ბზიავა – გენერალ-მაიორი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კონტრდაზვერვის უფროსი; კ. რეკვავა – ფოთის პორტის უფროსი; ლიდა ბარამია – მიხეილ ბარამიას და; შურა იოსავა – მიხეილ ბარამიას მეუღლე; დააპატიმრეს აგრეთვე მეგრული გვარის მქონე სხვა პასუხისმგებელი მუშაკები. დაპატიმრებულთა რიცხვმა ასს გადააჭარბა.

ვალერიან ახალაია,
ჩხოროწყუს ისტორიული მუზეუმის
მეცნიერ-მუშაკი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

არნო ხიდირბეგიშვილი: „და წვიმა ყველა ნაკვალევს შლის...

ძვირფასო მკითხველებო! საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“ მუდამ გატყობინებდათ „სახალხო კრების“ საპროტესტო აქციის შესახებ: თბილისსა და ბათუმში, თავისუფლების მოედანზე დედაქალაქში, საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობასთან და რუსთაველის პროსპექტზე, საქართველოს პარლამენტის შენობის წინ, სადაც მიმდინარეობდა მოვლენები, ჩვენი ბედკრული და მშვენიერი სამშობლოს ბედს დიამეტრულად რომ ცვლის.

დიახ, აქ, გოლგოთად ქცეულ ადგილას, ჩვენ, ქართველები, ტრადიციულად ვხოცავთ ერთმანეთს, ბოლო წუთებში ჩვენს გონზე მოყვანას ლამობს პატრიარქი, რომლისაც, ასევე ტრადიციულად, არ გვესმის...

ისტორია ყველა ამ მოვლენას თავისებურად შეაფასებს: „სისხლიან კვირად“ მონათლულ 1989 წლის 9 აპრილს, 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის „რევოლუციას“, 2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციასა“ და გუშინდელ – 2011 წლის 26 მაისის ტრაგედიას *(როცა, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ კოლექტივისდა სამწუხაროდ, მოვლენები ჩვენი სააგენტოს მიერ 24 მაისისა და 25 მაისის ანალიტიკურ მასალებში პროგნოზირებული სცენარის მიხედვით წარიმართა, მცირეოდენი და მეორეხარისხოვანი კორექტივებით).*

თუმცა დღეს უკვე დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ: 2011 წლის 26 მაისს საქართველოში კვლავ ადგილი ჰქონდა მოვლენას, რომელმაც კარდინალურად შეცვალა მისი ისტორია და დამოუკიდებლობის დღის 20 წლის იუბილე გლოვის დღედ აქცია! განა 20 წლის წინათ ან, თუნდაც, გუშინ ვინმე ივარაუდებდა, რომ 1989 წლის 9 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე საპროტესტო აქციის დამრბევი გენერალ როდიონოვის სპეცრაზმი სიმფონიური ორკესტრის მევიოლინეებად მოგვეჩვენებოდა საქართველოს შსს სპეცრაზმთან შედარებით, რომელმაც წუხელ ღამის სადამსჯელო სპეცოპერაცია იმავე ადგილას ჩაატარა?!

დაშლა კი არა, სწორედაც რომ სადამსჯელო სპეცოპერაცია განახორციელეს ღამით ჩვენმა უშიშარმა პოლიციელებმა საკუთარი უიარაღო ხალხის წინააღმდეგ, გულგრილად რომ შემოარტყეს ალყა მომიტინგეთა პერიმეტრს და ყველა მხრიდან ერთდროულად თავს დაესხნენ, წამოეწეოდნენ რა და გზადაგზა ხელთ იგდებდნენ – რეზინის ხელჯოხებით, მუშტებით, რეზინის ტყვიებით, წყლის ჭავლით ცელავდნენ და წამლავდნენ მხუთავი გაზით!

დიახ, თბილისის ცენტრში გუშინ იყო გაზის სექტორი, მაგრამ კვამლის საფარმა ვერ დაფარა საშინელი რეალობა:

– რომ პოლიციელები, სპეცრაზმი – ესეც ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი შვილები და ქართველები არიან: დღევანდელი დღიდან უკვე აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ისინი არიან გამოწვრთნილი ტერმინატორები, რომლებიც თავიანთი ხელმძღვანელობის ბრძანების შემთხვევაში მზად არიან, მოკლან მშობელი დედა!

– რომ ამერიკის შეერთებული შტატები – საქართველოს მეგობარი და პარტნიორია: დღეიდან ნებისმიერი ქართველისთვის, რომელსაც აზროვნება ჯერ კიდევ შერჩენია, ჯონ ბასი და შაჰ აბასი არის ერთი და იგივე! აშშ-ის ელჩს საქართველოში, ულვაშითა და „ბლანჟე“ წვერით ძალიან რომ ჰგავს ირანის იმ შაჰს, წუხელ ერთი სიტყვით შეეძლო სისხლისღვრის შეჩერება, თუმცა ეს არ გაუკეთებია. უფრო მეტიც – ტრაგედიამდე ორი საათის წინ მოიწონა ხელისუფლების თვითნებობა, როცა სატელევიზიო განცხადებაში დემონსტრანტები მონათლა რადიკალებად, *„რომლებიც ცდილობენ, გამოიწვიონ დაძაბულობა და კონფრონტაცია“*, ანუ – დესტრუქციულ, საზოგადოებისათვის საშიშ და გასანეიტრალებელ ელემენტებად!

ამგვარად აშშ-მ 2011 წლის მაისში მორიგ ჯერზე უგანა პრეზიდენტ სააკაშვილს (როგორც 2008 წლის აგვისტოში, როცა არ გადაათქმევინა, დაეწყო საომარი მოქმედებები), რადგან ის თავისი უზომო ამბიციებითა და რუსეთთან მტრობით ამერიკისთვის მიუღებელი ხდება. მის გამო საქართველოს ვერ იღებენ ნატოში, რადგანაც საქართველოს წევრობის შემთხვევაში სააკაშვილი ალიანსისგან მოითხოვს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დახმარებას, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას რუსეთთან ომის გზით. ამიტომ ვაშინგტონმა სასწრაფოდ უნდა მოახდინოს მიშას დისკრედიტაცია, თანაც კომპრომატი არანაირად არ უნდა უკავშირდებოდეს რუსეთს. ამისათვის სააკაშვილი ჯერ სომხად გამოაცხადეს (ტელეკომპანია „იმედი“, 2011 წლის 19 მაისი, „ქრონიკა“ 20:00 სთ.), საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, კი აიძულეს, დაეღვარა ხალხის სისხლი, რითაც სისხლიან დიქტატორად გამოაცხადეს.

თუმცა მიშა იმიტომაცაა მიშა, რომ მოვლენებს მაინც „მტრისა და ოკუპანტის“ საწინააღმდეგოდ შემოატრიალებს: „რუსი ჯაშუშებისა და საქართველოში რუსეთის ძირგამომთხრელ საქმიანობაზე მორიგ სერიას შემოგვთავაზებენ და დაპატიმრებებსაც განახორციელებენ.

შეგნებულად არაფერს ვამბობთ დარბეულ ოპოზიციაზე – მათ მიზნებსა და ტაქტიკაზე საკმარისია ნათქვამი ო „საქინფორმის“ ზემოხსენებულ პუბლიკაციებში. დავძენთ მხოლოდ, რომ ის პოლიტიკოსები, ვისაც გუშინ ჭკუა, მოქალაქეობრივი გამბედაობა და პატრიოტიზმი ეყო, საპროტესტო აქციას შეერთებოდა, თავისი სისხლით მოიპოვა საგზური საქართველოს ხვალინდელ დღეში, ყველა დანარჩენმა კი დაამტკიცა, რომ ნებისმიერი მოქმედი ხელისუფლების ანტურაჟად და ნამდვილ ქართველ პოლიტიკოსად დარჩა. მფრინავებს აქვთ ასეთი ცნება – „არდაბრუნების წერტილი“: ასე უწოდებენ სიტუაციას, როცა აფრენისას, ტექნიკური გაუმართაობის აღმოჩენის შემთხვევაშიც კი, თვითმფრინავის გაჩერება არ შეიძლება. ჰოდა, გუშინ თავისი არდაბრუნების წერტილი გამოსცადა საქართველოში ყველამ – ხელისუფლებამაც, ოპოზიციამაც და საზოგადოებამაც.

წუხელ თბილისში, თითქოსდა სააკაშვილის შეკვეთით, ძლიერი თავსხმა წამოვიდა – წვიმა ხომ ყველა ნაკვალევს შლის, თუნდაც ის სისხლიანი ნაკვალევი იყოს...

რობიკო სტურუა ქსენოფობი კი არა, ნაცების ყელში გაჩხერილი ძვალია!

ანუ, კაცი, რომელსაც დიდი ხანია სიამოვნებით ჩაწიხლავდნენ, ჩარეცხავდნენ, როგორც არა ერთი და ორი გაუნადგურებიათ სხვადასხვა მეთოდით. მაგრამ იგი არც ვინმე პოლიტიკოსია, რომ პრეზიდენტობის სურვილი დასწამო, არც ზურაბ ნოღაიდელია, რომ რუსეთის აგენტობა დააბრალო და არც ვინმე ნარკომანია, რომ ხელისუფლების მიმართ არალოიალობის გამო, **"წამალი ჩაუდო"** და ასე მოიშორო თავიდან.

იგი ყველა ქართველისთვის საყვარელი და საამაყო რობიკო სტურუაა, ხოლო დანარჩენი მსოფლიოსათვის – თანამედროვეობის (და ალბათ, არა მხოლოდ თანამედროვეობის) ერთ-ერთი დიდი ხელოვანი, მსოფლიოში სახელმოხვეჭილი უდიდესი რეჟისორი, მისტერ რობერტ სტურუაა!

ხელოვანი, რომელიც, მავანთაგან განსხვავებით, ვერაფრით მოთაფლეს ნაცებმა და არა თუ დითირამბების მდერა დააწყებინეს, მისგან ლოიალურ დუმილსაც ვერ მიაღწიეს - მთელი თავისი შემოქმედებით (ძველითაც და ახლითაც), ყოველდღიური ცხოვრებითაც, არსებულ რეჟიმთან შეურიგებლობის მაგალითია ეს დიდი ხელოვანი და არანაკლებ დიდი პიროვნება, კაცი!

იმასაც რომ ვერ ეღირსნენ, სადმე უცხოეთში რომ წასულიყო. მიუხედავად მრავალი ფინანსურად ზღაპრული შეთავაზებებისა მსოფლიოს წამყვანი თეატრებიდან, არსად არ მიდის (თუ მიდის, მხოლოდ მცირე ხნით), მწვანე ბანკნოტებს არ ხარბდება და **"ჯიუტად ზის"** საქართველოს უპირველეს, რუსთაველის თეატრში. სხვათა შორის ეს მაშინ, როდესაც სხვა, უკლებლივ ყველა, მეტნაკლებად მნიშვნელოვან თეატრებში თუ კულტურულ დაწესებულებებში, **"თავისი ხალხის"** დასმა მოახერხეს ხელმძღვანელ თანამდებობებზე ნაცებმა!

რობიკო სტურუას ხელის ხლებას ვერ ბედავდნენ იმიტომ, რომ ნაცების პროპაგანდისტულ მანქანასაც კი არ ძალუძს მსოფლიოსთვის მეტნაკლები დამაჯერებლობით იმის ახსნა, თუ რატომ აღარ იქნებოდა რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი!

და აჰა, როგორც იტყვიან, მიზეზი იპოვნეს და დიდი ხელოვანი ქსენოფობიაში დაადანაშაულეს!

ქსენოფობია ბერძნული სიტყვაა და უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიძულვილს ნიშნავს. ასე განმარტავს ამ სიტყვას უცხო სიტყვათა ლექსიკონი. რაც იმათ გასაგონად მოვიყვანე, რომლებმაც 19 მაისს, დაუფარავი იერიში მიიტანეს რობიკო სტურუაზე იმის გამო, რომ საქინფორმისთვის მიცემულ ინტერვიუში ხმამაღლა თქვა ის, რაზედაც ჩუმჩუმად და ხმადაბლა ბევრი ლაპარაკობს და



მსჯელობს საქართველოში.

კორესპონდენტის (ბაია ამაშუკელი-ავტ.) შეკითხვაზე – ეს დამოკიდებულებაა (ზოგადად ნაცების ქართველთმოძულეობას გულისხმობდა – ავტ.) გასაკვირი, რაღაც სიყვარული შენი ხალხისადმი, რომ შენიანია, არ უნდა ჰქონდეთ. დიდი რეჟისორი პასუხობს – **სომეხია და რა ვქნათ... ეს ხომ არ არის დამალული.**

და დაიწყო, მაგრამ, რა დაიწყო! გამოვარდნენ ცნობილი თუ უცნობი **"ლიბერალები"** და ეს როგორ გაბედაო, ეს ხომ ქსენოფობიაა, ანუ სომეხი ერის შეურაცხყოფაა, პასუხი უნდა მოსთხოვოს საზოგადოებამ რობიკო სტურუასო – ბრძანა, ცნობილმა **"ლიბერასტკამ"** ჟურნალ **"ტაბულადან"** თამარ ჩერგოლეიშვილმა, რომელსაც იქვე ბანი უთხრა ცნობილმა მილიონერმა ბდენძმა მძორმა კახა ბენდუქიძემ – ადრე ძალიან მომწონდა მაგის სპექტაკლები და ახლა, რაც ეგეების ლაპარაკი დაიწყო, აღარ მომწონსო. და საერთოდ, ეგ კაცი ჯერაც ვერ განთავისუფლდა საბჭოური მემკვიდრეობის (**"საწყალი"** რობიკო... – ავტ.) ტყვეობიდანო და ა.შ. მართლაც რა ზედგამოჭრილია ამ მძორზე პოეტის მიერ დაწერილი სტრიქონები:

"ვარდისგან დაგვრჩა ეკალი;
ბენდუქიძისგან – ფეკალი!"
(რედ.)

გასაკვირი ეს და მსგავსი **"ლიბერასტული"** ლათაიები კი არა, ჩემთვის ის იყო, რომ არავინ გააპროტესტა თავად რობიკოს ნათქვამის მთავარი შინაარსი – რას ამბობს ეს კაცი, როგორ შეიძლება საქართველოს პრეზიდენტი ეთნიკური სომეხი იყოსო! და მერე ებჟუტურათ სომეხი ხალხის შეურაცხყოფაზე და მსგავს უაზრობებზე.

დიახ, უაზრობებზე, რადგანაც იმის სურვილი, გნებავთ მოთხოვნა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ტომით ქართველი იყოს, თუ ქსენოფობიაა, ან ანტიდემოკრატიულია, მაშინ გაუმარჯოს ასეთ ქსენოფობიას და ძირს ასეთი დემოკრატია! ეგეც არ იყოს, იგივე რობიკოსგან **"შეურაცხყოფილ"** ჩვენს ძმებს, სომხებს ვეკითხები – სომხეთის პრეზიდენტად არასომეხს ისურვებენ. და თუ ისურვებენ, რომელ საუკუნეში აირჩევენ, თუნდაც მათ სტრატეგიულ მფარველ რუს პრეზიდენტს. ქართველზე აღარაფერს ვიტყვი...

იქვე ტელესიუჟეტის ავტორმა მრავალმნიშვნელოვნად დასძინა, რობერტ სტურუამ უარი გვითხრა კომენტარზეო...

რა კომენტარი უნდა გაეკეთებინა. ის, რომ მთელი მისი შემოქმედება, სწორედაც რომ, კაცთმოყვარეობის, ტოლერანტობის, ანუ ზოგადად ზნეობრიობის მაგალითია და არა ქსენოფობიის, რაშიაც უსინდისოდ სდებენ ბრალს. თუ ის უნდა ემტკიცებინა, რომ საბჭოთა მენტალიტეტის ტყვეობაში არასოდეს ყოფილა.

არ ვიცი, არ ვიცი?! უფრო სწორედ აქ პირდაპირ დასმულ კითხვებზე და არდასმულ, მაგრამ წინამდებარე წერილიდან ბუნებრივად გამომდინარე კითხვებზე პასუხები მკითხველისთვის მიმინდვია.

ერთი რამ კი ვიცი და მჯერა, რომ ამ თემას გაგრძელება აუცილებლად ექნება, ანუ **"ლიბერასტული"** შეტევა რობიკო სტურუაზე გაგრძელდება, რათა იქნებ, ბოლოს და ბოლოს, ქსენოფობიის მიზეზით მოიშორონ ის, ვინც ამდენი წელიწადია, როგორც ჩვენში იტყვიან, ცივი ჭადივით ჰყავთ ყელში გაჩხერილი მისტერ რობერტ სტურუა...

დავით მხეიძე
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"

მორიგი ბლეფი ქართველი ხალხისათვის – ფილმი აგვისტოს ხუთი დღე კანის ფესტივალის პროგრამაში არ არის

საქართველოში ყველამ იცის რენი ჰარლინის ფილმის – **„აგვისტოს ხუთი დღე"** – შესახებ, სადაც მთავარი – პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის – როლი ამერიკელმა მსახიობმა ენდი გარსიამ შეასრულა. ფილმის გადაღებები საქართველოში მიმდინარეობდა და ერთად რომ შეაგროვო ენდის აქ ყოფნის, მისი მიშასთან შეხვედრის ამსახველი ყველა ტელესიუჟეტი – რათა უკეთ ჩასწვდე პრეზიდენტის ფსიქიკას და ღრმად შეხვიდე გმირის როლში! – კიდევ ერთი სრულმეტრაჟიანი ფილმი გამოვა.

და აი გასაოცარი ფენომენი: 2008 წლის აგვისტოს შესახებ გადაღებული ფილმის ბედი მართლაც ძალიან დაემსგავსა საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტისას, რომლისთვისაც უცხო არაა, რბილად რომ ვთქვათ, ფანტაზიორობა, უფრო მარტივად კი – ცრუპენტელობა...

საქმე ისაა, რომ ყველა მთავარმა (იგულისხმე – სამთავრობო) ქართულმა ტელეარხმა ბოლო ხანს ყურები გამოუჭედა ობივატელს, რომ ფილმმა – **„აგვისტოს ხუთი დღე"** – მაღალი შეფასება დაიმსახურა, კერძოდ, კანის ფესტივალზე. ტელემედიის გარდა, ეს ზოგიერთმა ელექტრონულმა მედიამაც დაადასტურა.

ასე მაგალითად, 2011 წლის 13 მაისს საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალის **www.apsny.ge** საიტზე ვკითხულობთ: **„აგვისტოს ხუთმა დღემ" ძალიან კარგი შეფასება დაიმსახურა კინოფესტივალებზე.** რენი ჰარლინის მიერ გადაღებული ფილმი ქართული კინოთეატრების ეკრანებზე 5 ივნისიდან გამოვა და თბილისურ პრემიერაზე თავად რენი ჰარლინი ჩამოვა, – განაცხადა პრესკონფერენციაზე ფილმის ქართველმა პროდიუსერმა ნიკა ავალიანმა. მისივე მონაცემებით, ფილმს უაღრესად კარგი გამოხმაურებები მოჰყვა ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა კინოფესტივალზე. **„აგვისტოს ხუთი დღე" უჩვენეს როგორც ვენეციის, ისე კანის კინოფესტივალებზე. ფილმმა მონაწილეობა მიიღო ევროპის კინობაზრობაშიც. ლოს-ანჯელესში კინოკრიტიკოსებმა ფილმი „სამხედრო დრამად" შეაფასეს, – განაცხადა ავალიანმა".**

2011 წლის 20 მაისს იმავეს ამტკიცებს საინფორმაციო სააგენტოც www.pirweli.com.ge: **„კანის საერთაშორისო კინო ფესტივალზე უჩვენეს რენი ჰარლინის ფილმი „აგვისტოს ხუთი დღე".** 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ამსახველი ფილმის – **„აგვისტოს ხუთი დღე"** – პრემიერა კანის კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართა. პრემიერას ესწრებოდნენ ცნობილი კინოკრიტიკოსები, რეჟისორები, ჟურნალისტები და კინოინდუსტრიის წარმომადგენლები. **„ეს ისტორია იმსახურებდა იმას, რომ მის შესახებ მსოფლიოსთვის მოეთხროთ",** – წარმოადგინა ფილმი რენი ჰარლინმა. ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა მიღება, რომელსაც 600-მდე კაცი ესწრებოდა. ღონისძიებაზე რუსეთ-საქართველოს ომის ამსახველი მასალები წარმოადგინეს. **„აგვისტოს ხუთ დღეს" 50 ქვეყანაში უჩვენებენ. საპრემიერო ჩვენებები გაიმართება აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში. თბილისში ფილმის პრემიერა 5 ივნისს შედგება. სავარაუდოდ, ამასთან დაკავშრებით საქართველოში ჩამოვა მთავარი როლის შემსრულებელი ენდი გარსია".**

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი" მკითხველს სთავაზობს კანის კინოფესტივალის ოფიციალური საიტის ბმულს (http://www.festival-cannes.fr/ru-/archives/2011/allSelections.html), სადაც რეჟისორ რენი ჰარლინის ფილმი არც კი მოიხსენიება!

ამის შემდეგ, ალბათ აღარავის შეეპარება ეჭვი, რომ ამქვეყნად შემთხვევითობებს ადგილი არ აქვს: ერთი ტყუილი მეორეს შობს – ყალბი ფილმი თავისი არსებობის პირველი დღიდან მისი შემკვეთებისთვის, გამპიარებლებისა და მთავარი გმირისთვის დამახასიათებელი სიცრუითაა გარემოცული!

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი"

კალანდაძის მტკიცებით, თბილისში მიმდინარე აქციებს არანაირი საერთაშორისო გამოხმაურება არ მოჰყოლია

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციას დღევანდელ ტრადიციულ ბრიფინგზე გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფასება ამ საკითხთან დაკავშირებით არარელევანტური იქნება, თუმცა როგორც მთავრობის წევრი, ნინო კალანდაძე აცხადებს, რომ საქართველო აღიარებს შეკრების თავისუფლებას.

„ეს არის სახელმწიფოს მიერ დანერგილი ღირებულების პრინციპი, რომელსაც ქვეყანამ პატივი უნდა სცეს და ამაში არაორდინარული არაფერია. არა თუ არაორდინარული არაფერი ხდება, არამედ სახელმწიფოს მხრიდან ამას სათანადო ხელშეწყობა აქვს, როგორც ეს უნდა იყოს", – განაცხადა კალანდაძემ.

რაც შეეხება საერთაშორისო თანამეგობრობის გამოხმაურებას თბილისში მიმდინარე პროცესებზე, კალანდაძის თქმით, ამ დრომდე არანაირი ოფიციალური გამოხმაურება არ ყოფილა და საქართველოს საგარეო უწყებას ამ საკითხზე საერთაშორისო წარმომადგენლობიდან არავინ დაკავშირებია.

შეგახსენებთ, რომ თბილისში **„სახალხო კრების"** მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქცია უკვე მესამე დღეა, მიმდინარეობს.

SOS!!! თბილისში ადამიანებს ღიად იტაცებენ!

პატივცემულო მკითხველო! საზოგადოებაში **„სიკვდილის ბრიგადებად"** და **„ზონდერბრიგადებად"** მონათლული საქართველოს შსს-ის სპეცქვედანაყოფების მიერ ადამიანთა გატაცებაზე იმდენს წერენ და ლაპარაკობენ, რომ საინფორმაციო-ანალიტიკურმა სააგენტო **„საქინფორმმა"** საჭიროდ აღარ ჩათვალა ამ საზარელი თემის მუსირება, სანამ თავადვე არ აღმოვჩნდით ამგვარი აღმაშფოთებელი ფაქტის უნებლიე მოწმე.

2011 წლის 25 მაისს, დაახლოებით ღღის 13.30 წუთზე, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმის"** საკუთარი კორესპონდენტის თვალწინ **„X5"**-ის მოდელის **„BMW"**-ს მარკის მუქი ლურჯი ფერის ჯიპმა დ. უზნაძისა (ყოფილი კამოს ქუჩა) და ჯ. კახიძის (ყოფილი ი. კრილოვის ქუჩა) ქუჩების კვეთაზე მკვეთრად დაამუხრუჭა. იქიდან სამოქალაქოტანსაცმლიანი სპორტული აღნაგობის რამდენიმე მამაკაცი გადმოხტა და თავისი გზით მიმავალ 40-45 წლის მამაკაცს თავს დაესხა, ხელები გადაუგრიხა, ზემონახსენებ მანქანაში ჩასვა და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანა.

ეს ყველაფერი რამდენიმე ათეულ მეტრში მდგომ საქვეყნოდ ქებული საპატრულო პოლიციის თვალწინ მოხდა. **„რისთვის?! მიშველეთ!"** – ყვიროდა შეშინებული და გაოგნებული კაცი, რომელიც ერთდროულად გამტაცებლებსაც მიმართავდა და იმ პოლიციელებსაც, მომხდარს უშფოთველად თვალს რომ ადევნებდნენ.

„რას დგახართ, მიეხმარეთ ადამიანს, როგორ არ გრცხვენიათ!" – აღშფოთებას გამოთქვამდნენ საპატრულო პოლიციის მანქანას გარშემ - ორტყმული ქალები (მათგან განსხვავებით, მამაკაცები, რომლებიც საქართველოში ბოლო ხანია, ძალიან დაშინებული არიან, მდუმარედ იდგნენ...). მკითხველს შევახსენებთ, რომ ჯ. კახიძის ქუჩა ძველი ქალაქის ცენტრში მდებარეობს და დ. უზნაძის ქუჩას ერთ-ერთ ცენტრალურ – მეფე დავით აღმაშენებლის – პროსპექტთან აკავშირებს, უწინ რომ გ. პლეხანოვის პროსპექტს უწოდებდნენ, ამიტომ შუადღისას იქ დიდი ხალხმრავლობაა.

ყველაზე უსიამოვნო კი ისაა, რომ ამ ამბავს შორიახლო მდებარე #63 თბილისის საჯარო სკოლის მოსწავლეები, გაკვეთილების დასრულების შემდეგ შინ მიმავალი და დამფრთხალი ბავშვები შეესწრნენ.

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი" ღიად მიმართავს საქართველოს შსს-ის ხელმძღვანელობასა და პირადად მინისტრს, ბატონ ვანო მერაბიშვილს:

ბატონებო! ხომ არ მიგაჩნიათ, რომ (სპეცსამსახურების) ამგვარი მოქმედებები და პატრულის უმოქმედობა უკიდურესად უარყოფითად მოქმედებს ქართული პოლიციის იმიჯზე, რომლის რეფორმირებაში მიღწეულ წარმატებებს აღიარებენ თქვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები და კოლეგები სხვა ქვეყნებიდან. ხოლო თუ ისინი თქვენი თანამშრომლები არ იყვნენ, მაშინ რატომ არ ჩაერია საქმეში შორიახლო მდგარი საპატრულო ეკიპაჟი?

ეგებ ის დაკავებული ბინ ლადენის ტერორისტი, **„შეფიცულთა"** წევრი, მოძალადე მანიაკი, რუსეთის მორიგი ჯაშუში ანდა ნინო ბურჯანაძის მომხრე იყო? მაშინ ამის შესახებ შიშით დაზაფრულ მოსახლეობას აცნობეთ, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმი"** მზადაა, განათავსოს თქვენი ნებისმიერი განცხადება.

ბატონო მინისტრო! ერთხელ როგორღაც ბრძანეთ, რომ დღევანდელ საქართველოში, დემოკრატიის პირობებში, ქართული პოლიცია ქართველი ხალხის სამსახურში დგას. ბრავო! თუმცა, განა შიშის სინდრომი დამახასიათებელია დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, სადაც **„გამჭვირვალე"** პოლიცია ხალხის მსახურია და არა რეპრესიების ინსტრუმენტი?!

იერი
ეროვნული გაზეთი



ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

იმის მტკიცება, რომ ბერია საერთო სიყვარულით სარგებლობდა, არ შეიძლება... იგი საერთო არ გახლდათ ლოლიაობის მოყვარული. მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, რომელიც მას მუდამ მტკიცე გადაწყვეტილებების მიღების ალტერნატივის წინაშე აყენებდა, არ შეიძლებოდა მასში არ ჩამოყალიბებინა მკაცრი და შეუვალი პიროვნების ხასიათი. ამიტომ, არ შეიძლებოდა, რომ იგი ყველას ყვარებოდა, მით უმეტეს, ჭკუანაკლულ, გულცივ და სულმოკლე ადამიანებს.

და თუ ობიექტური დამკვირვებლები (თუნდაც აკადემიკოსი ხარიტონი და გერმანელი პროფესორი რილი) აღნიშნავდნენ ბერიას თავაზიანობას, ეს თავისთავად მეტყველებს ბერიას დიდ შინაგან კულტურასა და თვითდისციპლინირებულობაზე, იმიტომ, რომ ბერიას მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, რომელსაც მხრებზე აწვა ახალი ტიპის სახელმწიფოს მთელი სიმძიმე, ძნელად თუ იქნებოდა ქვეშემრდომი ადამიანებისადმი თბილი, თავაზიანი და ყურადღებიანი. ამიტომ, თავაზიანობა და ყურადღებიანობა, ამ დონეზე, ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს!

ბერიას დონის სახელმწიფო მოხელეები უკიდურესად გადატვირთულები იყვნენ. ადამიანის საქმიანობის კოეფიციენტი რომ გამოიყვანონ, დასავლეთი სამყაროში მიღებულია ამგვარი საზომი: ამბობენ, რომ მისი სამუშაო დროის ერთი წუთი ამდენი და ამდენი ათასი დოლარი ღირსო. ბერიას ერთი წუთი ათიათასობით დოლარი ღირდა. და თუ ეს თანხა უმიზნოდ გაიფლანგებოდა, დაზარალდებოდა არა იგი, არამედ სახელმწიფო. ამიტომ (სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად), საჭირო იყო ადამიანებთან ხანმოკლე, მომთხოვნი, მეტად მკაცრი ტონით საუბარი.

მე ვამბობ **"არც თუ იშვიათად"**, რადგან, დოკუმენტებზე მიწერილ რეზოლუციებში ასახული მისი საქმიანი ტონი მეტყველებს, რომ იგი ხშირად თავშეკავებული და ემოციებისაგან თავისუფალი იყო.

რაც შეეხება მის მომხიბვლელობას და შინაგან სითბოს?

სიმართლე რომ ვთქვათ, მას არ ჰქონდა იმის დრო, რომ ყოფილიყო მომხიბვლელი და შინაგანად თბილი! ეს ხომ გულისხმობს თუნდაც მცირეხნიან საუბრებს ქვეშემრდომებთან, ხუმრობებს, დიმილს... რჩებოდა კი მას ამის დრო? მცირე დროით თუ მოეშვებოდა არა მხოლოდ ახლობელ თანამშრომლებთან, არამედ საქმის ერთგულ ხალხთანაც. ამ უკანასკნელ კატეგორიას მიკუთვნებული ხალხი კი ძალიან ცოტა იყო. მაგრამ მისი, არა მხოლოდ როგორც ადამიანის, არამედ როგორც ხელმძღვანელის პატივისმცემელი ძალიან ბევრი ვინმე იყო, თუმცა შემდეგ ბევრ მათგანს, **"ლიბერალთა და დემოკრატთა"** სასიამოვნოდ, არ დაუშურებია საგინებელი სიტყვები ბერიას მისამართით. და ძალიან მალე, სიბილწის ეს კორიანტელი ჯაჭვური რეაქციით განვითარდა.

2003 წელს მინსკის გამომცემლობა **"ბელორუსიის ენციკლოპედიამ"** დასტამბა თევდორე დიმიტრის ძე პოპოვის წიგნი **"ატომური ბომბი და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი"**. ავტორი მოხვდა **"№550 ობიექტზე"** (მე-11 საკონსტრუქტორო ბიურო, №112 ბაზა, მთავარქალაქმშენის პრივოლჟიეს კანტორა), ესე იგი ატომური იარაღის შექმნის ცენტრში – საროვ-**"არზამას-16"**-ში, 1954 წელს, როცა ბერია უკვე დახვრეტილი და ოფიციალურ ანათემას გადაცემული იყო.

და აი, უშიშროების სამინისტროს **"ობიექტთა"** განყოფილების რწმუნებული, კაპიტანი პოპოვი წარუდგება თავისი განყოფილების უფროსს პოდპოლკოვნიკ ვ. ი. ბრონნიკოვს და იწყება საქმიანი საუბარი **"ობიექტის ატომურ ისტორიაზე"**, საროვის ყოფილ უდაბნოზე, საერთო ოპერატიულ მდგომარეობაზე და სხვა.

ფ.დ. პოპოვი წერს:

"ბრონნიკოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ატომური ეპოპეის განვითარებაში დიდი როლი ითამაშეს კურჩატოვმა, ხარიტონმა და ბერიამ. "რომ არა ისინი, ნაკლებ სავარაუდოა, რომ 1949 წელს საბჭოთა კავშირს გამოეცადა ბირთვული იარაღი, – მითხრა მან".

ეს, ძვირფასო მკითხველო, ხდება 1954 წელს, როცა ლავრენტი ბერია უმაღლეს დონეზე გამოაცხადეს ქვეყნის მოღალატედ და საერთაშორისო კაპიტალიზნის აგენტად!

კაპიტანი პოპოვი პირადად არ იცნობდა ლავრენტი ბერიას, მაგრამ იცნობდა იმათ ვინც პირადად იცნობდა ლავრენტის, ან ვინც მუშაობდა **"ბერიას ეპოქაში"**. ამიტომ, თევდორე დიმიტრის ძე, თუნდაც სხვისი გადმოცემით, მაგრამ მაინც სიმართლეს ამბობს ბერიაზე, თუნდაც მოკრძალებულ, მაგრამ წესიერ სიმართლეს:

"მე-11 საკონსტრუქტორო ბიუროს მშენებლობის განვითარების პერსპექტივა, მისი პროფილის მიხედვით, მკაცვრად იყო რეგლამენტირებული საცხოვრებელი ფართის რესურსით... ბევრი სპეციალისტი შეჭყლეტილი იყო სამონასტრო სასტუმროში, რომლითაც ადრე საროვის სამონასტრო კომპლექსის მომლოცველები სარგებლობდნენ.

საბინაო საკითხი მხოლოდ მას შემდეგ გადაწყდა, რაც ამ საქმეში ბერია ჩაერია. მისი №880 მითითების შესაბამისად საროვში შეიქმნა სპეციალიზირებული საამშენებლო-სამონტაჟო ქვედანაყოფი. 1948-1950 წლებში არზამას-16-ის მრავალმა მცხოვრებმა იზეიმა ახალსახლობა. სამი წლის განმავლობაში აშენდა 200 საცხოვრებელი სახლი. ისინი სხვადასხვა ტიპისანი იყვნენ – ოროთახიანი კოტეჯებიც, ფინური ხის დაფებით ასაწყობი სახლები, ქვითა და მორებით აგებული მრავალბინიანი სახლები. ძველი სამონასტრო ნაგებობების გვერდით აღიმართნენ სამი და ოთხსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსები, თავად მონასტერი, ტაძრებით, სამრეკლოებით, კელიებით და სატრაპეზოებით, ობიექტის ცენტრში მოექცა..."

ეს კიდევ ერთი დადასტურებაა ბერიას დიდი ღვაწლისა ატომურ პროექტში დასაქმებული ადამიანების მიმართ. აი, პროექტის **"მაღალი სართულის"** კიდევ ერთი მაგალითი... 1946 წლის 12 ივლისს №2 ლაბორატორიის ბლანკზე დაწერა შემდეგი შინაარსის სრულიად საიდუმლო წერილი:

"ამხანაგ ლავრენტი პავლეს ძე ბერიას,

მოგახსენებთ, რომ უკანასკნელ დროს ძალიან გაუარესდა ამხანაგ ი.ბ. ხარიტონის ჯანმრთელობის მდგომარეობა. სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცენტრალური პოლიკლინიკის დასკვნით მას აღენიშნება ფუნქციონალური ნერვული მოშლილობა და გულის უკმარობა (წუთში 120 პულსაციით), რაც გამოწვეულია გადაღლით და ორგანიზმის გამოფიტვით. პოლიკლინიკის მთავარი ექიმის, პროფესორ სოსიანის დასკვნით ამხანაგ ხარიტონს ესაჭიროება დასვენება და სანატორიული მკურნალობა.

მე მიმაჩნია სავსებით შესაძლებლად, რომ ამხანაგ ხარიტონს მიეცეს თვენახევრიანი შვებულება.

გთხოვთ თქვენს ნებართვას და დახმარებას.

აკადემიკოსი კურჩატოვი."

მაშ ასე, ბერიას მოუწია **"ატომურ საკითხებთან"** დაკავშირებული გლობალური პრობლემის კვალდაკვალ, ერთი შეხედვით რიგითი პრობლემის გადაწყვეტამ... რა გამოდის – კურჩატოვს ეშინოდა, რომ თავის თავზე აეღო ხარიტონის შვებულებაში გაშვების საკითხი? არა, რა თქმა უნდა! მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ თუ ამ საქმეში ბერიას ჩარევდა, მაშინ ხარიტონს გარანტირებული ექნებოდა პირველი კლასის მკურნალობა და, საერთოდ, პირველი კლასის მომსახურეობა....

ასეც გამოვიდა: ბერია მაშინვე უკეთებს საბუთს ვიზირებას საკუთარი ხელით, რადგან არ ენდობა მდივან-მემანქანეს: **"ამხანაგებს ჩადაევს და ბუსალოვს. უზრუნველყავით ყველაფერი აუცილებლით. ლ. ბერია, 12 ივლისი"**.

ამასთან, ლავრენტი პავლეს ძემ საგანგებოდ გაუსვა ხაზი თარიღს, რადგან კურჩატოვის წერილი მას მაგიდაზე დაუდეს მისი დაწერის დღეს – 1946 წლის 12 ივლისს, და უკვე 18 ივლისს მახნევის მოადგილემ ვასნევმა გააკეთა აღნიშვნა: **"ამხანაგ ბუსალოვის განკარგულებით ხარიტონი გაივლის მკურნალობის კურსს სანატორიუმ "ბარვიხაში". ა. ვასინი"**.

ამასთან, ბერიას გულის მდგომარეობა და მისი პულსი არავის აინტერესებდა. ვერც ვერავის მიმართავდა შვებულებისა და დასვენების თაობაზე, თუ არა პირადად სტალინს. თვით კურჩატოვიც არანორმალური დატვირთვით მუშაობდა. თოთხმეტი წლის შემდეგ, 1960 წელს, 57 წლის ასაკში, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა ბაღში სკამზე მჯდომი, როცა აკადემიკოს ხარიტონს ესაუბრებოდა. მის ხელში დალია სული! ბერიას დახვრეტიდან ამ დღემდე თითქმის შვიდი წელი გავიდა.

კურჩატოვის წერილი რომ წავიკითხე, გავიფიქრე – რატომ არ მიმართა ამ თხოვნით ვანნიკოვს?

მალიშევს?

პერვუხინს?

ზავენიაგინს?

მათაც ხომ ბერიაზე არანაკლები ძალაუფლება გააჩნდათ?..

მან კი ბერიას მიმართა.

ან, კიდევ სხვა შემთხვევა.

1948 წლის 9 მარტს სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკოლოზ ანდრიას ძე ბორისოვი წერილს უგზავნის ბერიას: **"ოზერში მცხოვრები გერმანელი სპეციალისტების საცხოვრებელი კოტეჯების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ..."**

გერმანელ სპეციალისტებს უჭირდათ №9 სამეცნიერი-კვლევითი ინსტიტუტის №2 ლაბორაორტიამდე მისვლა და ზავენიაგინმა მოამზადა მთავრობის დადგენილების პროექტი ქალაქგარეთა ზონაში კოტეჯების მშენებლობის თაობაზე. მაგრამ მოსკოვის საქალაქო საბჭო ამის კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა, რადგან ეს ნაკვეთი შედიოდა ქალაქის გამწვანების ზონაში და მის ტერიტორიაზე ყოველგვარი მშენებლობა აკრძალული იყო.

ახლა ნებისმიერ ოლიგარქს შეუძლია ეს საკითხი გადაწყვიტოს თავის სასარგებლოდ და დაუნდობლად გაკაფოს მრავალსაუკუნოვანი ტყე, იმ **"ტოტალიტარულ"** საბჭოთა კავშირში კი თვით პირველ მთავარ სამმართველოსაც შეექმნა პრობლემა გამწვანების ზონასთან დაკავშირებით.

მაშ ასე, ზავენიაგინი დაჟინებით მოითხოვდა, ბორისოვი კი თვლიდა, რომ ამ საკითხის მოგვარება შეიძლება **"გამონაკლისის სახით"**.

და როგორ წყვეტს ამ საკითხს ბერია? იგი მაშინვე პოულობს რეალურ გამოსავალს. მისი ვიზა ასეთია:

"ამხანაგმა ზავენიაგინმა თავი უნდა აარიდოს სპეციალური კოტეჯების მშენებლობას და გამონახოს გერმანელი სპეციალისტებისათვის სათანადო ფართი ობიექტთან ახლოს, შემდეგ კი გაარემონტოს იგი. ლ. ბერია, 1948 წლის 10 აპრილი".

ყველაფერი თვალნათლივია! რატომ უნდა მიადგეს ზარალი ქალაქის მწვანე მასივს, როცა ყველაფრის გადაწყვეტა შეიძლება იაფად და უმტკივნეულოდ? რატომ არ მიხვდნენ ამას, დროულად, გამოცდილი ზავენიაგინი და მისი აპარატის თანამშრომლები? რატომ უნდა ეფიქრა მხოლოდ ბერიას მოსკოვის გარშემო მოშრიალე ტყეებზე?

აი, ასეთი **"მონსტრი"** იყო იგი! ხომ შეეძლო მოსკოვის ზღაპრულ გარეუბანში 15-20 კვადრატულ კილომეტრზე აეშენებინა კოტეჯების მთელი წყება გერმანელი სპეციალისტებისათვის? გერმანელები კი მალე დაბრუნდებოდნენ სამშობლოში (კონტრაქტის მიხედვით ისინი სახლებში დაბრუნდებოდნენ **"ატომური პროექტის"** დამთავრების შემდეგ), ხოლო ამ კოტეჯებს **"დაითრევდნენ"** უმაღლესი სახელმწიფო ბიუროკრატები. **"ვურდალაკმა"** ბერიამ კი (გენერალ ვოლკოგონოვის მიერ შემოგდებული ტერმინია) ყველა ჩინოვნიკური ინიციატივა დაჩეხა, მოშრიალე ტყის გარდა!

ატომური პროექტის სასამსახურო დოკუმენტაციებზე ბერიას მიერ წაწერილ რეზოლუციებზე მე მოგვიანებით კიდევ ვილაპარაკებ. ეს რეზოლუციები ხშირად განპირობებული იყო არა საკითხთა ობიექტური სირთულით, არამედ ბერიას კოლეგების ელემენტარული სურვილით, თავი აერიდებინათ ისეთი საკითხის გადაწყვეტისათვის, რომლის მოსაგვარებლად სულაც არ იყო საჭირო და აუცილებელი სპეკომიტეტის თავმჯდომარისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჩარევა.

1946 წლის ივლისში ამერიკელებმა გამოაცხადეს, რომ მათ ჩაატარეს ორი ბირთვული აფეთქება მარშალების კუნძულების ერთ-ერთ ათოლ ბიკინიზე. 1 ივლისს, ათოლის ყურეში, სადაც რეიდზე იდგა 73 მოძველებული ჩამოწერილი გემი, მძლავრი ატომური ბომბი უნდა ჩამოეგდოთ თვითმფრინავიდან, 25 ივლისს კი დაგეგმილი იყო წყალქვეშა ატომური აფეთქება. ამიტომ, საბჭოთა კავშირში წარმოიქმნა იმის აუცილებლობა, რომ ატომურ აფეთქებებზე დაკვირვებისათვის და სათანადო ინფორმაციის მოსაპოვებლად წყნარ ოკეანეში შექმნილიყო კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია.

1946 წლის 22 ივნისს ბერიამ, როგორც სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ხელი მოაწერა მინისტრთა საბჭოს №7778-PC დადგენილებას, რომელიც შესაბამის დავალებებს აძლევდა სსრკ შეიარაღების სამინისტროს, მეცნიერებათა აკადემიას, სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოსამსახურის მთავარ სამმართველოს. და დაიწყო...

26 ივლისს ადმირალი გალერი ითხოვს ბერიას ნებართვას ზელიმიტური საწვავის გამოყოფის თაობაზე, და ლავრენტი ბერია ბრძანებას იძლევა, რომ აღნიშნული საწვავი გამოიყოს წყნარი ოკეანის ფლოტის სამობილიზაციო რეზერვიდან...

2 ივლისს აკადემიკოსები სემიონოვი, კურჩატოვი და ალიხანოვი თხოვნით მიმართავენ ბერიას, რომ ატომური ბომბის გამოცდის რაიონში გაიგზავნოს თვითმფრინავი, რომელიც აიღებს სინჯებს აფეთქების შედეგად წარმოქმნილი ღრუბლიდან.

იმავე 2 ივლისს ვანნიკოვი რატომღაც თხოვს ბერიას, რომ მან, როგორც უმაღლესი რანგის მოხელემ, დამატებითი მითითებები მისცეს ადმირალ კუზნეცოვს.

3 ივლისს ფლოტის ადმირალი კუზნეცოვი **"მისაღებად"** მიიჩნევს სამი აკადემიკოსის მოსაზრებას და აცნობებს ბერიას, რომ საჭიროა შესაბამისი განკარგულება მიეცეს სსრკ საზღვაო ფლოტის მინისტრ შირშოვს (ეს ის შირშოვია, რომელიც პაპანინელებთან ერთად, დრეიფისას, იმყოფებოდა პოლარულ **"სადგურ ჩრდილოეთ პოლუს 1"**-ზე), რომ მან წყნარი ოკეანის ფლოტის სარდალს ადმირალ იუმაშევს მიამაგროს ტრანსპორტი **"ერევანი"** და დამატებითის დამატებით გამოუყოს საწვავი.

5 ივლისს სამხედრო-საზღვაო ფლოტის შტაბის უფროსი, ადმირალი გოლოვკო კუზნეცოვისადმი მიწერილ მოხსენებაში შეშფოთებას გამოთქვამს სამი აკადემიკოსის წინადადების თაობაზე და ფაქტიურად ახდენს მის დეზავუირებას, იმ მიზეზით, რომ ამერიკელთა განცხადებით აფეთქების რაიონი საშიშ ზონას წარმოადგენს, ხოლო **"აფეთქების შედეგად წარმოქმნილი ღრუბლიდან სინჯის აღება, აფეთქების ზონის გარეთ, ნაკლებ სავარაუდოა რომ განხორციელდეს"...**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაჯვრა გზისა

(გთავაზობთ ჩვენი მეგობრისა და თანამებრძოლის, გულანთებული ქართველი პატრიოტის, კახეთის ულამაზეს კუთხე ქიზიყში აღზრდილი ვაჟკაცი მწერლის ბივი სომხიშვილის მოთხრობას).

სიზმრის მოყოლას არ ვაპირებ; შეიძლება გამოცხადებაა, რომელიც ძილქუშში მყოფი ქართველი ერის გამოფხიზლების მცდელობას შეუწყობს ხელს, რაც დროულად უნდა მოხდეს, რამეთუ ყოველი დღე ახალ-ახალი უბედურების მომტანია, რომელსაც დალატის ბაცილაშეყრილი ერი მოსპობისაკენ მიჰყავს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ქართველებში გათითოკაცებამ, ქვეყნის ბედ-იღბალზე ზრუნვაზე ქონების დაგროვების ველურმა ჟინმა იმძლავრა. ადამიანებს ავიწყდებათ, ან იციან და სულაც არ აშფოთებთ, რომ მოხვეჭას, გაუმაძღრობას, ვერაგობას, დალატს, კარიერიზმს, ცილისწამებას, ჩაგვრას, მეზობლის, თავისი ქვეყნის ადამიანთა ექსპლოატაციას, ჩაგვრას და გამათხოვრებას შენი სამშობლო დაკნინების, დაცემის, დაბეჩავების და ბოლოს მოსპობისაკენ მიჰყავს. სამშობლოს სიყვარული ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოების მკერდზე მუშტის ბრაგუნით ბოლომდე გამოცლილი დიდი ყანწი კი არა, სამშობლოს კეთილდღეობისათვის დაღვრილი ოფლი და ყველა წვეთი სისხლია. ადამიანებს უნდა ახსოვდეთ, რომ იმაზე მეტის მოხვეჭა, რაც მას სჭირდება, მხოლოდ უბედურების მომტანია.

კაცობრიობა სიკეთის და ადამიანთა ბედნიერი ცხოვრებისაკენ მიდის, მაგრამ რაც უფრო ღრმავდება ეს პროცესი, სატანური ბოროტება და გამხეცებაც ინიღბება, ვითარდება, ცხოვრებას ეგუება და როგორც შესაფერისი პირობები შეექმნება, ისეთ ბოროტების ქარბუქს დაატრიალებს, რომ ყველა ადრინდელ საშინელებას გაახუნებს. ამიტომ, კაცობრიობა მუდამ ფხიზლად უნდა იყოს, რათა სატანამ ადამიანობა მხეცობით არ დაამციროს.

ამჟამად კი ბელზებელი ძალიან კარგ ხასიათზე იყო. ის ცულით გაჩორკნილ მაგიდასთან იჯდა დაბალჭერიან გამოქაბულში. მოშორებით, უზარმაზარ ორმოში კუპრი დუღდა, რომელშიც ადამიანის მსგავსი არსებანი წყალში დასახრჩობად განწირულებივით ფართხალებდნენ. ზოგი ახერხებდა მდუღარე კუპრიდან მხრებამდე ამოწევას, რათა მცირედი შვება ეგრძნო, მაგრამ ნაპირზე მდგარი რქებ-ჩლიქიანკუდიანი ეშმაკები ორკაპა ჯოხებით თავზე აწვებოდნენ და ისევ აყვინთვინებდნენ ადუღებულ კუპრში.

ბელზებელმა ჩლიქი ჩლიქს შემოჰკრა და მაშინვე გამოეცხადა დაცვის ეშმაკი.

– შემოვიდნენ! – ბრძანა და რიგში ჩამდგარი კუდიანები რიგ-რიგობით შემოუსხდნენ გაჩორკნილ მაგიდას.

– ყველამ შემომხედეთ და ნამუსის ძარღვი შეიმოწმეთ, ხომ არ გაგიჩნდათ რომელიმეს უამრავ ადამიანებთან ბოდიალში! – ბრძანა.

აფუსფუსდნენ, აჭყვლეპინდნენ, ცოტათი განაწყენდნენ კიდეც. ერთი მათგანი ფეხზე ადგა და მოწიწებით მოახსენა: – თქვენო უწმინდურ, უბოროტეს, უვერაგესო გარყვნილებავ! სადაც ჩვენი მოქმედების სფერო ვრცელდება, ყველგან ვამრავლებთ სიძულვილს, სიცრუეს, ძალადობას, შურს, ღვარძლს, მტრობას, დალატს; სიკეთის და სიყვარულის მოშთობას. შენი ლოცვა-კურთხევით აღჭურვილნი დედამიწაზე ვანადგურებთ ადამიანურ სიკეთეს და კეთილდღეობას. ხელს ვუწყობთ გამდიდრებისა და მოხვეჭის გაუმაძღრობაშეყრილთა დაწინაურებას თავისი ქვეყნის და ერის მოღალატეთა ხელმძღვანელ პოსტებზე გაძრომაში.

– ძალიან კარგია, მაგრამ ადამიანებმა არ უნდა გაიგონ, რომ მათმა ხელმძღვანელებმა სული მე მომყიდეს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჯერ გამარჯვებულები არა ვართ და არც ხალხია მთლად დაბეჩავებული, რომელსაც მე შევყარე ძილქუში. ახლა მომახსენეთ, რა მდგომარეობაა თქვენი მოქმედების ზონებში, – ბელზებელი ჩლიქებით დაეყრდნო მაგიდას და შეკრების მონაწილეებს მიაჩერდა.

– ამერიკის შეერთებულ შტატებს რომ ეძახიან, ხომ იცით, მაგრად მიდის იქ ჩვენი საქმეები, – ფეხზე ადგომით მოახსენა ყველაზე ახალგაზრდა და გრძელკუდიანმა ეშმაკმა. ბელზებელმაც სიამოვნებით ცქვიტა ყურები. – რომელი ქვეყანა არ მოსწონთ, დემოკრატიის დამცველთა ნიღბით, სულ ქარბუქს ატრიალებენ იმათთან. ქალის ქალზე და კაცის კაცზე ქორწინებამაც მაგრად მოიკიდა ფეხი. ასეთებს ლესბოსელებს, მამათმავლებს, პედერასტებს და ათას ოხრობას ეძახიან. თანაც ამ გარყვნილებას ამრავლებენ, რომ პატიოსნებას, სინდისს და ნამუსს კუდით ქვა ასროლინონ. თუ სწრაფი ტემპით გაგრძელდა ასე, ადამიანები აღარ დაიბადებიან და მსოფლიო ჩვენ დაგვრჩება!

– რა კარგია! – ბელზებელმა გაიხარა.

– ევროპაშიც ეგრეა, უწმინდურ, უბოროტეს, უვერაგესო გარყვნილებავ! – ერთი მეტიჩარა ბალანდაწნული და გამოპრანჭული ეშმაკი ფეხზე წამოდგა.

– კიდევ რა ხდება თქვენთან საყურადღებო? – ბელზებელმა კმაყოფილებით შეხედა მეტიჩარას.

– თოფიანები რომ შეიყარნენ ერთად და ნატო დაირქვეს, ამერიკელთა კუდები, ახლა ლიბიას ბომბავენ მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის საბაბით და ანადგურებენ მშვიდობას.

– ვახახაა! – ბელზებელი სიამოვნებით ახარხარდა და სხვებიც აყვნენ.

– შენ რაღაც ენერგიულად არ ხარხარებ! – ბელზებელი რიჟა, აყლაყუდა რქამოტეხილ ეშმაკს მიაჩერდა.

– მთლად სახეიმოდ არ მაქვს საქმე, დიდო გარყვნილებავ! რუსეთის დაშლას რომ ვგეგმავდით, არ ხერხდება. პირიქით, თანდათან ძლიერდება და ფეხზე მყარად დგას. ლესბოსელები, პედერასტები და ყველა ჯურის გარყვნილება იქაც ჩავთესლეთ, მაგრამ მართლმადიდებლური ეკლესია იმათ გასაქანს არ აძლევს. საბჭოთა კავშირი ნაციონალიზმის, სეპარატიზმის, შოვინიზმის, მომხვეჭელობის, ეგოიზმის და ათასი ვერაგობის გაღვივებით დავშალეთ, მაგრამ ახლა თანდათან გონს მოდიან და მათ შორის შეიძლება სიყვარულმა ისევ იმძლავროს და მაშინ ვაი, სიძულვილო და ბოროტებავ! ბელორუსია ხომ ძველებურად ჩახუტებულია რუსეთთან. უკრაინაშიც გაქარბუქდა ჩვენი გამარჯვება და ისევ დაუმეგობრდნენ რუსეთს; მთელი შუა აზია ხომ მასთან სამეგობროდ იწევს...

– რა ხდება, რამ დაგადუნათ ეგრე?! – იყვირა ბელზებელმა და რქამოტეხილ ეშმაკს ჩლიქი დაუქნია.

– სამაგიეროდ, თქვენო გარყვნილებავ! თქვენგან მოძულებულ საქართველოში დიდ წარმატებებს მივაღწიეთ; იქ შენი იდეების ზეიმია! – სცადა თავის მართლება რიჟა ეშმაკმა.

– საქართველოში სიმუხთლის, სიცრუის, ბოროტების, დალატის და გარყვნილების ზეიმი ჩემი დამსახურებაა, – სკამიდან წამოდგა შავტუხა, კუზიანი, კოჭლი, თვალებდაფანტული და პირვიწრო ეშმაკი. – შენ ისაც ვერ შესძელი, რომ რუსეთისათვის ქართველები შეგეძულებინა; სულ იმას გაიძახიან, ქართველები ჩვენი განუყრელი, ერთმორწმუნე ძმები არიანო! – კუზიანმა ეშმაკმა მთელი ღვარძლი რქამოტეხილზე დაანთხია.

– შე ბებერო მეტიჩარა, ტრაბახიც და ტყუილიც კარგად გეხერხება. შე ოხერო, რაც ქართველი ერი არსებობს, მისი მოსპობის საქმე გაბარია და მუდამ ჩასვრილი გამოდიხარ. ახლა ისეთი რა ხდება, ასე ტრაბახით რომ იკლებ აქაურობას?! – ბელზებელმა შეუტია გათავხედებულ კუზიანს.

– რაც აქამდე სირცხვილი მაჭამეს, სულ ახლა უნდა ამოვაბალღამო ქართველებს; ისეთი ჭირი შევყარე, ვედარასოდეს გამოკეთდებიან.

– მიდი, ჩამოკაკლე, რას მიადწიე!

– ადრე **“თეთრ მელად”** მონათლული შენი თაყვანისმცემელი რომ დავასვით ქართველებს თავზე, ისეთ ბოროტებას, ღალატს, თვალთმაქცობას და რბევას ჩაეყარა საფუძველი, რომ აყვავებულ და განვითარებულ საქართველოში ნგრევა და გაპარტახება დაიწყო. ახლა ის უკვე ბებერი მელაა და თავისი მოღვაწეობის ტრაბახით იკლებს იქაურობას. მის ადგილზე კი მასზე უარესი მის გამოზრდილთა მთელი ხროვა მოვიდა და საქართველოს კიდევაც უგებენ ანდერძს. ყველაფერი გაყიდეს, მიითვისეს და გააჩუქეს. საქართველოს დაქუცმაცება შენ რომ გინდოდა, ისინი ისეთი წარმატებით აკეთებენ, მეც კი მიკვირს. ქუთაისსა და ბათუმში ამზადებენ სეპარატიზმის ბუდეებს; მერე კი, მშვიდობით, ქართველთა არსებობავ!

პრეზიდენტად ისეთი იშვიათი ეკზემპლარი გავაჩალიჩეთ, რომ თქვენც კი გაგიკვირდებათ, უვერაგესო გარყვნილებავ! მისი მთავრობების თათბირების მაყურებელი მთელი საქართველო დაშოკილია. ხან მშენებარე სახლის სახურავზე სხედან, ხან – მინდორში, ხან ტბის და ხან ზღვის პირას; გამოქვაბულშიც ჩაატარა სხდომა, მაგრამ შენ იმით გაგასწრო, რომ იმ სხდომებზე არავის არ ალაპარაკებს. სანამ ტელევიზიით იღებენ, უამრავ აბდაუბდას ლაპარაკობს და მთავრობის წევრებიც რობოტებივით სხედან, რათა ბოლოს ტაში დააქუხონ. ამ ტელეშოუს შემდეგ დიდი ფაცხა-ფუცხი აქვთ, რათა შემდეგ თათბირზე დროულად წამოსხდნენ. ის კი აგინებს რუსეთს და თან დაატარებს მის მსგავს სულგაყიდულთა ხროვას.

– შედეგი რა არის?

– შედეგი ქართველი ერის გაბითურებაა!

ბელზებელმა რისხვით შეხედა: – მეტიჩრებს ვერ ვიტან! სად არის ახლა ის აკარაკი, თქვენ პრეზიდენტს რომ ეძახით? მაგის წყალობით შეიძლება ქართველი ხალხი ძილქუშიდან ისე გამოვიდეს, რომ ეშმაკის ნაშიერთაგან რქები და ჩლიქებიღა დატოვონ. მე სულ იმას გეუბნებით, რომ თავი არ გამოამჟღავნოთ. თქვენ ერის კაცების სახით ხელისუფლებაში შემძვრალი სატანის ნაშიერები ხართ და ამის გამჟღავნება არაფრით არ შეიძლება, რამეთუ ეს ჩვენი როკვის დასასრული იქნება; ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. ამ ბოლო დროს ქართველებში ძილქუშიდან გამოსვლის პროცესი შეინიშნება და შეიძლება ჩემი მაგიაც კი აღარ ეყოს მის შესაკავებლად. – ბელზებელი კარგა ხანს დუმდა, ღრმა ფიქრებში გაბლანდული. – ქართველებში ჩემი მაგია მეტ-ნაკლებად ჭრიდა; დალატიც გვარიანად ვახარე. ერთმანეთთან ომი, შუღლი და მტრობა ჩემმა ლეკვებმა თესეს, რის შედეგად საქართველოს ხშირად ვაკნინებდი. ისეთი დროც ყოფილა, როდესაც მის მოსპობას აღარაფერი აკლდა, მაგრამ ეს დაწყევლილი უფლისმიერი სიკეთით ნაკურთხი მამულიშვილები დროულად მოევლინებოდნენ ხოლმე ამ ჩემგან გატანჯულ, კაცთმოყვარე და შეუპოვარ ერს, – ბელზებელს ისედაც დაჭმუჭნული სიფათი საშინლად დაეღმიჭა. – რომ მეგონა, მათ ვედარაფერი გადაარჩენდა, უფალმა დავით აღმაშენებელი მოუვლინა ჩემი გულის გასახეთქად, ბოროტების ნაცოდვილარი სულ გამოქარბუქა, – ბელზებელმა ამოიკვნესა, – მე მაინც არ მოვისვენე და კვლავ დავაკნინე. ახლა გამოჩნდა ცოტნე დადიანი და ისეთი გმირობა ჩაიდინა, რომ მთელ ქართველ ერს სიამაყით ავსებს და ჩემს მაგიურ შხამს ახლაც კი ძალას უკარგავს. ახლა, ის დიმიტრი თავდადებული, ჩემი ლეკვის – ხუტლუბუღას დასმენით კი მოვასპობინე, მაგრამ რა, ერის უკვდავების კვარცხლბეკზე მისი ხსოვნა დღესაც სიამაყის გრძნობით ავსებს ქართველთა სულს. ახლა იმ გიორგი ბრწყინვალემ მომიშალა ნერვები, მაგრამ მაგრად ჩავნერგე ფეოდალებსა და ბაგრატიონთა უღირს შთამომავლებში სეპარატიზმი; დააქუცმაცეს კიდევაც საქართველო და ერთმანეთის მტრობით თითქმის მოსპობის კარამდე მივაყვანინე. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, უფალმა ახლა პატარა კახად მონათლული – ერეკლე მეორე მოავლინა და ქართველ ხალხს ძლიერი მეგობარი გაუჩინა ერთმორწმუნე რუსეთის სახით და მიაღწია კიდეც საქართველომ არნახულ გაძლიერებას. ჰოდა, ჩვენი უპირველესი ამოცანა იყო ქართველებში რუსეთის სიძულვილის ჩანერგვა. ძალიან ძნელია, ეს რომ მოხერხდეს, მაგრამ ისეთი ხელისუფლება გავაძვრინეთ, რომ რუსეთის სიძულვილის იმხელა შხამს ანთხევენ, მეშინიან თავად არ მოიწამლონ ღვარძლის სიჭარბით.

ადამიანში გაძლიერებული მხეცური ინსტინქტები ყოველგვარ ადამიანურს სპობენ. ბევრის მოხვეჭის გაუმაძღრობა, ჭამა, სექსუალური აღვირახსნილობა სამშობლოს და ერის სიყვარულს არ სცნობს. ჰოდა, სწორედ ჩვენი სატანური თვისებები: სიძულვილი, სიცრუე, დაუნდობლობა, ვერაგობა, დალატი უნდა ჩავუნერგოთ იმ ადამიანებს, ვისზეც ჩვენი მაგია სჭრის. დანარჩენები უნდა მოვსპოთ, არარაობად და ლაქიებად ვაქციოთ, რომ ლუკმა პურის შოვნის გაწამაწიაში სამშობლოს მტერმოყვარის გარჩევისათვის ვედარ მოიცალონ. ამასობაში კი ბოროტებას ისე გავამძლავრებთ, რომ დაკნინებულ სიკეთეს ჩვენი მაგიის მსხვერპლი აღარ მოუსმენს და ქართველ ერს მოსასპობად ღვარძლს არ დაზოგავს.

ოღონდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ უფალი ქართველ ხალხს მფარველობს და ყველაზე მძიმე ჟამს დახმარებას არ მოაკლებს. ამიტომ, ისე უნდა დავაბეჩავოთ, რომ უფლის დახმარებამ ისე ვერ უშველოს, როგორც შიმშილით გარდაცვლილს თავზედაყრილმა ფლავმა, – ბელზებელს თვითონვე მოეწონა თავისი ნათქვამი, მაგიდაზე შეხტა და როკვა დაიწყო. მას სხვებიც აყვნენ. როცა სიშმაგემ გაუარათ, სკამებზე ჩამოსხდნენ და ბელზებელმა განაგრძო: – უფალს პირისპირ ვერ შევეჭიდები, ძალიან ძლიერია. თავს ისე ვაჩვენებ, ვითომ მისი ერთგული ვარ, მაგრამ რას გამოვაპარებ. ხშირად ამიწევს ხოლმე ყურებს. მეც სისტემატურად ვდალატობ და მის კეთილ საქმეებს ბოროტებით ვწამლავ. თუმცა იცის ჩემი მუხთლობის შესახებ, მაინც მოთმინებით ცდილობს რომ გამაკეთილშობილოს, რასაც ვერასოდეს ეღირსება. მე ბოროტება, შური, სიძულვილი და ყველაფერი ეშმაკისეული მასულდგმულებს და ამ მიზნით უფლის ნატარზე ყოველთვის ვთესავ ეკალ-ბარდს.

რამდენი ხანია ვიბრძვი ღვთისმშობლის რჩეულ საქართველოს მოსასპობად, მაგრამ ყოველთვის, თითქმის გამარჯვებამდე მისულს, ხელი შემიშალეს და მოსპობის ზღვარზე მისული ერი ააღორძინეს, გაამრავლეს და გააძლიერეს. ახლა კი ხელს ვედარაფერი შემიშლის, რამეთუ თვითონ ქართველებში ისეთი ჭირი ჩავთესლე ნაციონალთა სახით, რომ ამ უკურნებელ სენს ვედარ დაეღწევიან! – ბელზებელი მძლავრად ახარხარდა.

– ახლა კი, ნება მოგვეცი, უწმინდურ, უბოროტესო, ცოტა ხანს კუპრის აუზში ვიჭყუმპალაოთ! – სთხოვეს შეკრების მონაწილეებმა და თანხმობის მიღებისთანავე ადუღებულ კუპრის ორმოში გადაეშვნენ. კარგა ხანს იჭყუმპალავეს და ამოსვლისთანავე ნასიამოვნებებმა სველ კატასავით გაიბერტყეს ცხელკუპრიანი ბალანი.

– ჩვენც ზემოთ ამოვალთ, უწმინდურესო! მოგვწყინდა აქ ყოფნა! – ერთხმად აღრიალდნენ შუბლზე ხუთჯვრიანდროშაგამოხატული ჯვაროსნები.

– ვიდრე სულ მთლად არ განიწმინდებით ადამიანობისაგან და მოზრდილი რქებით არ შეიმოსებით, მანდ უნდა იყოთ, – აუხსნა ბელზებელმა.

– ჩვენ რქები მაშინ ამოგვივიდა, როცა ადამიანებს დიდ ქვაბში ვხარშავდით; ბავშვებს, მოხუცებს და ორსულებს ვფატრავდით, – აყვირდნენ ჯვაროსნები.

– ცოდვებით დამძიმებულები მაგიტომ ვერ დაგიმაგრათ სამოთხის ვიწრო ხიდმა. – ახლა მანდ ეყარენით და დაელოდეთ რქების ბოლომდე ამოსვლას! – ბრძანა.

– ჩვენ შეცდომით მოვხვდით აქ. მთელი ჩვენი მოღვაწეობა ხომ უფალს მივუძღვენით, – ახმაურდნენ ინკვიზიტორები და ორმოს კიდეს შეაფოფხდნენ. ბელზებელი ახარხარდა: – თქვენ უფალს კი არა, მე მემსახურებოდით, როცა უფლის სახელით უდანაშაულო ადამიანებს კოცონზე წვავდით კუდიანობის ბრალდებით. უფალს ერთგულებას ეფიცებოდით ჩემი ერთგული მსახურები და ახლაც ჩემთან ხართ. ჩუმად იყავით, მანდ! – დაიღრიალა ბელზებელმა.

ახლა სვასტიკიანი თავების მთელი ხროვა ამოტივტივდა. ერთი ეშმაკი ბელზებელთან მივიდა და მოახსენა: – შენი რჩეული შიკლგრუბერი თუ ნაკელის ხოჭო – ჰიტლერი არ ისვენებს, შენთან შეხვედრას ითხოვს; ჩავაგდო ისევ ორმოში თუ გაესაუბრებით?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სამეგრელო დავით დადიანის დროს

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის იონა მეუნარგიას 1939 წელს გამოცემული წიგნიდან "სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი". (ავტორისეული სტილისტიკა შენარჩუნებულია).

საგარეო საქმეები. რუსის მთავრობასთან განწყობილება. მეზობლის რიდი. საიდუმლო წერილი დავით დადიანისა. მთავრის ვექილები სამეგრელოს გარეთ, – მათი იურისდიქცია

არსებობდა თუ არა დებულება მთავრის ვექილთა სახელმძღვანელოდ, ამაზე ცნობა არ მაქვს. მაგრამ ვგონებ, რომ ეს დებულება არ უნდა ყოფილიყო, რადგან ერთ წერილში, რომლითაც დავით დადიანი აუწყებდა თავად ლევან ჩიქვანს ვექილად დანიშვნას ის აძლევდა ახალ ვექილს ვრცელ დარიგებას, თუ როგორ უნდა ემსახურნა იმას. მომყავს აქ ამის გამო ეს წერილი უკლისად:

"ჩემს ვექილს, პორუჩიკ თავადს ლევან ჩიქოვანს.

აღგირჩიეთ და ამასთანავე დაგნიშნეთ რა ვექილად ჩემად, საქართველოში და სხვათა კავკასიის გარდმოღმა ადგილებთა შინა გასრულთა სამეგრელოს მცხოვრებელთა, ვალათ ვდებთ გულსმოდგინება სიწრფოებით აღსრულებასა ზედა ამის დიდის ჩემის მინდობილობისათა, რომელზედაცა სრულიად იმედნეულ ვარ პირადი მთნობი თქვენი მარად შემისწავებიეს სრულ ყოფათ ჩემი მოლოდინებას, ხოლო ხელმძღვანელად მოქმედებათა თქვენთათვის მოგცემთ შემდგომს დარიგებას.

პირველად უნდა გამოცხადდეთ თქვენს თანამდედობისამებრ თქვენისა უფალს სამოქალაქო ნაჩალნიკთან და მიიღოთ მასთან წარწერილობანი რწმუნებულთა მისდამი მხარეთა ადგილობრივ მეუფროსესთანი და მოქცემდნენ ჯეროვანს შემწეობას ვითა წინამოადგილესა თქვენსა, რა ამისათვის ამასთანავე ვწერ მისს ბრწყინვალებას უფალს სამოქალაქო ნაწილის ნაჩალნიკს და ტფილისის სამხედრო გუბერნატორს.

რომელმან მცხოვრები ჩემისა სამთავროისა არიან ან გასრულნი სავაჭროთ თუ სხუათა საქართველოში მათი სია იქონიეთ და მისცემდეთ წლიურს ბილეთს მათგანს თითოეულს და უბილეთოდ ნურავინ ნუ დაგირჩებათ.

ვინაიდან გასვლითა მცხოვრებთასა ადგილობრივის სამსახურისათა გვაკლდების სამსახური და მისი წილ ვისაც მისცემდეთ წლის ბილეთს, გამოართმევდეთ ფულს უკეთუ მოჯამაგირეთ იყოს თქვენის მიხედვისამებრ სამის მანეთიდან ხუთ მანეთს და სხვათა შემძლებელთა ხუთის მანეთიდან ათამდის.

საპატიო ყმანი, რომელნიც იქნებიან მუნ და ისურვებენ მოქცევასა თავის ყმისას უნდა მაშინვე მიიღოთ საშვალება მოქცევისა მათისა უკეთუ არ ექნებათ მიზეზი ჯეროვანი.

უნდა იქონიოთ წიგნი-რვეული, რომელშიაც უნდა ჩაიწერებოდეს თითოეული ბილეთის ნომერი და ქვეშ უნდა მოაწეროს მან, რომელსაც ბილეთი მიეცემა თავისი სახელი და გვარი და რამდენიც ფულიც შემოუტანია და ვინიცობაა თუ წერა არ იცოდეს იმ შემთხვევაშიდ მან ჯვარი უნდა დაასვას და მისს მაგიერ ვინც წერა იცოდეს მან ხელი მოაწეროს ორითა მოწმითა დამოწმებული.

ბილეთის შემოსრული ფულისაგან ხუთის თავი დამინიშნავს სარჩოთ თქვენისა.

ანგარიშს ბილეთისას და აგრეთვე თქვენის მოქმედებისას ყოვლის ოთხის თვის თავზედ წარმომიდგენთ.

არიან რომელიმე ადგილობრივი მოსახლენი, რომელიც იძლევებიან და ანუ უნდა ხარჯი და თავთავის დროს არ იძლევიან და უმეტეს საეკლესიოთ მიჩუმეთებულთა რამდენიმე და ამაზედ თქვენის მიხედვისამებრ მომახსენებდეთ და გარემოებასა ამათსა რაიცა ჩემდამო მოსაწვრთნელ იყოს შემდგომის ჩემის განკარგულებისათვის.

არიან მრავალნი ესე ვითარნიცა, რომელთაც დაუტოვებიეს ცოლშვილი და იქ სხვა ცოლი შეურთავს, გინა სხვა დანაშაულობაში შეცვენილან, რომელთაც სჯული სდევნის საზღვეულათ და სახელი და გვარი გარდაუსხვავებიათ ამათი გარჩევა ხამს რათა მიეცეს კანონიერი განკარგულება...

მთავარი მინგრელიისა, ჯენერალ-მაიორი და კავალერი დავით დადიანი.

1851 წელი, ზუგდიდი, აპრილის დღესა".

თბილისში და კასპის მხარეში სხვა და სხვა დროს იყვნენ ვექილებად ბერი ჩიქვანი, ლევან ჩიქვანი, გიორგი ხახუს ძე ჩიჩუა და ბეჟან აფაქიძე, სოხუმს – ნიკო ხოფერია.

მთავრის შემოსავალ-გასავალი. გადასახადები. სამთავრო ფინანსები

ღარიბ ქვეყანას მთავარიც ღარიბი ჰყავდა.

ჩემს ხელთ არის ნინო დედოფლის ბეჭდით დამოწმებული და შემდეგში ლევან დადიანისაგან დამტკიცებული თამასუქი (უთარიღო), რომლისგან ჩანს, რომ მთავარ გრიგოლ დადიანს აუღია სესხად გიორგი გუგუშვილისაგან ორი ქესა და ორასი მარჩილი (ექვსას სამოცი მანეთი) და თვით ნინო დედოფალს მართებია მისსივე (გუგუშვილის) ვალი სამი ქესა და ოთხას სამოცი მარჩილი (ქესა სამასი მანეთია, და მარჩილი ექვსი შაური).

ლევან დადიანის და დავითის დროს მთავრების სიღარიბე უფრო გამწვავებული იყო. თვითონ დავით დადიანი აგვიწერს თავის სიღარიბეს და გაჭირვებას. იგი სწერს თავის ძმას გრიგოლ დადიანს:

"მოგეწერა ფულისათვის ჩემთვისა. შენსა სიყვარულს ვფიცავ, როგორც მილიონი ისე ერთი აბაზის მშოვნელი მე ოდიშიდან და სრულიად სამეგრელოდამ არ ვიყო, არც მშობელთაგან ვიცოდე რამე. აქამდის თუ რასმეს გიგზავნიდით, ჩემგან ნაშოვნი იყო, ზოგს ვაჭრობაში, ზოგს სხვა რამეებში პოდრატულს საქმეებში ვერეოდი და მათგან ვპოვნილობდი... მე თუ რამე მქონდეს ვისთვის მინდა, თუ არა სენთვის, რომელიც კვერთხად მეგულები. თხუთმეტი ათასი მანათი მქონდა, ნინოს მზითევად მინდოდა, ხელმწიფის მოსავლაზე დავხარჯე. ეს ფული ვაჭრობითა და პოდრატით მოვიღვაწე. ერთი აბაზი არ დაუხარჯავს მამას და დახარჯვამ შენი ჭირი წაიღოს, არც შემეწია მუშაობაზე და სწორად გითხრა ჩვენის უბედურებით ვერც მოიცლიდა ოჯალეშისაგან... სამეგრელოდამ, შემოწმოს სვინდისი და ჭეშმარიტება, ასი მანათი არ მეშოვნოს რაი შენ მოგშორებივარ. მე ვსცხოვრობ ჩემი ჯამაგირით და აწ ნივთებს უნდა დავუწყო ყიდვა, საათს და ამისთანებს, რომ გამოვიკვებო თავი".

სხვა დროს დავით დადიანი სწერდა გრიგოლ დადიანს:

"ფულის საქმე თეიმურაზსაც მოეწერა, რომ გჭირია. მივსწერე შინ თუ გამაგონეს. მე ერთი გროში არ მაქვს დმერთმან იცის. სანამ მქონდა არც მამას და არც დედას არ ვაწუხებდი, მოგართმევდი ხოლმე. ახლა რაიცა აღარა მაქვს რა გამოგიგზავნო, როგორც შენ ასი მილიონი, ჩემი სახლიდამ თუმანი არ ვიცოდე, დმერთია მოწმე. ახლა ვეცადე ბევრი, მაგრამ არავინ მასესხა და ერთ ადგილს მაქვს იმედი რამდენიმე ვიშოვო. მანამ, თუ გჭირია, ისესხე ქუთისოვიდგამ ან კორსაკოვიდამ და საადგომოდ მოგიხერხებ. იმაზე რატომ არას სწერ წიგნს. არა თუ ფული, სულიც არ მშურს თქვენთვის და რათ მინდა რამე თქვენს გარეშე. ამისთვის გწერდი ჩამოდი მეთქი და ნახე აქაურობა თქო.

იქნება მე მემდეროდე, დავითი ფულს არ მიგზავნისო. საიდამ და სიდგან გამოგიგზავნო. სამეგრელოს შემოსვლიდამ არა თუ ეხლა არ შამომდიოდეს, არც აბაზი ვიცი შემოსრული: თქმა არ დამიკლია, მაგრამ საქმით ბინა არ გაქვს მიცემული და დმერთია მოწმე დამე ძილი არ მქონდეს მწუხარებით. ერთი რომ თქვენს საკადრისად არ ხართ, მეორე ნაკლუვანებაშიაც ხართ.

აი, ამისათვის გწერდი ჩამოდი-თქო. შენს მერე ჩვენ თუ რამე დაგვაკლდა თორემ არ გაგვიკეთებია რა. ასე ქენი, მანამ ეგებ მოიხერხო და მაშინ უკანასკნელად ნივთებს გავყიდი და მოგართმევ, თუ სხვა ვერ ვიშოვე..."

(გაგრძელება იქნება)

"პატივცემულო რედაქცია!

გიგზავნით წერილს, რომლის პირველი ვარიანტი გაზეთ "მარტვილში" გამოქვეყნდა და ამ გაზეთის დახურვის მიზეზი გახდა. რაიონის გამგებელმა რედაქტორს შავი დღე დააწია. მე დიდად ვაფასებ თქვენს პოზიციას, ვარ თქვენი აქტიური მკითხველი და ამიტომაც გიგზავნით ჩემს გულისტკივილით აღსავსე წერილს.

პატივისცემით, მშრმან სულავა. მარტვილი."

რედაქციაში წერილი მოვიდა

ძმაო ხაჩიკ, სანამდის!

გასულ წელს ჩემი წერილი სომხების წრეგადასულ მომხვეჭელობაზე გაზეთ **"მარტვილში"** გამოქვეყნდა, რამაც ზოგიერთი მაღალჩინოსანი გააღიზიანა, მაგრამ ეს გაზეთი ხელიდან ხელში გადადიოდა. მადლობას მიხდიდნენ ასეთი წერილის გამოქვეყნებისათვის. თურმე, სადა ხარ! მაშინ ვწერდი, რომ ისინი რუსთაველს სომეხ პოეტად მიიჩნევდნენ, 650 ეკლესია-მონასტერს სომხურ ისტორიულ ძეგლად, ტაო-კლარჯეთში გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებულ მონასტრებს, როგორიცაა ბანა, იშხანი, ხახული, ხანძთა, რომლებიც მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი – სომხურ ძეგლებად. რამდენიმე წლის წინათ სომხებმა მოსკოვში გამოსცეს ენციკლოპედია რამდენიმე ენაზე, სადაც ამტკიცებენ, რომ ეს ძეგლები სომხურია. ჩვენ კი ყოველივე ამაზე ვდუმთ. ახლახან, საფრანგეთიდან ქართული დიასპორის წარმომადგენლები გვწერდნენ, რომ ყველა რუსულ და სომხურ რესტორნებსა და სუპერმარკეტებში იყიდება ქართული ტრადიციული ბრენდები, რომლებიც დარეგისტრირებულია როგორც სომხური. **"ხაჭაპური" – "ხაჩატურიანი", "ჩურჩხელა" – "არმიანსკოე ჩუდო", "შოთის პური" – "აშოთას პური", "გოზინაყს"** ამშვენებს წარწერა **"აინუში"**, საფერავს – **"პვირფასი სომხური ღვინოების კოლექციიდან"** და ა.შ. ჩვენი საყოველთაოდ ცნობილი **"ბორჯომი"** სომხურ მინერალურ წყლადაა მონათლული. სუხიშვილების ანსამბლი, სომხურ ანსამბლად. სიმღერები **"მრავალჟამიერი"** და **"ჩაკრულო"**, რომელიც ამერიკის კოსმოსურმა სააგენტო **"ნასამ"** დია კოსმოსში გააგზავნა, თურმე **"სომხური"** ხალხური სიმღერა ყოფილა. ყოველივე ამაზე ჩვენს შეშფოთებას ისინი აინუშშიც კი არ აგდებენ. სომხეთის მეღვინეთა კავშირის თავმჯდომარე ავაგ არუთინიანი ქართული მხარის შეშფოთებას **"აბსურდს"** უწოდებს. ახლა, ქართველმა კაცმა სხვა ქვეყანაში შოთი პურის ან ხაჭაპურის გამოცხობა რომ დაიწყოს, მან პატენტი სომხებისაგან უნდა აიღოს. როცა ამას სომხები აპატენტებდნენ, სად იყვნენ მაშინ ჩვენი შესაბამისი სამსახურები? ალბათ მხართეძოზე ეძინათ! რაც შეეხება ჩვენს მაშინდელ სოფლის მეურნეობის მინისტრს, ნამდვილად არ ეცალა, რადგან ჰოლანდიიდან **"ქალი ძროხების"** ჩამოყვანით იყო დაკავებული. ზემოთჩამოთვლილი ეს ბრენდები საქართველოში თურმე ჯერაც არ ყოფილა დარეგისტრირებული: აღნიშნა **"საქპატენტის"** ხელმძღვანელმა ირაკლი ღვალაძემ.

ახლა კი სომხები იმუქრებიან – თუ ქართველები გვიჩივლებთ, უარესს გიზამთო. **"ძალაც შესწევთ"** ამ მუქარის ასრულებისა, რადგან საქართველოს ხელისუფლებაში უამრავი გვარშეცვლილი თანამემამულე ჰყავთ, რომლებიც სომხურ საქმეს უფრო აკეთებენ, ვიდრე ქართულს.

წინა წერილში შეშფოთებას გამოვთქვამდი გოდერძის უღელტეხილზე გზის გაყვანის გამო, და მოვითხოვდი, სახალხო რეფერენდუმის გარეშე ამის ნება არ დაერთოთ ხელისუფლებისათვის. მაგრამ ჩვენი ხელისუფლება ხომ ხალხის აზრს ანგარიშს არ უწევს. ღრმად ვარ დარწმუნებული, ეს გზა და სომხური პორტი ბათუმის აკვატორიუმში მეორე როკის გვირაბი გახდება საქართველოსათვის!

სომხები გრძელთავიანთთა ეთნოსს მიეკუთვნებიან. დიდი რუსი პუბლიცისტი ვასილ ველიჩკო ამბობს: **"სომხებს რომ შევთავაზოთ, რომ სამცხე-ჯავახეთში XVII-XVIII საუკუნის სამარხები გავთხაროთ და თუ იქ მიტოქონდრიული ანალიზის შედეგად დამტკიცდება, რომ ერთი თავის ქალაც კი სომხური ეთნოსის წარმომადგენელს ეკუთვნის, სამცხე-ჯავახეთი მათი იყოსო. მაგრამ სომხები უარს იტყვიან ამგვარ კვლევაზე, რადგან კარგად იციან, რომ ამ საუკუნეებშიო სამცხე-ჯავახეთში მათი ჭაჭანებაც კი არ იყოო".**

რა ხდება დღეს აჭარაში? ქობულეთი უკვე თითქმის სომხური ქალაქია, **"მეჩეთებით დამშვენებული"** ბათუმი კი თურქულ ქალაქად არის ქცეული.

ნუთუ ჩვენმა ხელისუფლებამ არ იცის, თუ რა სწერია ყარსის ხელშეკრულებაში? რატომ არ ახდენენ ამ ხელშეკრულების დენონსაციას? ამის შესაძლებლობა შევარდნაძესაც ჰქონდა და სააკაშვილსაც აქვს, მაგრამ არ იყენებს.

მე ყოველთვის ეჭვის თვალით ვუყურებდი ლეონტი მროველის **"ქართლის ცხოვრების"** სომხურ ვარიანტს. ჩვენ კი იგი ყოველგვარი კრიტიკის გარეშე ვაღიარეთ. ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა და ბევრმა გამოჩენილმა ადამიანმა მიმართა აკადემიის პრეზიდენტს ბატონ თამაზ გამყრელიძეს კომპეტენტური კომისიის შექმნის თაობაზე, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლის ამ ძეგლის წარმომავლობას და მასში მოთხრობილი ამბების სიზუსტეს.

ჩემის აზრით, ასევე შემოგდებულია საქართველოს არაკეთილმოსურნეთა მიერ თარგამოსიანთა ლეგენდა. სომხები დღევანდელ საცხოვრის ადგილზე 2.500 წელია რაც ცხოვრობენ. მანამდე ისინი არც ეგვიპტურ, არც ბერძნულ, არც რომაულ, არც აღმოსავლური ქვეყნების ისტორიულ წყაროებში არ მოიხსენიებიან.

ჩვენ, ქართველები, სხვა კავკასიელ ხალხებთან ერთად, მივეკუთვნებით იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს და არა სომხურ-კავკასიურ ენათა ოჯახს.

თარგამოსი იყო ძე თარაშისი, ძმისშვილი იაფეტისი – ძისა ნოესი. თარგამოსს იაფეტისა და ნოესაგან ათეულ ათასობით წელი აშორებს. მაშ როგორ შეიძლებოდა, რომ 2.500 წლის წინათ ერი ისე გამრავლებულიყო, რომ დედამიწაზე არ დატეულიყო. ამიტომ, ვითომ თარგამოსმა თავისი ქვეყანა თავის 8 ძეს გაუყოო. დააკვირდით, ყველაზე მამაცს, ყველაზე ჭკვიანს – ჰაოსს მისცა თავისი სამეფოს ნახევარი, ხოლო დანარჩენ შვიდს მეორე ნახევარი მისცა. ლეონტი მროველის მიხედვით კავკასიის ხალხთა ეთნარქი არიან თარგამოსი და მისი შვილები. ყოველივე ეს მტკნარი სიცრუეა, ვინაიდან კავკასია, და არა მხოლოდ კავკასია, დასახლებული იყო იბერებით, რომელთაც შემდეგ ბერძნებმა კოლხეთი უწოდეს.

ჩემი მეგობარი, ბატონი ომარ ხუხუა ქართლის ცხოვრებაზე დაყრდნობით წერს, რომ ქართლში თურმე ქართულად კი არა, სომხურად ლაპარაკებდნენო. იქ თურმე სომხური ეთნოსი ბატონობდაო, რაც სრული აბსურდია. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს **"ქართლის ცხოვრების"** სომხების მიერ მათ სასარგებლოდ შემოგდებულ სიცრუეს.

ამ ორიოდე თვის წინ სააკაშვილი სომხეთს სტუმრობდა. საინტერესოა, ჰქონდა თუ არა მას საუბარი ამ საკითხებზე სომხეთის პრეზიდენტთან. ჩვენი ეკონომიკის მინისტრის ქალბატონ ვერა ქობალიას დამაიმედებელი განცხადებები საქმეს ვერ შველის... ახლა, ქალბატონი ვერა ქობალია კანადაში რომ დაბრუნდეს და იქ შოთი პურების ცხობა გააგრძელოს, მას აშოტასთან პრობლემები ექნება.

ჩემს გაოცებას საზღვარი არა აქვს – როდემდის უნდა გაგრძელდეს რეაქციონერ სომეხთა პარპაში? ნუთუ დიდიან-პატარიანად ისე დავჩიავდით, რომ სომხების ლანდისაც კი გვეშინია?

ვაი, საცოდავო საქართველოვ: **"სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?"**

მშრმან სულავა

გაზეთ "ილორის" კომენტარი: შეიძლება მთლად ვერ ვიზიარებდეთ ჩვენი ავტორის სკეპსისს სამხრეთელი მეზობლის მიმართ, რადგან ხარბი და რეაქციონერი სომხების გარდა უხვად არიან ჩვენი მეგობარი სომხები, რომლებიც ჩვენს გვერდით იღვწიან და ჩვენთან ერთად აკეთებენ დიდ ქართულ საქმეს. სამწუხაროდ, რეაქციონერები და ხარბები არც ქართველებს გვაკლია, რაც ასახულია კიდეც ჩვენს დღევანდელ გაჭირვებული ყოფაზე. ამიტომ, ვიდრე სხვას შევუძახებთ, მანამდე საკუთარ თავს უნდა შევუძახოთ და წარსულის მწარე გაკვეთილები გავიხსენოთ. სომხებმაც და ქართველებმაც კარგად უნდა იცოდნენ, რომ ყოველთვის მოიძებნება გარე აგრესიული ძალა, რომელიც ერთმანეთს წაჰკიდებს მომმე ერებს და შემდეგ იოლად წამოაჯდება მათ თავზე. საერთაშორისო რეაქციულ ძალებს საამისოდ პროვოკაციების ულევი მარაგი გააჩნიათ. განა სწორედ გარე ძალებმა არ წამოიწყეს მეოცე საუკუნის დასაწყისში პროვოკაციები თურქეთში, შემდეგ თავად ბუჩქებში შეძვრნენ და უმწეო მშვიდობიანი სომხური მოსახლეობა გავეშებულ თურქებს შეატოვეს პირისპირ. მაშინ ამ პროვოკაციას დიარბექირის ვილაიეთის რამდენიმე სომხური სოფლის მოსახლეობა პირწმინდად შეეწირა და მათ თავს დატრიალებული ტრაგედია ენით აუწერელ სისხლისღვრად შემორჩა კაცობრიობის ისტორიას.

თუ წარსულის მწარე გაკვეთილები არ გავითვალისწინეთ, კიდევ ერთხელ შეიძლება დავაბიჯოთ ფეხი ფოცხს და მტკივნეული დარტყმა მივიღოთ შუბლში, რომელიც ჩვენთვის საბედისწერო და უკანასკნელი ტკივილი აღმოჩნდება.

ამიტომ, ჭკუით ვიყოთ, ქართველებო, და, ძმებო, სომხებო!

ემანდ, ჩვენი ისტორიული მტერი არ გავახაროთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ მოვიგოთ არჩევნები

(ანუ პოლიტიკური იმიჯის ფორმირება საარჩევნო კამპანიის პერიოდში)

ვაგრძელებთ პუბლიკაციებს ბეჭდვას ახალგაზრდა ქართველი პოლიტოლოგის ზურაბ ჯამბურიას ამავე სახელწოდების წიგნიდან.

საარჩევნო კამპანიის ორგანიზებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორად ფორმირებულ იმიჯს, რადგანაც ის არის კანდიდატის (პარტიის) საზოგადოდ სპეციალურად დამკვიდრებული სახე-წარმოდგენა, რომელიც სინამდვილეს შეიძლება არ შეესაბამებოდეს. მაგრამ იმიჯი ეხმარება კანდიდატს (პარტიას) ეფექტური საარჩევნო კამპანიის წარმართვაში, ელექტორალური მხარდაჭერის მოპოვებასა და არჩევნებში გამარჯვებაში. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ხალხი ირჩევს იმიჯს, უფრო სწორად, კანდიდატს, რომელსაც უკეთესი იმიჯი აქვს.

საარჩევნო კამპანიის დროს იმიჯის ფორმირება შემდეგ ძირითად პრინციპებს ეყრდნობა:

– იმიჯის შექმნა იწყება საარჩევნო კამპანიამდე გაცილებით ადრე;

– აუცილებელია ყველა სფეროში (მაგ. პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ა.შ.) ექსპერტების მოზიდვა;

– აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ საკითხებზე, რომელიც აღელვებს უბრალო მოქალაქეებს და ამიტომ მათთან საუბარი უბრალო, ხალხისათვის გასაგები ენით უნდა წარიმართოს;

– იმიჯი არის დამატებითი რგოლი და არა პოლიტიკის შემცველი.

წარმატებული საარჩევნო კამპანიის წარმართვა მოითხოვს არჩევნების საერთო მიმართულებისა და ამომრჩეველთა მრავალფეროვანი სოციალური და ეკონომიკური მახასიათებლების ღრმა სტატისტიკურ დამუშავებას. საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორებმა, საარჩევნო კამპანიის დაგეგმვისას, უნდა შეისწავლონ ამომრჩევლების დამახასიათებელი თვისებები, კერძოდ, მათი რაოდენობა, განსახლება და სოციალური შემადგენლობა. რაც უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალეროვანია ელექტორატი, მით უფრო ძვირადღირებულია საარჩევნო კამპანია, რადგან განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს ყველა ფენა თუ სოციალური ჯგუფი. გარდა ამისა აუცილებელია საარჩევნო ოლქების დეტალურად შესწავლა, რომელიც კანდიდატს მისცემს სწორი მანევრირების საშუალებას.

პროფ. მ. მაცაბერიძე გამოყოფს საარჩევნო ოლქებში შესასწავლ აუცილებელ ფაქტორებს. ესენია:

– საარჩევნო ოლქის სოციალურ-ეკონომიკური პირობები;

– პოლიტიკური კულტურის დონე, ოლქის მოსახლეობის სხვადასხვა ტრადიციების სახით;

– პოლიტიკური სტრუქტურის თავისებურებანი რეგიონში (სხვადასხვა პარტიული ორგანიზაციების, გაერთიანებების რაოდენობა, სხვა კონკურენტების ავტორიტეტი და ა.შ.);

– საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და გაერთიანებების აქტიურობა.

საარჩევნო კამპანიის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად არის კანდიდატის იმიჯი ორიენტირებული ამომრჩევლების მოთხოვნებზე. ამიტომ, საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორები ცდილობენ განსაზღვრონ და დაადგინონ ამომრჩევლების მოთხოვნები, მიზნები და კანდიდატის იმიჯი მას შეუსაბამონ. კამპანიის წარმატებისთვის აუცილებელია კანდიდატის სუსტი მხარეების მინიმუმამდე დაყვანა და ძლიერი მხარეების წარმოჩენა, წინ წაწევა.

როგორც ცნობილია, ყველა პოლიტიკურ სიტუაციაში, ხალხს აქვს ფარული და გაცხადებული მიზნები, რომლის დაკმაყოფილებასაც არჩევნების დროს ცდილობენ. ასეთ შემთხვევაში საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორების მთავარ დანიშნულებას კანდიდატისა და ამომრჩევლების მიზნებისა და შეხედულებების თანხვედრის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე აუცილებელია საარჩევნო ***სტრატეგიისა*** და ***ტაქტიკის*** შემუშავება. ***სტრატეგია*** საარჩევნო კამპანიაში არის საერთო მიდგომა, რომელიც გამოიყენება მოქალაქეების დასარწმუნებლად – ხმა მისცენ კონკრეტულ კანდიდატს; ***ტაქტიკა*** ეხება მიმართვის შინაარსს და ამომრჩევლებამდე მისი მიტანის გზებს.

საარჩევნო კამპანიის დროს აუცილებელია მისი საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა, რომლის მიზანია საარჩევნო ოლქებში პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სიტუაციის შესწავლა, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემების გაანალიზება, არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა, რომლის შემდეგაც იმიჯმეიკერები ახდენენ კანდიდატის საარჩევნო სტრატეგიის შემუშავებას.

საარჩევნო სტრატეგიის შემუშავება საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც რამდენიმე ძირითადი ელემენტებისგან შედგება:

I. სამისამართო ჯგუფების გამოვლენა;

II. საკვანძო პრობლემების განსაზღვრა;

III. საარჩევნო კამპანიის მიზნების დადგენა;

IV. მთავარი სტრატეგიული ხაზის და სლოგანის განსაზღვრა.

ამერიკელმა სპეციალისტებმა, ბარბარა და სტივენ სელმორებმა შემოგვთავაზეს საარჩევნო კამპანიის წარმართვის სამი ძირითადი სტრატეგია:

– პარტიაზე ორიენტირებული სტრატეგია მთლიანად ეყრდნობა იმის დადგენას თუ ვის ემხრობა ამომრჩეველი, და ასევე პარტიულ ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს კამპანიას საჭირო სახსრებით;

– პრობლემაზე ორიენტირებული სტრატეგია მხარდაჭერას ეძებს იმ ჯგუფებში, რომლებსაც მკვეთრად გამოკვეთილი თვალსაზრისი აქვთ სხვადასხვა პოლიტიკურ კურსზე;

– **„იმიჯზე“** ორიენტირებული სტრატეგია დამოკიდებულია კანდიდატის ისეთი თვისებების აღქმაზე, როგორიცაა: გამოცდილება, ლიდერობის უნარი, პატიოსნება, დამოუკიდებლობა და სანდოობა.

საარჩევნო ტაქტიკის მიზანია სტრატეგიის განხორციელებისაკენ მიმართული მოქმედება. ტაქტიკამ საარჩევნო კამპანიისათვის კანდიდატის ხელთ არსებული ადამიანური, მატერიალური და დროითი რესურსების სწორი განაწილება უნდა უზრუნველყოს.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს ეფექტური ტაქტიკის შემუშავება დამოკიდებულია კონკურენტების ზეგავლენაზეც. ამიტომ, აუცილებელია შესწავლილ იქნას კონკურენტები, მათი შესაძლებლობები, ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლო სოციალური ბაზა, მათი კამპანიის სავარაუდო სტრატეგია და მასში გამოყენებული ხერხები, აშკარა და ფარული ფინანსური და ინფორმაციული შესაძლებლობები, სავარაუდო მხარდაჭერა რომელიმე პოლიტიკური ძალის მხრიდან და ა.შ.

კონკურენტებზე შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე იმიჯმეიკერები ადგენენ საარჩევნო კამპანიის წარმართვის ტაქტიკას, რომელიც კანდიდატის პოლიტიკურ პლატფორმაში აისახება. ტარდება შესაბამისი ზომები, რომლის მიზანს კონკურენტების ძლიერი მხარეების განეიტრალება და სუსტი მხარეების თავის საკარგებლოდ გამოყენება წარმოადგენს.

საარჩევნო კამპანიის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საარჩევნო პროგრამის შემუშავებას. იგი სპეციალურად მუშავდება მთელი რიგი სპეციალისტების (იმიჯმეიკერების) მიერ და წარედგინება საზოგადოებას. საარჩევნო პროგრამის შემუშავებამდე აუცილებელია გაანალიზდეს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, რადგანაც იგი საშუალებას იძლევა მოვიძიოთ ინფორმაცია ამომრჩეველთა სხვადასხვა ფენის მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების, მათი ძირითადი პოლიტიკური პოზიციების შესახებ, რომელიც შემდეგ საარჩევნო პროგრამაში უნდა აისახოს.

საარჩევნო პროგრამის მნიშვნელობა ძალიან დიდია, რადგან საზოგადოების მიერ მის მოწონება-არმოწონებაზე ბევრადაა დამოკიდებული საარჩევნო კამპანიის წარმატება. მაგალითად, საქართველოში ამის პრობლემა ნაკლებად დგას, რადგან კანდიდატების (პარტიების) მიერ ამომრჩეველთა წინაშე წარდგენილი საარჩევნო პროგრამები უმეტესწილად ერთმანეთისგან არ განსხვავდება. ამიტომ ამომრჩევლებს უჭირთ მათი ერთმანეთისგან გარჩევა, რის გამოც ხმას ლიდერის ავტორიტეტის მიხედვით აძლევენ.

საარჩევნო პროგრამის შედგენა მეტად რთული საქმეა. ***როგორი უნდა იყოს საარჩევნო პროგრამა?*** – სპეციალისტები თვლიან, რომ პროგრამა მხოლოდ პოზიტიურ ხასიათს უნდა ატარებდეს. მისი დიდი ნაწილი უნდა ეთმობოდეს არსებული სიტუაციის კონსტრუქციულ ანალიზს, ვიდრე კონკურენტების კრიტიკას. პროგრამაში უნდა აისახოს კანდიდატის ღრმა პოლიტიკური შეხედულებები, რომელიც ამომრჩევლებისთვის სიახლეს და დაინტერესების წყაროს წარმოადგენს. პროგრამის საზოგადოდ ცნობილი და გავრცელებული შეხედულებებით შევსებას სასურველი შედეგი არ მოაქვს. პროგრამა უნდა იყოს ორიენტირებული საზოგადოების ყველა სოციალურ ჯგუფზე (ასაკი, ეროვნება, სოციალური სტატუსი და ა.შ.). რადგან ყველას მიმართ ერთნაირი მიდგომა არ შეიძლება. უმთავრესია, პროგრამაში აისახოს და ყურადღება მიექცეს **„ძირითად რგოლს“**, ანუ იმას, რაც ყველაზე მეტად აწუხებს ამომრჩევლებს და რომელიც აუცილებელ გადაჭრას საჭიროებს. პროგრამაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს დასახული მიზნის მიღწევის, გადაჭრის ვადები, საშუალებები, გზები და მეთოდები, რომელიც მეტად აინტერესებს საზოგადოებას. ამას შეუძლია გაზარდოს მოთხოვნა კანდიდატზე – უფრო მეტი ელექტორალური მხარდაჭერის სახით. მაგალითად, საქართველოში პოლიტიკოსებს ახასიათებთ ცრუ დაპირებების მიცემა ამომრჩევლებისთვის, სადაც მხოლოდ მიზნებზეა საუბარი, საშუალებებზე კი – ნაკლებად და ა.შ. ეს კი ამომრჩეველთა მოტყუების დემაგოგიურ ხრიკს წარმოადგენს. რადგან ძალაუფლების მოპოვების შემდეგ ივიწყებენ თავიანთ დაპირებებს და პირადი კეთილდღეობის მოპოვებასა და ძალაუფლების განმტკიცებაზე იწყებენ ფიქრს. ამიტომ, ამომრჩევლები არჩევნებზე იმედს ნაკლებად ამყარებენ. პროგრამაში კანდიდატი ამომრჩეველს უნდა სთავაზობდეს, რომ მისი არჩევის შემთხვევაში მათ უზრუნველყოფილი მომავალი ელოდებათ, პრობლემები, რომელიც საზოგადოებაში არსებობს მოგვარებული იქნება და ა. შ. ამიტომ, მთავარია, პროგრამაში ამომრჩევლებს განემარტოთ თუ რა სარგებელს მიიღებენ მათ მიერ მხარდაჭერილი (არჩეული) კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში. ეს კი ბიძგს მისცემს ამომრჩევლებს გააკეთონ არჩევანი კონკრეტული კანდიდატის სასარგებლოდ.

ამრიგად, საარჩევნო პროგრამა არის ყველაზე მთავარი დოკუმენტი საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად, რომლის მოკლე, ემოციურ და გასაგები ენით გადმოცემას სასურველი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ამომრჩევლებზე. ამაში მდგომარეობს მისი აუცილებლობის არსი.

როგორც ცნობილია, საარჩევნო კამპანიის წარმატება და არჩევნებში გამარჯვება მოითხოვს დიდ ფინანსურ შესაძლებლობებს. მაგრამ, მხოლოდ ფინანსები როდია გადამწყვეტი ფაქტორი, არამედ, მთავარია კანდიდატი (პარტია) შეესაბამებოდეს საზოგადოების მოთხოვნებს. მისი პოლიტიკური პლატფორმა (იდეები, მიზნები და ა. შ.) არ უნდა იყოს გათვლილი მხოლოდ ვიწრო წრეზე, საზოგადოების ერთ ჯგუფზე, არამედ მისი მიზნები უნდა ესადაგებოდეს მთელი საზოგადოების მიზნებს. ამიტომ, საზოგადოების ყველა ჯგუფთან განსხვავებული, სპეციფიკური მუშაობაა საჭირო, რადგან საზოგადოება არაერთგვაროვნებით გამოირჩევა და აქ, მხოლოდ, ფინანსურ შესაძლებლობებზე იმედის დამყარება არ შეიძლება. მაგალითად, 1992 წ. აშშ საპრეზიდენტო კამპანიის მსვლელობისას როს პერომ დახარჯა 60 მლნ. დოლარზე მეტი. იგი ამბობდა, რომ იყიდიდა აშშ-ის პრეზიდენტობას ამერიკელი ხალხისთვის. მაგრამ, საბოლოოდ ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 20% აიღო და ვერც ერთ შტატში ვერ გაიმარჯვა.

საარჩევნო კამპანიის დროს საზოგადოების ელექტორალური მხარდაჭერა არაერთგვაროვნებით გამოირჩევა. იშვიათობაა მსოფლიო ისტორიაში ისეთი არჩევნები, სადაც კანდიდატს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა ჰქონდა. მაგ. 1991 წ. საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც ზვიად გამსახურდიამ ამომრჩეველთა 87% მოიპოვა. მაგრამ, ასეთი შემთხვევები იშვიათობას წარმოადგენს. ელექტორალური მხარდაჭერის არაერთგვაროვნებას განაპირობებს პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში წარმოშობილი პოლიტიკური პარტიების მრავალფეროვნება, მათ მხარდამჭერთა და მოწინააღმდეგეთა, ან არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე განაწყენებული ელექტორატის სიმრავლე. ამის მიხედვით ოლქის ელექტორატი ხუთ ფენად შეიძლება დაიყოს:

1. აქტიური მხარდამჭერები;

2. პასიური მხარდამჭერები;

3. ნეიტრალური პოზიციის მქონენი;

4. უნდობლად განწყობილები;

5. რადიკალურად წინააღმდეგ განწყობილები.

წარმატებული საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად მთელი რიგი მიდგომები და მეთოდ-ხერხები არსებობს, რომელიც სპეციალისტების მიერ არის შემუშავებული. პოლიტიკური რეკლამის ცნობილი ფრანგი სპეციალისტი ჟაკ-სეგელა, რომელიც არაერთი ევროპელი პრეზიდენტების საარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობდა, ჩამოაყალიბა წარმატებული საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად რვა „უნივერსალური“ ცნება:

1. ხმას აძლევენ პიროვნებას და არა პარტიას;

2. ხმას აძლევენ იდეას და არა იდეოლოგიას;

3. ხმას აძლევენ მომავალს და არა წარსულს;

4. ხმას აძლევენ სოციალურ სახეს და არა პოლიტიკურს;

5. ხმას აძლევენ კაცს-ლეგენდას და არა მის უშუალობას;

6. ხმას აძლევენ ბედ-იღბალს და არა ჩვეულებრივ ადამიანს;

7. ხმას აძლევენ იმას ვინც გაიმარჯვებს და არა ვინც დამარცხდება;

8. ხმას აძლევენ ნამდვილ ფასეულობას და არა მოჩვენებითს.

საარჩევნო კამპანიის პერიოდში დიდი მნიშვნელობა აქვს კანდიდატის პიროვნულ თვისებებს და ამ თვისებების წარდგენის ხასიათს. რადგან, ამან შეიძლება განაპირობოს საარჩევნო კამპანიის წარმატება. ამის ნათელი დადასტურებაა რონალდ რეიგანის მსახიობური ოსტატობის დემონსტრირება ამომრჩეველთა წინაშე ურთიერთკავშირის დასამყარებლად. მისი მომხიბლელობა და უნარი საუკეთესოდ წარედგინა თავი მრავალმილიონიანი ტელემაყურებლებისთვის, მისი წარმატების საშუალებად იქცა.

სპინდოქტორი

საარჩევნო კამპანიის დროს მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს ***სპინდოქტორი.*** მისი უშუალო მოვალეობაა მოვლენის ან ფაქტის საზოგადოებაში დამკვიდრება მნიშვნელოვანი და სასურველი ინტერპრეტაციით. რა დროსაც იგი ითვალისწინებს აუდიტორიის მოთხოვნებს და პრიორიტეტებს.

სპინდოქტორის დანიშნულებაა მოვლენის წინ აუდიტორიის მოლოდინის მომზადება. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან მოლოდინის მომზადება განაპირობებს თავად მოლოდინის წარმატებას ან წარუმატებლობას. მაგ. აშშ-ში ფორდსა და კარტერს შორის მიმდინარე დებატებმა გამოავლინა, რომ გამარჯვებული აუდიტორიისათვის ისაა, ვინც პირველად გამოაცხადებს თავს გამარჯვებულად.

სპინდოქტორი ახდენს მოვლენის ორგანიზებას და რეორგანიზებას კომუნიკაციურ სიბრტყეში. მისი როლო კრიზისულ სიტუაციაში უაღრესად მნიშვნელოვანია. თუ კი კანდიდატის მოსაზრების არასასურველი ინტერპრეტაცია მოხდა საზოგადოებაში სპინდოქტორმა, ხიფათის აცილების მიზნით, მოსაზრების სასურველი კუთხით გაშუქება უნდა მოახდინოს.

ამრიგად, სპინდოქტორს, საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, უდიდესი მოვალეობა აკისრია და მისი სამუშაოს მეთოდ-ხერხები რთული და მრავალფეროვანია.

პოლკოვნიკი გურამ ლაკია ამხელს!

ყოველი წლის 14 აგვისტოს მარიონეტული რეჟიმის ტელევიზიები ქვეყანას აუწყებენ, რომ წლების წინ **"ეროვნული გვარდიის"** ნაწილები აფხაზეთში შევიდნენო. თენგიზ კიტოვანის შეიარაღებულ კრიმინალურ ბანდას უწოდო **"ეროვნული გვარდია"** – მკრეხელობაა. თენგიზ კიტოვანი არასოდეს ყოფილა ეროვნული გვარდიის სარდალი. ის 1991 წლის 23 აგვისტომდე იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის **(სტატუსი)** ეროვნული გვარდიის **(სახელწოდება)** სარდალი **(წოდება)** და შს მინისტრის პირველი მოადგილე **(თანამდებობა)**.

1991 წლის 23 აგვისტოს პრეზიდენტ გამსახურდიას ბრძანებულებით თ. კიტოვანი დათხოვნილ იქნა თანამდებობიდან შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის საფუძველზე.

ეროვნული გვარდია, როგორც დამოუკიდებელი სამხედრო სტრუქტურა, შეიქმნა პრეზიდენტის ბრძანებულებით 1991 წლის 26 აგვისტოს და დაექვემდებარა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პრეზიდენტი, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი (იხ. პარლამენტის არქივში **"უზენაესი საბჭოს უწყებანი"** №8-91). ზემოხსენებული ფაქტის იგნორირებიდან იწყება ის დიდი სიცრუე, რომელიც ისახავდა მიზნად საზოგადოებისათვის ხუნტის მიერ ჩადენილი დანაშაულის შელამაზებას და შერბილებას. არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, თ. კიტოვანის შეიარაღებულ კრიმინალურ ბანდას ეწოდოს **"ეროვნული გვარდია"**. ამ სიცრუის ავტორია ე.წ. პროკურორი ანზორ ბალუაშვილი. თ. კიტოვანის გარე ძალების მიერ შეიარაღებული ბანდის **"ბატიაა"**, როგორც მას შეიარაღებული კრიმინალები მიმართავდნენ. ის კი მათ **"პოლკოვნიკის"** სამხედრო წოდებებს ურიგებდა (ა. ბარბაქაძე, თ. ლანჩავა, ჯ. ჭუმბურიძე, დ. თევზაძე, კ. კობალაძე და ა.შ.). **ბევრი ამ კრიმინალებიდან შევარდნაძემ "გენერლებად" აკურთხა და ახლა ეს კრიმინალები სოციალური პრივილეგიით სარგებლობენ.**

გაურკვეველია დღეს არსებული ეროვნული გვარდიის სამართლებრივი სტატუსი, რაც სახელმწიფოსათვის საშიში და საფრთხის შემცველია!

ედუარდ შევარდნაძის მიერ ჩაფიქრებული ავანტიურა, რომელიც მიზნად ისახავდა პატრიოტული ძალების განადგურებას, ბანდფორმირებების თბილისიდან მოშორებას, მათი **"სარდლობის"** ომში ჩათრევას, მოსახლეობის დათრგუნვას, თბილისში კვაზიარჩევნების ჩატარებას, განახორციელეს კრიმინალურმა შეიარაღებულმა ბანდებმა, რომლებმაც არეულობა მოაწყვეს და სხვა ქვეყნის შეიარაღებული ძალების და სპეცსამსახურების დახმარებით დაამხეს ქვეყნის კანონიერი ხელისუფლება.

ედუარდ შევარდნაძეს ჩადენილი აქვს იმაზე უფრო მძიმე სამხედრო დანაშაული, ვიდრე ჩილელ სისხლისმსმელ დიქტატორ პინოჩეტს, რომელმაც თავისი ქვეყნის საოკუპაციოდ უცხო ქვეყნის ჯარები არ შეუყვანია ჩილეში. შევარდნაძეს თავი დღესაც დიდ პოლიტიკოსად მოაქვს და იკვეხნის, რომ მან 1992 წლის აგვისტოში მანიფესტი გამოსცა და "სახელმწიფო დამნაშავეები", ანუ ისინი, ვინც ქვეყანაში კანონიერების აღდგენის მცდელობისათვის ციხეში იყვნენ პატიმრებად გამომწყვდეულები – გაანთავისუფლა. ეს იყო შევარდნაძის მორიგი ფარსი კვაზი-არჩევნების წინ. ეს არის ცინიზმის უმაღლესი ფორმა – ჯალათის მოწყალება, ანუ კარბად ალესილი ნაჯახი!

ბატონ **"მსოფლიო დონის პოლიტიკოსს"** ავიწყდება, თუ რას და ვის წარმოადგენდა ის 1992 წლის აგვისტოში, როდესაც ე.წ. მანიფესტს გამოსცემდა (**თოჯინა იმპერატორი**). რა სამართლებრივი სტატუსი გააჩნდა მას (**ჯ. იოსელიანის და თ. კიტოვანის მიერ მინიჭებული**).

XX საუკუნის აღმოსავლეთ ევროპის ისტორიაში მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდა ე. შევარდნაძე, ცნობილია როგორც **"მახნოვშჩინა"**.

ე. შევარდნაძემ, რომელსაც აღმოსავლეთ ევროპაში **"დემოკრატიის მამად"** მოაქვს თავი, **კრიმინალურ, შეიარაღებულ სახელმწიფო გადატრიალებას "დემოკრატიული რევოლუცია" უწოდა**, ხოლო წითელ, ბოლშევიკურ ინტელიგენციას, რომელმაც კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ხელში იარაღი აიღო, ანუ უკანონოდ შეიარაღებულ ყაჩაღებს მადლობა გადაუხადა (1992 წლის 7 მარტი). ე. შევარდნაძეს რომ აზრად არ მოუვიდოდა, გამოეძია დანაშაული, რომელმაც ჩვენი ქვეყანა გააუბედურა, გასაგებია, ვინაიდან ის იყო თავი და თავი ყოველივე იმ უბედურობისა. ის დანაშაულს დანაშაულს უმატებდა, ლაშქრავდა დასავლეთ საქართველოს, ყვარლის ტყეში ხოცავდა და ატყვევებდა კანიერების აღდგენისათვის მებრძოლ პატრიოტებს, ძარცვავდა, ღირსებას ხდიდა და ანადგურებდა საქართველოს მოსახლეობას. ელცინის რუსეთთან, რომელმაც აფხაზეთის ფაქტობრივი ოკუპაცია მოახდინა, სამარცხვინო და ქვეყნისათვის საზიანო ხელშეკრულებები დადო და დე-ფაქტო აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა, სცნო რა აფხაზეთი მოლაპარაკების მხარედ (სუბიექტად). ამის შემდეგ რუსულ არმიას მოუხმო ადმირალ ბალტინის მეთაურობით დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ნაწილის საოკუპაციოდ, რითაც ჩაიდინა დანაშაული – სამშობლოს ღალატი.

ე. შევარდნაძის მიერ ჩადენილი დანაშაული სამშობლოს წინაშე დღესაც არ არის გამოძიებული და სამართლებრივად შეფასებული.

დღეს არსებული ხელისუფლება სამართალმემკვიდრეა ძალადობით მოსული კრიმინალური ხუნტისა და ამიტომ არ აძლევს ხელს მას, გამოძიებულ იქნას 1991-1993 წლებში მომხდარი მოვლენები და მიეცეს სამართლებრივი შეფასება. ეს არ არის გასაკვირი. ნათქვამია, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო. გაოცებას იწვევს ჩვენი საზოგადოების ინფანტილობა და ნიჰილიზმი. როგორ შეიძლება, გერქვას ქართველი, გქონდეს ათასწლოვანი გმირული ისტორია და დაკნინდე იმ დონემდე, რომ ითმინო ეს ბოროტება. **მე ბოდიშს ვიხდი ჩვენი საზოგადოების წინაშე და არავის ჭკუის სწავლებას არ ვაპირებ. მე მხოლოდ ვცდილობ, გამოვთქვა ჩემი გულისტკივილი და გავერკვე, როდემდე იბოგინებს ქვეყანაში ეს ბოროტი და უღირსი ანტიეროვნული ხელისუფლება.**

თუ ჩვენს თავს ქართველებად მივიჩნევთ, ნამდვილად არ გვეკადრება დავკნინდეთ იმ დონემდე, რომ დავემსგავსოთ მიხეილ სააკაშვილს და მივიღოთ ის პოზა, რა პოზაშიც იმყოფებოდა ის 2008 წლის 10 აგვისტოს ბორში.

გაიხსენეთ, ჩვენ საქართველოს საზღვრებს მიღმა დიდი სიამაყით ვამბობდით – მე ქართველი ვარ! (და აღარ ვუმატებდით, მაშასადამე – ევროპელი). ზედმეტი არ იქნება, თუ შევახსენებთ ზოგიერთი დიპლომატიური მისიის წარმომადგენელს, რომელიც ქცევის წესებს გვასწავლის და ჭკუას გვარიგებს, რომ ჩვენ, ქართველებმა, საკმაოდ კარგად ვიცით მსოფლიო ისტორია. ისიც ვიცით, რომ, როდესაც ზოგიერთი ტომი ხეებზე ცხოვრობდა, საქართველოში ფილოსოფოსები და რიტორები აკადემიურ განათლებას ეუფლებოდნენ. ჩვენი ხუროთმოძღვრები ქმნიდნენ ბაგრატის, გელათის, სვეტიცხოვლის, იყალთოს ტაძრებს...

ხომ არ ავიწყდება ვინმეს, რომ ჩვენ შოთა რუსთაველი გვყავს! იმასაც ვაცნობიერებთ, რომ ყველაფერი, რითაც ვამაყობთ, საუბედუროდ, მხოლოდ წარსულშია და ჩვენი ღვთისმოსავი, ღირსების მქონე, რაინდული სულის მატარებელ წინაპართა დამსახურებაა, რომლებსაც ჰქონდათ მხოლოდ ერთი დევიზი – ენა, მამული, სარწმუნოება!

ჩვენს თაობას ჯერ ღირსება აგვყარეს, შემდეგ მამული წაგვართვეს, ახლა კი – ენას და სარწმუნოებას უტევენ. საზოგადოება კი ამას უტყვად, მორჩილად, მოხარული თევზის თვალებით უყურებს. როდემდე?!

ჩვენს ქვეყანას სექს-ტურიზმის მეძად ამზადებენ და ეს ჩვენს თვალწინ ხდება. ჩვენ კი ტაშ-ფანდურით და ფოიერვერკებით მივესალმებით ერის მორალურ და სულიერ დაცემას. თავს ვიბრამავებთ და არ გვინდა ამ მოსალოდნელი დიდი უბედურების აღძმა. ჩვენთვის მთავარი გახდა სტომაქის ამოვსება და ცხოველური ინსტინქტების დაკმაყოფილება. ასეთი საზოგადოება ადვილი სამართავია, ვინაიდან უმრავლესობაში იქნებიან ხელისუფლებასაც აირჩევენ მეძავთა პროფკავშირები, სექსუალური უმცირესობის ლიგები და **"თავისუფლების ინსტიტუტის"** მიერ წახალისებული რელიგიური სექტები... ამით მივიღებთ ალენ დალესის დოქტრინის ზეობას პატარა, მაგრამ დიდი ტრადიციების მქონე ქვეყანაში. ყოველივე ის, რაც საქართველოში ხდება 1992 წლიდან, უხვად დაფინანსებული ექსპერიმენტია, რომელსაც ახორციელებს ჩვენს ქვეყანაში ის შავი ძალა, რომელიც მსოფლიო ბატონობისკენ ისწრაფვის, რომელმაც დააფინანსა და ხელისუფლებაში ქვეყნის სათავეში მოიყვანა ეს მარიონეტი ხელისუფლება. ჩემი თუ არ გჯერათ, შეეკითხეთ ე. შევარდნაძეს, რომელმაც უკვე მერამდენედ დაასახელა სოროსი და მისკენ გაიშვირა მოკაკული თითი.

ჩემო ძვირფასო თანამემამულენო! თქვენ ხომ ფარნავაზის, ქუჯის, მირიანის, გორგასლის, ბაგრატის, დავით აღმაშენებლის, გიორგი ჭყონდიდელის, გიორგი ბრწყინვალეს, თევდორე მღვდლის, დემეტრე თავდადებულის, მერაბის და ზვიადის შთამომავლები ხართ. ნუთუ ჩვენ მივცემთ უფლებას ერთ მუჭა ნაძირალებს, დაგვავიწყონ ვისი გორისანი ვართ?!

მე მიყვარს და მჯერა ჩემი ერის შემართების! მე უფლებას ვაძლევ ჩემს თავს, მოგმართოთ, ვინაიდან მეც მაქვს სისხლი დაღვრილი ამ ბოროტებასთან ბრძოლაში!

ღმერთი იყოს ჩვენი და ჩვენი ქვეყნის მფარველი!

ქრისტესმიერი სიყვარულით,
გურამ ლაკია

ტოპონიმიკის საოცრებანი, რომელიც თვლემს...

(შიფრი, რომელიც ჯერჯერობით არსად არ გამოქვეყნებულა)

გელენჯიკი
იბერია
თბილისი
ლაციო
სკვითია
ოდიში
ური

მაინც როგორ, როდის და სად იშვა ეს სახელწოდებები?

გელენჯიკი – მეგრულად ნიშნავს **"საზღვრის მორს"** (სწორედ იქ გადიოდა ძველი იბერიის საზღვარი (!). მეორენაირად ეს სახელწოდება **"გარეთა მორს"** ნიშნავს. მაშინ, როცა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი არ არსებობდა და ეს ტერიტორიები საქართველოს საკუთრებას წარმოადგენდნენ, ადგილობრივი მოსახლეები ნახშირს ჩაყრიდნენ ხოლმე ღრმულში, რომ მორის გადაადგილება შენიშნულიყო, რაც წყლის მდინარებას ნიშნავდა... სხვათა შორის ეს წესი, უპირველესად, სვანეთსა და სხვა რეგიონებშიც მტკიცედ იყო დაცული.

იბერია – საქართველოს პირველი სახელწოდება 7.000 წლის წინანდელი **"იმდერეს"** ნიშნავს და მიუთითებს პირველ თავშეყრას მეოტიის ტბის შემოგარენში.

თბილისი – მოდის "ტიბლისიდან" – აკადემიკოსი ს. ზაქარაია, "ტიბ" (თბილი), "ლისი" – "ლისის ტბა". ამ "ტიბ"-მა მთელი ეპოქა შექმნა სრულიად საქართველოში.

"ტიბ-ეტი" – ეს განსაკუთრებული ფენომენია.

"ტიბ-აან-ი"

"გვიშ-ტიბ-ი"

"ტიბ-არინი" – ტომი, ძირითადად თბილზე მომუშავე მჭედლები

"წყალ-ტუბო"

"ტბა" – "ტუბ-ადან" – თბილისიდან...

"თბილისზე სხვა ვარიანტებიც არის უხვად, მაგალითად "თუბალისი" (ნოეს ერთ-ერთი შვილისშვილი, რომელიც კავკასიის ქვეყნების მფარველად ითვლებოდა – "ᲘᲚᲝᲠᲘ"), მაგრამ საბოლოოდ ამ **"ტიბლისზე"** უნდა შეეჩერდეთ, რადგან სწორედ ტბამ და **"თბილმა ადგილმა"** განაპირობა ამ მიდამოებში, საცხოვრისის შექმნა, სულ ცოტა 7.000 წლის წინ და არა **"1500 წლისა ხარ, ზეიმობს შენი სახელი"**, როგორც ამას საქართველოს არაკეთილმოსურნეები ნიშნისმოგებით ამტკიცებენ გიტარაზე...

რაც შეეხება რევოლუციის შემდგომ ოცდაათიან წლებში **"ტიფლისად"** გაკეთებულ ტრაგიკულ შეცდომას, ესეც მათ სინდისზე იყოს (!);

ლაციო, "ლაც" – "ლადრც" – "ნედლი თელა", წარღვნისას აყრილი ძველი იბერიელები მთელს ევროპას და არა მარტო მას – მოედვნენ. დღევანდელ იტალიაში ("იტალიკი") ("გაისვიერ") გაჩნდა დასახლება – "ლაც-ებისა", ესენი იყვნენ ძველი ლაცუბაიები, ლაცაბიძეები...

შემდეგ აქ მოხდა სასწაული: ამ ლაციოში შეიქმნა დღევანდელი რომაულად წოდებული ანბანი, რომელიც ადგილობრივთა აზრით ლაციოში დაფუძვნდა (ისიც დამაფიქრებელია, რომ **"შაბათს"** იტალიურ ენაზე **"საბატო"** ჰქვია (მეგრულად **"საბატონი"** – **"ილორი"**)... მე მაქვს წიგნი, სადაც დეტალურად მითითებულია ძველი იბერიულთან მისი მსგავსება... ის, რომ ლაცებმა არც თვითონ იცოდნენ თუ რატომ ერქვათ ლაცები, ჩვენი, ქართველების სისუსტეა!

ძველიბერიული ანბანი 7.000 წლისაა (თუ ორი ათასი წლით მეტის არა). ახლა შევუდაროთ მას "ლაცური" – "ლაცინუსი" – "ლათინური":

"ჭ" ძველქართულად ასე – შ – იწერებოდა. ეს სავსებით უცვლელად არის გადატანილი და ნიშნავს "ს"-ს (!).

აიღეთ ქართული "ს" და გადაიტანეთ ლათინურში და დაარქვით "ელ". ყველაფერი ისე ადვილია, რომ კაცი გაოგნდება (!).

ქართული "ჯ" ასე იწერებოდა "X"... ნუ შეშფოთდებით, მოაშორეთ მას ზედა ჯოხი და გამოუვიდათ "X"-"იქსი". ხედავთ, რა ადვილად გააკეთეს ამ ლაც...ებმა.

აიღეთ ქართული "დ", რომელიც იწერებოდა – "ი". გადმოაბრუნეთ, რომ არავინ დაგასწროთ და გამოგივათ "U". ასე და ამგვარად, თუ ადამიანი ვერ მოუვლის თავის მამულს თუ თავისთავს, მას ცოლს წაართმევენ, არა თუ ანბანს (!). ასე შეიძლება გაგრძელოთ თვით ლათინურის განადგურებამდე.

სკვითია – მოდის ტომ **"სკვითი"**-საგან. ისინი უპირველესად სკვითების წინაპრები არიან. წარღვნის შემდეგ, 7000 წლის წინ ტრამალებს მოედვნენ და ახალ ადგილას დაფუძვნდნენ მხოლოდ 1000 წლის წინ. მას სასწაული შიფრი აქვს **"სკვითი"**, ძველიბერიულად ნიშნავს გადაფსკვნით მშენებელს. იგულისხმება მრავალი მორებით სახლის სწორედ გადაფსკვნით აგება. ასე აშენდა ძველი მოსკოვი, რომელსაც სწორედ "მასკვითი" ერქვა თავდაპირველად, რაც "მესკვითს" ნიშნავს. **"მასკვ"** გახდა **"Москва"**-ს ძირი (ეს განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა განემარტოს იმ რუსებს, რომლებიც სრულიად უსაფუძვლოდ, პირადი წყენისა და ბოღმის საფუძველზე თავდაჯერებულად აცხადებენ, რომ ქართველები გაურკვეველი წარმომავლობის ხალხიაო).

ოდიში – სამეგრელო. ო-დო-ი-ში-დან **"დოს მთა" "კავკასიონი"** (ვლ. ჩუბინაშვილი) **"დო"** ღვთაების მიხედვით, ესე იგი **"ოდიშელი" – "კავკასიელის"** გაგებით იხმარებოდა. ამ **"დომ"** მთელი ეპოქა შექმნა შემდეგ: **"დო-ნ"-ი "ბატონი კავკასიელი", "დო-იშ-ლანდი", "დორტმუნდი", "დო-ინი", "დონეცკი", "დო-როხოვი"**. დოჩანაშვილი, დოჩია.

რომ არაფერი ვთქვათ განუმეორებელ "ო-დო-იაზე", "დო-უ, დუ-დოუ ნანაზე"...

დღეს ამას არცერთ ახალგაზრდას, მოსწავლეს ამის თაობაზე არაფერს ვეუბნებით (!)), ვაი, ჩქინი ცოდა!

ამიტომაც რომ ნოტების ანბანი სწორედ "დო" ღვთაებაზეა აგებული. ვნახოთ:

დო – ღვთაებამ;

რე(ქ) – ვინც ხარ;

მი – შენ;

ფა-ფა ღვთაების შთამომავალი (ფ-ხი-ე – ქართველებს ასე ეძახიან ჩრდილოეთ კავკასიაში);

სი(ლ) – სად დაიკარგე;

ლა – ლამაზო;

სი – შენ (!).

და რაც ცალკე უნდა გამოვყოთ "დო-ხ-თი-ური" – მკურნალი "კავკასიელი" (!).

ურია – "ურიდან მოსული" – როგორც ცნობილია ქალაქი-დასახლება ური ჩაიძირა 6.300 წლის წინ. ებრაელებს მაშინ უკვე ჰქონდათ ჩამოყალიბებული საკუთარი ცივილიზაცია. ქალაქ ურის ჩაძირვას მათ მიუძღვნეს თხოვნა-მუდარა საცხოვრისის აღდგენის შესახებ – შექმნეს უბადლო **"ავანგილა"**. მოდით, შევხედოთ მისი რამდენიმე გამოთქმის შიფრს. თვით სათაური **"ავა(ვა)-ნაგილა" – "ვაიმე"** საცხოვრისს ნიშნავს ძველიბერიულად.

ტექსტი კი ასეთ საოცრებას გვიყვება:

"ურ-უაა-ხი-დ(ი) რა სამეა...

ო-(მ)უსმახა(ნ)

ანა, ანა, რა-ნანა..."

"ურის ხალხი (უაა), ძენი (ხი) და ქალები (დი) მზეს (რას), ღვთაება "მე ას", ანას, ნანას"...

შეგთხოვთ... აღიდგინოთ... ო, როდემდის"...

ამ "ურიამ" ებრაელმა შემდეგაც სასწაული მოახდინა: შექმნა "ურ-არტუ", პირველი სახელმწიფო დასახლება კავკასიაში, "ურ-თა"...

საკუთრივ თავიანთ თავს ისინი ეძახდნენ "აიდნებს". ამ საოცრებას კარგა ხნის წინ უნდა გასჩენოდა პატრონი. "აიდნ" ნიშნავს – "აიდანს"... თვით ებრაელები აღიარებენ თავიანთ კავკასიურ ძირებს...

P.S. თუ ადამიანმა არ იცის საიდან მოდის, მას არც ის ეცოდინება, საით წავიდეს.

ᲘᲜᲓᲘᲙᲝ ᲙᲕᲔᲙᲕᲔᲡᲙᲘᲠᲘ
2011 წელი, თბილისი

გაზეთ "ᲘᲚᲝᲠᲘᲡ" კომენტარი – **შეიძლება ბატონ ინდიკო კვეკვესკირის ამ მოსაზრებაში ბევრი რამ იყოს საკამათო, მაგრამ ჭეშმარიტი მეცნიერები სწორედ კამათითა და აზრების ურთიერთშეჯერებით იკვლევენ გზას მეცნიერების ლაბირინთებში. ამიტომ, სასურველია რომ გამოგვეხმაურონ ამ საკითხებში ჩახედული სპეციალისტები, ოღონდ არა ისინი, რომლებიც დღესაც პირზე ქაფმომდგარნი ამტკიცებენ, რომ მეგრული და სვანური ენები არ არსებობს და ისინი ქართულის კილოკავებიაო.**

არნო ხიდირბეგიშვილი: ეს იყო აშშ-ის პირველი დარტყმა პრეზიდენტ სააკაშვილზე

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო "საქინფორმის" გენერალური დირექტორისა და მთავარი რედაქტორის – არნო ხიდირბეგიშვილის ინტერვიუ ყოველკვირეულ გაზეთ "ასავალ-დასავალს" (№21, 2011 წლის 23-29 მაისი).

გასულ კვირას საქინფორმის საიტზე ცნობილი ქართველი რეჟისორის – რობერტ სტურუას, ინტერვიუ გამოჩნდა. **„სომეხია და რა ვქნათ?"** – მიხეილ სააკაშვილზე ქართველი რეჟისორის მიერ ნათქვამმა ამ ფრაზამ საკმაოდ დიდი ვნებათადელვა გამოიწვია ნაციონალებში და აჟიოტაჟი – საზოგადოებაში. სწორედ ამ თემაზე ვესაუბრებით საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმის"** გენერალურ დირექტორსა და მთავარ რედაქტორს – **არნო ხიდირბეგიშვილს.**

– ბატონო არნო, რით ახსნით იმ ფაქტს, რომ რობიკო სტურუას საქინფორმისათვის მიცემული ინტერვიუ გასული კვირის ლამის მთავარ მოვლენად იქცა და ამდენი მითქმა-მოთქმა გამოიწვია?

– გენიალური რეჟისორის ექსკლუზიური ინტერვიუ, რომელიც მან საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმის"** საკუთარ კორესპონდენტს მისცა, რა თქმა უნდა, საინტერესო იყო, მაგრამ არავითარ განსაკუთრებულ აღმოჩენას არ შეიცავდა! მიუხედავად ამისა, საქართველოში ის ლამის **„ვიკილიქსის"** დონის სენსაციად იქცა, საზოგადოებაში უზარმაზარი რეზონანსი გამოიწვია და პირდაპირ **„აიფეთქა"** ქართული მედიასივრცე: **„რუსთავი 2"**-მა, **„იმედმა", „მაესტრომ"** და სხვა ტელეკომპანიებმა მას ყველაზე ძვირადღირებული საეთერო დრო და კარგა მოზრდილი სიუჟეტები მიუძღვნეს, გაზეთებმა და ჟურნალებმა კი – პუბლიკაციები და ინტერვიუები. ეს ის უნიკალური შემთხვევაა, როდესაც იღებენ ინტერვიუს ინტერვიუს შესახებ...

მე რაც შემეხება, კომენტარზე უარი ვთქვი და მხოლოდ **„ასავალ-დასავალს"**, რომელიც ჩემთვის ჟურნალისტური **„ალმა-მატერია"**, როგორც ყოველთვის, სიხარულით ვესაუბრები.

– დიახ, მაგრამ კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება... საქართველოში ბევრი რამ ხდება, „სახალხო კრება" და დანარჩენი ოპოზიცია აქტიურად მოქმედებენ, ქვეყნის გარეთაც დაძაბული ვითარებაა, და ამ დროს თეატრის რეჟისორის, თუნდაც, გენიალურის, უაღრესად გულახდილი ინტერვიუ ამ ყველაფერს გადაფარავს... ამავე დროს, გაუგებარია – რატომ გაისმის ბრალდებები საქინფორმისა და პირადად თქვენი მისამართით. რით ახსნით ამას?

– **„ვარდების რევოლუციიდან"** დაწყებული, ყოველთვის ვამბობდი, რომ მიშას ვარდი მხოლოდ დარდია! იგივე ეხება ყველა დროისა და ხალხის საუკეთესო **„რიჩარდ მესამეს"** დამდგმელ რეჟისორს, რომელმაც ამ ხელისუფლების მოსვლისთანავე თქვა მასზე სიმართლე, იმ დროს, როცა ქართველი ინტელიგენციიდან ბევრი ტაშს უკრავდა, მათ შორის, თავად რიჩარდ მესამე – თანამედროვეობის გამოჩენილი მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე! გაიხსენეთ: მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის სასახლეში მან ჯერ ხოტბა შეასხა **„ჭკვიან ახალგაზრდა ლამაზ სააკაშვილს"**, მერე კი მეუღლესთან ერთად მონაწილეობა მიიღო კლიპის გადაღებაში სიმღერაზე **„რა ლამაზად თენდება!"**, რაც, პრაქტიკულად, **„ვარდების გადატრიალების"** პრეზენტაცია აღმოჩნდა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მის **„ლეგალიზაციაში"**. და ის, რომ მიშა სომეხია, ასევე, არ არის ახალი ამბავი, სტურუამდე ეს ბევრმა თქვა...

– სწორედ ამიტომ კიდევ ერთხელ გკითხავთ – ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა?!. გაქვთ თქვენი ვარაუდი?.. როგორც ჩანს, ამ ინტერვიუს ასეთი თავბრუდამხვევი წარმატება თქვენთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა...

– ეს იყო **აშშ**-ის პირველი დარტყმა პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ! განვმარტავ: საქმე ის არის, რომ ამერიკა უკვე შეუდგა ხელისუფლებიდან პრეზიდენტ სააკაშვილის თანდათან ჩამოშორებას, და ამ მომენტში ვაშინგტონელ პოლიტტექნოლოგებს სწორედ დროულად ჩაუვარდათ ხელთ ჩვენი ინტერვიუ ბატონ რობიკოსთან.

ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ საკმარისად შეისწავლა ქართული მენტალიტეტი და იცის, რომ საქართველოში ყველაზე დიდი კომპრომატი ვიღაცის პედერასტად მონათვლა იყო, გარკვეულ წრეებში კი – სომხადაც. საქართველოში **აშშ**-ის შემოსვლის შემდეგ პედერასტობა ცოდვა კი არა, ღირსება გახდა. რაც შეეხება **„სომეხს"**, იგივე მოხდა, რაც **აშშ**-ში ზანგებთან დაკავშირებით – მათ **„აფროამერიკელები"** ეწოდათ, მაგრამ გარკვეული წრეებისთვის ისეთივე **„შავებად"** დარჩნენ...

ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში ეს კარგად იციან, ამიტომ, იმის მიუხედავად, რომ მიშამ ყველა ეროვნული განსხვავება წაშალა, როდესაც ჟვანია ზედმეტი გახდა და მისი მოშორება იყო საჭირო, მათ სწორედ ეს, საქართველოში მარად წაუგებელი **„შავი პიარი"** გამოიყენეს – სომეხი, ანტონიანი! – და მართალი აღმოჩნდნენ: ჟვანია სომეხი რომ არ ყოფილიყო, მისი სიკვდილი ზოგზოგიერთებს ასე არ შერჩებოდათ და მას მეორე დღესვე არ დაივიწყებდნენ, ხოლო მისი მოღალატე მეგობრები შვებით არ ამოისუნთქავდნენ (ზურაბს ნამდვილი მეგობრები არ ჰყოლია, საკუთარი ოჯახის გარდა...).

დღეს კი ხელისუფლებიდან თანდათან მიშაა მოსაშორებელი – და აი, საქინფორმში გამოჩნდა ინტერვიუ არცთუ მრავალთაგან ერთ-ერთი ადამიანისა, მთელი მსოფლიოსთვის საქართველოს სავიზიტო ბარათს რომ წარმოადგენს, რომელიც სააკაშვილს სომეხს ეძახის, რითაც საბოლოოდ **„ასვამს ბეჭედს"** ამ საკითხს: განა ლენგლიში ამგვარ საჩუქარს ხელიდან გაუშვებდნენ?!

მსწრაფლ აფრინეს ინსტრუქცია გიგა ბოკერიასთან: **„ტელეკომპანია „იმედმა" სასწრაფოდ გააპიაროს!"** რაც გაკეთდა კიდეც (თუმცა უაღრესად დაბალ დონეზე). **„იმედსა"** და სხვა ტელეარხებზე მთელი სიუჟეტის განმავლობაში ერთი სიტყვითაც კი არ უარყოფენ, რომ მიშა სომეხია, არამედ გვიმტკიცებენ, რომ საქართველოში სომხობა ცოდვა აღარ არის, რითაც ირიბად კიდევ ერთხელ ადასტურებენ სააკაშვილის სომხურ წარმოშობას!

აი, ასე გამოიყენეს პროფესიონალებმა **„ცეერ-უ"**-დან ანტიამერიკული პუბლიკაცია საკუთარი მიზნებისთვის (ისწავლეთ, **„იმედის"** ჟურნალისტებო, რათა, როცა უსამსახუროდ დარჩებით, სამუშაოდ საქინფორმში მიგიღონ).

აი, რა იყო ის მთავარი, რამაც ეს ინტერვიუ სენსაციად გადააქცია, საბჭოთა კავშირის ნოსტალგია კი მხოლოდ და მხოლოდ თეატრალური დეკორაციაა! ეს იმიტომ, რომ გუშინაც, დღესაც და 1000 წლის შემდეგაც სტურუას ერთი სიტყვა სააკაშვილისა და ერთად აღებული ყველა ქართველი პოლიტიკოსის მილიონ სიტყვას გადასწონის. უფრო მეტიც, მთელი ქართველი ხალხი, რომელიც საქართველოს ყველა მოქალაქეს ეერთიანებს – სომხებს, აზერბაიჯანელებს, რუსებს, უკრაინელებს, ქურთებს, ებრაელებს, ბერძნებს, ასირიელებს – ერთსულოვანია იმაში, რომ საქართველოში პრეზიდენტი ქართველი უნდა იყოს!

და ნურავინ დადებს თავს **„რომის პაპზე მეტ კათოლიკობაზე"** – მამაჩემის და, საერთოდ, ჩვენი ოჯახის უახლოეს მეგობარსა და ხშირ სტუმარს – სერგო ფარაჯანოვს, ფრიად გესლიანი იუმორი ჰქონდა. მისთვის ავტორიტეტები და ტაბუდადებული თემები არ არსებობდა – შეეძლო, ნებისმიერისთვის დაეცინა, რასაც გამუდმებით აკეთებდა და ჰქონდა კიდეც ამის უფლება! მაგრამ სერჟიკი იშვიათად თუ მეგობრობდა ისე ვინმესთან და იმგვარად ეთაყვანებოდა (არ შევუშინდები ამ სიტყვას), როგორც რობიკო სტურუას. ვგონებ, მამაჩემის, ტარკოვსკის, ვისოცკის, დოდო აბაშიძის გარდა, რომლებიც ჩვენთან სახლში მოჰყავდა ხოლმე, ვინმეს დასახელება გამიჭირდება... ის **„რიჩარდ მესამეს", „კავკასიური ცარცის წრის"** ყველა სპექტაკლზე დადიოდა, პირველ რიგში ჯდებოდა და გამუდმებით მაქებინებდა, მეც ასევე მოვქცეულიყავი!..

აი, ნამდვილი ქართველი და სომეხი, და არა გიორგი არველაძე და გრიშა ბაიბურთი: პირველმა, არველაძემ (**„იმედის"** ახლანდელმა შეფმა), კულუარული ინფორმაციით, საქართველოში პირველი საინფორმაციო სააგენტო **„საქინფორმის"** ლიკვიდაცია მოახდინა, რათა 2006 წლის 10 აგვისტოს აუქციონზე გაეტანა და საკუთარი ინკოგნიტო პარტნიორებისთვის 5 მილიონ 50 ათას დოლარად მიეყიდა საქინფორმის კუთვნილი პრესტიჟული შენობა თბილისის ცენტრში (რუსთაველის გამზირი №42). თავის მხრივ, მათაც გარკვეული ხნის შემდეგ 10 მილიონ დოლარად გაყიდეს შენობა, და ისევ – თავისიანებზე.

მეორემ, გრიშკა ბაიბურთმა, 2007 წლის 10 აგვისტოს, დილის 4 საათზე, ბარბაროსულად გამოყარა საკუთარი ოფისებიდან – კოსტავას №14-ში განლაგებული გამომცემლობა **„სამშობლოს"** შენობიდან – 80 გაზეთისა და ჟურნალის, მათ შორის, **„ასავალ-დასავალის"**, რედაქციები, და კიდევ ათამდე გამომცემლობა და ტიპოგრაფია. და მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ცენტრში (საქინფორმის ყოფილი შენობიდან ორიოდე ნაბიჯში) მდებარე შენობის გაყიდვა ხელისუფლებამ ვერ შეძლო, მედიის წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციისთვის გრიშკა-თვითმარქვია ფინანსთა მინისტრის მოადგილედ დანიშნეს!

– დიახ, თქვენთვის, როგორც ჟურნალისტისა და ამ მოვლენების მონაწილისათვის, ალბათ, ძნელია ამის პატიება და დავიწყება... მახსოვს, როგორი ტრაგედია იყო ჩვენთვის, როცა მთავარი რედაქტორის მიერ საკუთარი ხელით რუდუნებით შექმნილ „ასავალ-დასავალის" ოფისს, უიშვიათეს ბიბლიოთეკასა და აპარატურას სააკაშვილის ლაქიები აჩანაგებდნენ და ქუჩაში ყრიდნენ. მთავარ რედაქტორს, ბატონ ლაშასაც კი, არ მისცეს უფლება, საკუთარ რედაქციაში შესულიყო და ნივთები მშვიდად ჩაელაგებინა. თქვენ მაშინ მთავარი რედაქტორის მოადგილე იყავით და მახსოვს, როგორ ჩაიცვით სტალინის კიტელი, მარჯვენა ხელში გენერალისიმუსის ბიუსტი დაიჭირეთ, მარცხენაში – სააკაშვილის პორტრეტი და ცენტრალური პროსპექტი გადაკეტეთ...

– ერთადერთი, რაც უპატიებელია, ეს არის პროვინციალიზმი და პროფესიონალიზმის არარსებობა! სწორედ ამან დაღუპა საქართველო! მოკლული პატარკაციშვილისათვის წართმეული ტელეკომპანია **„იმედი"**, რომელსაც დღეს არველაძე უდგას სათავეში და რომელიც ხელისუფლების ჯიბის ტელევიზია გახდა, დღეს მთელ **„ჭუჭყიან სამზარეულოს"** ახორციელებს, მაგალითად, ავანტიურულ პროექტებს რუსეთის ვითომდა ახალი შემოჭრის შესახებ. მაგრამ ის უარესად მუშაობს, ვიდრე მეწაღე ხაჩიკა, ეს კი ერთდროულად სასაცილო და სამწუხაროა.

სასაცილოა, როცა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფიციალური აგენტები, რომლებიც მორჩილად ასრულებენ საქართველოს ხელისუფლების ყველა შტოზე მიმაგრებული ამერიკელი ინსტრუქტორების – მზვერავებისა და პოლიტტექნოლოგების – მითითებებს, მე, პუბლიცისტსა და ცნობილ ჟურნალისტს, **„რუსული დაზვერვის აგენტს"** მიწოდებენ ან **„მსხვერპლის სინდრომით შეპყრობილად"** მნათლავენ, რომელიც ყველა სტატიაში ოკუპანტ ქვეყანას განადიდებს! როგორი არაადეკვატური უნდა იყო, რომ აგენტი უწოდო ადამიანს, რომელიც ყოველთვის დიად და მწვავედ აკრიტიკებს ამჟამინდელ ხელისუფლებასა და მის ვაშინგტონელ პატრონებს, და, ამავე დროს, იქვე ადიარო, რომ ის ამას აკეთებს სახალხოდ – თავის პუბლიკაციებში ინტერნეტსა და პრესაში!

აიღონ ხუთი წლის წინანდელი **„ასავალ-დასავალი"**, დეტექტივები ან, უკიდურეს შემთხვევაში, წაიკითხონ იდიოტური კანონი **„ლუსტრაციის შესახებ"**, სადაც წერია, რა არის აგენტი, კონფიდენტი, კადრის მზვერავი, მოქმედი რეზერვის ოფიცერი და ა.შ.

მაგრამ **„იმედში"** დოქსოპულოს ღირსეული გამგრძელებლები მუშაობენ: 37 წელს სწორედ ასეთები ასვამდნენ ადამიანებს ხალხის მტრის დაღს, შემდეგ კი ხვრეტდნენ მათ! სწორედ ასეთებს ელანდებოდათ ყველგან კრემლის აგენტები, რითაც ბედკრული პირველი პრეზიდენტი კუთხეში მოიმწყვდიეს და მოკლეს! საეჭვოა, ვინმემ, ვინც მიცნობს, იცნობს ჩემს ნაშრომებს, მეგობრებს, ცხოვრების სტილს, რომელშიც სიყვარული ჭარბობს, თქვას, რომ მსხვერპლის სინდრომით ვარ შეპყრობილი, მაგრამ მხოლოდ აბორტის მსხვერპლს თუ მოელანდება, რომ სტურუასა და ჩემთვის სამშობლო სოციალისტურ ინტერნაციონალთან ასოცირდება!

მათთვის კი სამშობლო და **„ნაცმოძრაობა"** მართლაც ერთი და იგივეა! მადლობელი ვარ, რომ სტურუას შემადარეთ, მადლობელი ვარ, რომ კიდევ ერთხელ მომეცით საბაბი, მეთქვა:

საქართველოსა და რუსეთის მეგობრობას ალტერნატივა არ აქვს, ქართველ ხალხს არ ჰყავდა და არც ეყოლება რუს ხალხზე უფრო ახლობელი ხალხი, რუსეთი და საქართველო მალე ძმობასა და მეგობრობაში იცხოვრებენ, როგორც ადრე, და ყველა პრობლემა მოგვარდება!

სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მათ, ელემენტარულად, ქართულად კითხვა არ იციან და არნოს ნაცვლად არნიდ მიხსენიებენ, ისევე, როგორც აქუბარდია, რომელიც ეთერში ხიდირბეგაშვილს მიწოდებს, ხიდირბეგიშვილის ნაცვლად. თუმცა ტელეკომპანია **„იმედმა"** პროვინციალიზმითა და არაპროფესიონალიზმით დღეს ტელეკომპანია **„კავკასიასაც"** კი აჯობა! ქართველები რომ ყოფილიყვნენ, ეცოდინებოდათ, რომ სახელისა და გვარის შეგნებულად დამახინჯება ისეთივე შეურაცხყოფაა, როგორიც დედის გინება.

– ბატონო არნო, რას აპირებთ, ნუთუ ამ ბრალდებებს აპატიებთ და ყველაფერი შერჩებათ, სასამართლოში სარჩელს შეიტანთ თუ არა?

– დიახ, სარჩელის შეტანას ვაპირებ, მაგრამ მე, როგორც ჟურნალისტური კოლექტივის ხელმძღვანელი, თითოეულ ჩემს თანამშრომელზეც ვაგებ პასუხს, ამიტომ დღეს, ქართული პრესის ლიდერისა და საქართველოს უახლესი ისტორიის ცოცხალი მემატიანის – **„ასავალ-დასავალის"** – ფურცლებიდან საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმის"** სახელითა და დავალებით მივმართავ საქართველოში აშშ-ის ელჩს, ბატონ ჯონ ბასს:

საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების პატრიოტულად განწყობილი თანამშრომლებისგან – საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმის"** მუდმივი მკითხველებისგან – მიღებული ინფორმაციის მიხედვით, ჩვენი ჟურნალისტებისა და ჩემ წინააღმდეგ პროვოკაციები მზადდება. „იმედის" ზემოთ ხსენებული ტელესიუჟეტის (2011 წლის 19 მაისი, **„ქრონიკა"** 20 საათზე) ავტორებმა და დამკვეთებმა, რომლებმაც საქინფორმი – საქართველოს პრორუსული პრესის ლიდერად, ხოლო მთელი ჩვენი ჟურნალისტური კოლექტივი რუსეთის ინტერესებისათვის მომუშავე სამშობლოს მოღალატეებად გამოაცხადეს, საგანგებოდ შექმნეს ფონი, რათა შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა მიერ ჩვენი ჟურნალისტებისთვის პროვოცირებული ქუჩის ინციდენტი ან ჩემთვის, მთავარი რედაქტორისათვის, მოწყობილი ავტოსატრანსპორტო შემთხვევა აღქმული იქნეს როგორც მოსახლეობის სიძულვილი ოკუპანტების მსახურთა მიმართ! რის შემდეგაც დააკავებენ „დამნაშავეს", რომელიც, სავარაუდოდ, ოპოზიციის წარმომადგენელი აღმოჩნდება, რითაც ბარემ ოპოზიციაც დისკრედიტებული იქნება. **„დამნაშავეს"**, ანუ უშუალო შემსრულებელს, ამ ბინძური ოპერაციისთვის სისხლის სამართლის სხვა დანაშაულს აპატიებენ, რომელიც ხანგრძლივი პატიმრობით ისჯება.

ვაფრთხილებთ **აშშ**-ის საელჩოს, რომელმაც არაერთხელ დააფიქსირა, რომ მედიის თავისუფლება და ჟურნალისტის ხელშეუხებლობა საქართველოში დემოკრატიის მთავარი მაჩვენებელია: ნებისმიერი მსგავსი შემთხვევისას (ჟურნალისტის სიცოცხლის ხელყოფის ან მისთვის პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის) პასუხისმგებლობა სრულად და მთლიანად დაეკისრება როგორც საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას, ისე მის ამერიკელ კონსულტანტ-კურატორებს!

ინფორმაციები

სამართალდამცავები ჟურნალისტებს ფიზიკურად გაუსწორდნენ

(ხელისუფლების სისასტიკემ 2 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ათობით ადამიანი სასტიკად ნაცემია)

„სახალხო კრების“ პარლამენტის შენობასთან მიმდინარე საპროტესტო აქციის დაშლისას დაკავებულთა და დაზარალებულთა შორის ჟურნალისტებიც აღმოჩნდნენ. მთელი ღამის განმავლობაში რამდენიმე საინფორმაციო საშუალება პერიოდულად ავრცელებდა ინფორმაციას საკუთარი ჟურნალისტების მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფისა და შესაბამისი აღჭურვილობის წართმევის ან დამტვრევის შესახებ. მათ შორის აღმოჩნდნენ თითქმის ყველა საინფორმაციო სააგენტოს თანამშრომლები, რომელთა ნაწილს რეზინის ტყვია მოხვდა, ნაწილი კი სამართალდამცველებს ძირს ჰყავდათ დაგდებული და უმოწყალოდ სცემეს. რამდენიმე დაშავებული ჟურნალისტი დააკავეს, განყოფილებაში მათ სიტყვიერი შეურაცხყოფაც კი მიაყენეს, თუმცა მოგვიანებით მოუბოდიშეს და გამოუშვეს.

აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანს პრესის წარმომადგენლის დამადასტურებელი საბუთი ჰქონდა, თუმცა, როგორც თავად ჰყვებიან, სამართალდამცველებმა მათ ყველანაირი საბუთი და პირადი ნივთები წაართვეს და სასტიკად გაუსწორდნენ.

„სახალხო კრების“ პრესსამსახურის თანამშრომელს, ჟურნალისტ ალეკო ჩუბინიძეს, სასამართლომ ადმინისტრაციული სასჯელის სახით ერთთვიანი პატიმრობაც კი შეუფარდა, თუმცა რა ბრალდებით გაასამართლეს ჟურნალისტი, აქამდე უცნობია.

აღსანიშნავია, რომ წუხანდელი ინციდენტის დროს სამართალდამცველებმა რამდენიმე რუსი ჟურნალისტიც დააკავეს, რომელთა ადგილსამყოფელი ჯერჯერობით უცნობია.

სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” და გაზეთი “ილორი” გმობენ ჟურნალისტების მიმართ მსგავსი ძმედებების განხორციელებას და მათთვის პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს ხელის შეშლის ფაქტებს!

რესპუბლიკურ საავადმყოფოში ამ დრომდე რჩებიან „დაიცავი საქართველოს“ წევრი ბიძინა გეგიძე და მომღერალი გია გაჩეჩილაძე.

დაშავებულებთან დაკავშირებით საავადმყოფოს ადმინისტრაციის მხრიდან ჯერჯერობით არანაირი ოფიციალური განცხადება არ გაკეთებულა.

მთელ ამ ისტორიაში კი ყველაზე ამაზრზენი ისაა, რომ დარბევის შედეგად დაზარალებულები პოლიციელებმა საავადმყოფოებში ხელბორკილებით მიიყვანეს.

მართლაც დიდი შიში აქვთ!

„ვისაც რიგში დგომა არ უნდა, სხვა ბანკში გადაიხადოს!“

„ლიბერთი“ ბანკში ყოველთვის რიგებია, განსაკუთრებით, როცა პენსიებს არიგებენ ან კომუნალური გადასახადების გადახდის ვადა იწურება, ძირითადად, დილის საათებში, როცა მომხმარებელი ცდილობს, სამსახურში წასვლამდე მოასწროს თანხების გადახდა (საღამოს ხომ თითქმის ყველა ბანკი სხვა სამსახურებზე ადრე ამთავრებს მუშაობას).

სულ ცოტა ხნის წინათ თბილისში, დიდ დიღომში, პეტრიწის ქუჩაზე მდებარე „ლიბერთი“ ბანკი გაფართოვდა. ხალხს აღარ უწევს წვიმასა და ქარში ქუჩაში დიდ რიგებში დგომა, თუმცა ლოდინი მაინც უხდებათ, რადგან სწორედ პიკის საათებში ერთ სალაროსთან შეჯგუფულნი რუდუნებით დგანან და ელიან თავიანთ რიგს.

როგორც საქინფორმს წყარო ატყობინებს, დღეს დილითაც კომუნალური დავალიანების გადასახდელად მისულს სალაროსთან რიგი დახვდა. მხოლოდ ერთი მოლარე მუშაობდა. სერვისცენტრის მენეჯერმა თვალი მოჰკრა ინვალიდის ეტლით მისულ მომხმარებელს და ხალხს მისთვის რიგის დათმობისკენ მოუწოდა (?!), რაზეც მიუთითეს, რომ ამ მოწოდების ნაცვლად, ჯობდა, სამივე მოლარეს ემუშავა. ამ ეტაპზე გადასახადების გადახდა, თურმე, ოპერატორებთანაც შესაძლებელი ყოფილა, მათთან კი რიგები შედარებით შეთხელებული იყო (ამ მომსახურებასაც ხელმძღვანელობა წამდაუწუმ ცვლის და კლიენტმა აღარ იცის, რიგი სად დაიკავოს). თუმცა შენიშვნა მენეჯერს არ ესიამოვნა და

მომხმარებელს შეახსენა, რომ სხვა ბანკებშიც შეიძლებოდა გადახდა.

არადა, „ლიბერთი“ ბანკების მხოლოდ რამდენიმე სერვისცენტრშია შესაძლებელი საკომისიო დანარიცხის გარეშე კომუნალური დავალიანების გადახდა. „ვისაც რიგში დგომა არ უნდა, სხვა ბანკში გადაიხადოს“, – ასეთი იყო სერვისცენტრის მენეჯერის პასუხი.

ყოფილმა სახალხო ბანკმა თავისი სახელი ვერ გაამართლა და როგორც ხალხში იყო გავრცელებული, **„ბიძია პიპლეს ბანკი“ „ლიბერთი“** ბანკად გადაკეთდა.

„ეს „ლიბერთი“ ბანკია!“ – შეასწორა მენეჯერმა მისი სახალხოობის შეხსენებაზე.

ანატოლი მილჩენკო ფეხბურთის მსაჯებს მოამზადებს

როგორც საქინფორმის რეგიონული კორესპონდენტი სამეგრელოში ზუგდიდიდან იუწყება, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ფეხბურთში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ანატოლი მილჩენკომ სამეგრელოს რეგიონის სპორტის სამსახურის ხელმძღვანელებთან თათბირი ჩაატარა. იგი მოხსენებით გამოვიდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ფეხბურთის ახალგაზრდა მსაჯების მომზადებასა და მათი ქართულ ფეხბურთში ინტეგრაციასთან დაკავშირებით. **„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას იდეაა, რომ შეიქმნას საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა აკადემია, რომელიც, გარდა მსაჯებისა, მოამზადებს მენეჯერებს, იურისტებს, მწვრთნელებს. ჩვენი სურვილია, სამეგრელოში დაარსდეს ამ აკადემიის ფილიალი. ამისთვის სამეგრელოს აქვს სათანადო რესურსი. აუცილებელია, მომზადდეს ახალგაზრდა მსაჯთა კონტინგენტი, ისინი უნდა მოვიძიოთ. კარგი იქნება, თუ ამ საქმეში ჩაერთვებიან გოგონებიც. ყველა რეგიონს უნდა ჰყავდეს**

მსაჯთა ბრიგადები“, – აღნიშნა ანატოლი მილჩენკომ.

სოხუმის მკვიდრი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ფეხბურთში, ანატოლი მილჩენკო საქართველოს ფეხბურთის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას ძალისხმევით ისევ დაუბრუნდა ქართულ ფეხბურთს. მას ამჟამად ფეხბურთის ფედერაციაში რეგიონულ მსაჯთა კოლეგიის კურატორის თანამდებობა უკავია. სასიხარულოა, რომ უდიდესი გამოცდილების მქონე პიროვნება ახალგაზრდა მსაჯების მომზადების საკითხს ჩაუდგა სათავეში.

სააკაშვილმა აღიარა, რომ საქართველო ჯერ კიდევ დაუშვებლად ღარიბი და ცხოვრებას ჩამორჩენილი ქვეყანაა

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბიზნესდაჯილდოება **„მერკური 2011“**-ზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, ქვეყნის განვითარება მოქალაქეთა თანხმობას, ხანგრძლივ პოლიტიკურ პროცესსა და სტაბილურობას ეფუძნება.

„შვიდ წელიწადზე ნაკლებია, რაც ეს მთავრობა ხელისუფლებაშია. ეს არაფერი არ არის ისტორიული თვალსაზრისით. მენტალიტეტის ყველა დონეზე გამოსაცვლელად საჭიროა მინიმუმ 15-20 წელიწადი. პირადად მე ასე ვფიქრობ. ესაა მინიმალური ვადა, რომ შევიცვალოთ, შეუქცევადად დავადგეთ მდიდარი ქვეყნის გზას. ჩვენ ჯერ კიდევ ვართ დაუშვებლად დარიბები და ცხოვრებას ჩამორჩენილები“, – განაცხადა სააკაშვილმა.

სამაგიეროდ თავად ცხოვრობს ბედნიერად.

ერთხელ პარტიის ყრილობაზე ბრეჟნევს უთქვამს: მომვალ ხუთწლედში ჩვენ უფრო კარგად ვიცხოვრებთო.

– ჩვენ? – გაუბედავად უკითხავს ვიღაც ტრაქტორისტ-დელეგატს, რომელსაც შემდეგ უშიშროებაში დაარბენინებდნენ დაკითხვაზე.

ახლა ჩვენ გვინდა ვკითხოთ სააკაშვილს: თავადაც ისე გაჭირვებულად ცხოვრობს, როგორც მისი ხალხი?

ინგლისის დეფოფალი ომის დროს ბუხარს არ ანთებინებდა სასახლეში – ჩემს ხალხს სცივა და მე რატომ უნდა ვიცხოვრო ჩემი ხალხისაგან განსხვავებულ პირობებშიო.

არადა, სააკაშვილს რომ ჰკითხო, საქართველოს მეფობაც კი მეკუთვნის, რადგან წერეთლებისა და ბაგრატიონების შთამომავალი ვარო.

ნამდვილად არ მეგონა, წერეთელები და ბაგრატიონები თუ სომხები იყვნენ!

ახლა, რაც შეეხება ჩვენს სიღარიბეს! სიღატაკე და ერის გაძვალტყავება მაშინ უნდა გენახათ, სააკაშვილისაგან ესოდენ მოძულებული რუსეთი რომ არ ამოგვდგომოდა გვერდში (ქართველი ერის განადგურების მოწადინე სააკაშვილს შეიძლება ამიტომაც ეჯავრება რუსეთი). 800 000 ქართველი არის წასული საქართველოდან რუსეთში. დავუშვათ მათი ნახევარი 400 000 უგზავნის ფულს მარტო ერთ კაცს (მინიმუმზე გავთვალოთ) აქეთ. სამი მილიონ ორასი ათასი მაცხოვრებლიდან გამოდის, რომ მინიმუმ ნახევარ მილიონამდე, რუსეთიდან გამოგზავნილი ფულით ჭამს პურს და გულში რუსეთის მზეს ლოცულობს ხმამაღლა თუ ჩუმად.

მაშინ, ვერ გამიგია, ასე ჯიუტად რატომ ვაქცევთ ზურგს რუსეთს და რატომ **“ვეტენებით”** ამერიკას? იქნებ იმის გულუბრყვილო იმედით, რომ ამერიკა როდისმე საქართველოს დაკარგულ ტერიტორიებს დაუბრუნებს და გაამთლიანებს?

საინტერესოა ისტორიას თუ ახსოვს ამერიკის გაერთიანებული რომელიმე ქვეყანა. ვერცერთს ვერ დაასახელებთ. დაშლილი რამდენიც გნებავთ – (სერბია-კოსოვო), (ერაყი-კუვეიტი), კორეა/2, (ეთიოპია-ერიტრეა), ჩინეთისგან მოწყვეტილი ტაივანი, საქართველოდან განდევნილი ზვიად გამსახურდია, რასაც საბოლოოდ საქართველოს დაშლა მოჰყვა. ამერიკა მოყვრად მოსული მტერია, რომელსაც არც საქართველოს მთლიანობა აწუხებს და არც დემოკრატიის განვითარება უკრაინაში. მოვა დრო და ქართველები ამერიკის საელჩოს ნაღმსატყორცნებიდან გაუხსნიან ცეცხლს. ეს ოღონდ ცოტა გვიან, საქართველოს რომ შუაზე გაყოფენ, მაშინ იქნება.

ლექსები

ინგირი

ჟი თუნცუ დო თუდო ჭვენცუ,
გვალასუ კინე გვალა მობუ,
შქასუ ენოძუ გინძასუ უჩა
წკვარამია დიდი რობუ.
გიმე ინგირი მისირთინუნორჩი
მობურსუნცუ გვალო ყალა,
ქვიშათ ოჩქვანცე კირდეში ჭუასუ
წყურგილეფიშ ნაჩხარჩხალა.
მელენი კირდე მუნორთელი
ცარიანტაშე გიმეჯინე,
გოიკვირდუ თიში სისქვამე
ქადეკვირე ქიგიჭინე.
თუდო ჯინჯისი გუთურჩხუნცუ
ინგირი ტყორტყოში ჟვეპურითუ,
ნირსი ეხორცქუ ჩე თუმაჯგუა
თიში რგილი ყებურითუ.
მორძგვიშე ნესკრა გაკათოუ
ბუეწყარეფიში ნაჭნარჭვალა,
საპონიში თქვეთქვი ჯგურა
ირემიში გითანჭვალა.
უკული წელცუ გოფაჩუნქუ
ხაიშურასუ ქიკათუა,
მიკახორცქუქუ მელე-მოლე
ირფელცუ ართო ურგინჯუა.
ვაიჩქუ გვალა, ვაიჩქუ რზენი
ირფელცუ ოკო ენირზენი,
შონეში გვალა გეგმარჩხი დო
ზღვა თურქეთსა გემიშარზენი.

მურმან ფიფია-მახარიელი

კონსტანტინე

კონსტანტინე დიდ პატონსუ,
ბრეი უღუ ნაჭარეფი,
შხვაშ ნაჭარას ვეჭარუანქ,
თიშ ნაჭარაშ ნაჭარეფი.
შორენაში ყოროფაშენ,
შურ გესტურეს ცოდა უტას,
უტაჯგუა დდაქუ აშუ,
ქოვთქუათუნ, მის უჩქ, მუდას.
ყოროფილი ირიართო,
ღურაშ ორე მოცადინე,
ყოროფა დო ღურა ართრე,
ყათაშ ზოჯუნს კონსტანტინე.

(ფაუსტ ნადარაიას)

თე ნაჭარემს გურით გარძენქ,
მარდიერი გაფუქ დიდო,
სო ქოვთხიი დო ამარ ქარწყექ,
მა დოვგორი ლექსიშ ხვითო.
მარდიშენი მარდი რხვადუ,
დიდ ხანს ორდა მარდიშ მორგე,
მარგალურიშ მუკმაჯინე
ორექუდო მოკო ორდე!
ართი ორე მინჯეშოთუ,
ტაროზი დო მუნაფილი.
ვაკომირდვა კოჩქორექდა,
შური მაფუ ყუნაფილი.
მარტვილი, სალხინო,

ილია კუხალაშვილი

* * *

ჯვეში მარგალურს მუფერუათ,
თიფრთინუათ ნინა აშო.
ჯინჯ მარგალიშ ნადოხორ
მიქ მირჩქინ ამღა შხვაშო.
გელენჯიკი ჯანნაზიშირდ,
ომარიში ნიკოფსია,
მარგალი ჭყიშეფი მითირგინჯუდ
ტაბაკი უდგუდ ჯგირკოცია.

საკენს, წებედდა დო ლათას,
ორინჯი მუკორდუ ართი აგვართა,
გუდაუთაში გუდაში ყვალს
სელეგინით ალურდ ღურზული,
ადესას მუშენი თქუა
ჭაფურიად მიდგაქ ღუზუნი
დიოსკუა, დიდა სკუა,
დისოკურო გინორდელი,
მარგალიში შური იბურჯანს
სოდგა ვარდას მინორთენი.

გურიელი ჭითანავა

ბ უ რ ო ბ უ ა ე

ბორჯი მეორე

ეჰ, ბესო, მართლაც სრულიად სამურ - ზაყანოს ტრაგედიის მინიატურაში გამოხატულებაა ჩემი დეიდაშვილის ბე - დისწერა. თუმცა უმჯობესია ყველაფერზე თანამიმდევრულად:

– ციხე-სიმაგრე იმას კი არ ეკუთვნის, ვინც ააშენა, არამედ იმას – ვინც დაიპყრო...

მიჯობს აფხაზეთში აფხაზებმა ქართველი მიწოდონ, ვიდრე თბილისში თბილისელებმა – მეგრელი... მთელს ჩემს გამწარებულ ცხოვრებაში ერთადერთი ნუგეში ის არის, რომ ვერავითარი მტერი ვერ წამართმევს ჩემს სინდისს... (სტილი შენარჩუნებულია. **გ.ო.**)

ჩვენ მოვალენი ვართ ხალხს ვამცნოთ სიმართლე, ვინ ჩაიყვანა ისინი ჭაში ჩასახრჩობად...

არ მქონდა ზრახვა, არც შიში, ლტოლვილი ვყოფილიყავი და სამარცხვინოდ ფეხით გადამევლო კავკასიონის უღელტეხილი, თანაც იქ გზაზე ჩასაფრებულ ყაჩაღებს გავეძარცვე...

საშინელება ის კი არ არის, რომ დაგამცირეს, მოგატყუეს, გიღალატეს, როგორც ბრმა იარაღი გამოგიყენეს. საშინელება ისაა, რომ შენ ამისი დავიწყება არ შეგიძლია...

მარტო მაშინ გაქვს კაცს ცუდად საქმე, როცა სხვისი გასარჩევი გაგიხდება ცხოვრება...

სიმართლისთვის რომ იბრძოლო, ეს ნიშნავს თავი შესწირო ხალხს სამშობლოს საკეთილდღეოდ...

მთავარია ის, რასაც შენ გააკეთებ და არა ის, რასაც სხვა მოინდომებს...

ვერ შეიყვარებ უღმერთო და დაუნდობელ ადამიანს, ასევე შენც ვერ შეგიყვარებს უღმერთო და დაუნდობელი ადამიანი...

აფხაზებს თავგამოდებით ვებრძოდი, რათა ჩემი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა კი არ შემენარჩუნებინა, როგორც ამას უგუნურობით აცხადებს ზოგი, არამედ მე ვიბრძოდი სამშობლოსთვის. ვიბრძოდი, რათა ჩემი ხალხი გადამერჩინა და მეხსნა აფხაზური ტირანული სეპარატიზმისგან, ბრძოლის ველზე აფხაზებმა ვერაფერი დამაკლეს, მაგრამ თუნდაც ჩემი ერის ერთი შვილის დაკარგვა, ჩემი თავის დაკარგვის ტოლფასი იყო, და საოცარი უფრო ის არის, რომ ამ დროს დარწმუნებული ვიყავი, მოწინააღმდეგეც დაახლოებით ასე ფიქრობდა...

მე როგორც აფხაზურ-ქართული ომის მონაწილე უფროსმა ოფიცერმა მინდა საქვეყნოდ განვაცხადო, რომ ომი არის რეგრესი და არა – პირიქით, ომი სულიერ და უსულო საგნებს ანადგურებს. მათაც, ჯერ რომ საერთოდ არ შობილან, წვავს და სამოთხეს ჯოჯოხეთად აქცევს. მაგრამ შემზარავი და ყველაზე საშინელი ისაა, რომ ადამიანის მეხსიერებაში, მის შემეცნებაში სამუდამოდ დარჩება ის წარუშლელი კვალი წამებისა, რაც გადაიტანა ქართველმა ხალხმა, რომლის მსგავსი კაცობრიობას არ ახსოვს და რომლის წაშლა თვით ყოვლისშემძლე დროსაც არ შეუძლია...

ქვეყნად არ არსებობს მთა, რომლის მწვერვალი ადამიანს არ დაეპყროს, მაგრამ სავალალოდ თავის დაოკება არ ძალუძს. აგრეთვე არ არსებობს კონფლიქტიც ადამიანებსა და სახელმწიფოებს შორის, რომლის მოგვარება არ შეიძლებოდეს მრგვალი მაგიდის გარშემო, თუმცა საოცარი ისაა, რომ ადამიანები მხოლოდ გამანადგურებელი ომის შემდეგ ხვდებიან ამ ჭეშმარიტებას.

ყოველნაირი ძალადობა, მასობრივი დაუმორჩილებლობა, რასაც თავისთავად მოჰყვება იარაღის გასროლა და ადამიანების მსხვერპლი (ერთი მხარის დამარცხება და მეორე მხარის გამარჯვება, რომელსაც ზოგჯერ ისტორიულ მოვლენას – რევოლუციასაც უწოდებენ, მძაგს, რადგან ერთნაირად ისპობა სიკეთე და ბოროტება.

ომის პერიოდში, ქ, სოხუმში მე და ჩემი ამხანაგი შავი ზღვის ნაპირას ვდარაჯობდით ავტომატური იარაღით შეიარაღებულები. დაზვერვის პერიოდში ჩემმა ამხანაგმა ზღვისკენ მიმითითა, მე კი იარაღი მოვიმარჯვე, დავინახე ზღვის სანაპიროსთან ახლოს დელფინების ჯგუფი, რომლებიც არხეინად დაცურავდნენ და მაღლა ჰაერში ხტომით თამაშობდნენ, მე თავი ჩავქინდრე და მწარედ გამეცინა.

ჩემმა ამხანაგმა მითხრა, სროლის შედეგად ქალაქი იწვის, შენ კი რა გაცინებსო.

მე ვუპასუხე, ისე მივეჩვიე ომის შემდეგ ამ გამწარებულ ცხოვრებას, რომ არც კი წარმომედგინა თუ სადმე ნორმალური ცხოვრება იყო-მეთქი...

ლტოლვილობის პერიოდში ვინ მოიგონა ეს დაწყევლილი სიტყვა, ან საკუთარ სამშობლოში ლტოლვილობა გაგონილა; 1888 წლის ჩათვლით ჩემს სამშობლოში, საქართველოში, თუ მის ფარგლებს გარეთ, ჩემი ნათესავებისგან, ახლობლებისგან, ძველი თუ ახალშეძენილი ამხანაგებისგან, ზოგიერთის გამოკლებით, იმდენი დამცირება, დაცინვა, ღალატი, აბუჩად აგდება, ჩემი ცოდნისა და ავტორიტეტის ანგარებით გამოყენება და განვიცადე, რომ სანამ კაცობრიობა იარსებებს, ბევრიც რომ ეცადოს, დაკარგულ სულიერებას, ადამიანურ გრძნობასა და თვისებებს მაინც ვერ დამიბრუნებს...

მილიციის უმაღლეს სკოლაში რომ შეიყვანს ამერიკო ბიძია უფროს ვაჟიშვილ რაულს, დედაჩემი ლამის შეიცხადებს, რადგანაც მუნდირიანი ხალხი ჭირივით ეზარება. არ ვიცი ამისი მიზეზი რაა, ამბროსი ბაბუას ჯარში წასაყვანად მათ ოჯახს წარამარა ნასტუმრები ჩინოსნები თუ სხვა რამ, მაგრამ მესხიები ეგრე ისურვებენ და გასაკვირი არაფერია, რომ შემდგომში ბესოც და ჰენრიც მილიციის სამსახურში ჩადგებიან.

მე თბილისში გადამისვრის ბედი და იშვიათად ვაკითხავ მერმე მშობლიურ ყურე-სავანეს, ათასში ერთხელ ვნახულობ დეიდაშვილ-მამიდა- შვილებს, აი, ბესიკი – გამონაკლისი გახლავთ, განგება ისე ინებებსl რომ სულმუდამ შეაჯვარედინებს ხოლმე ჩვენს გზებს, საგულდაგულოდ გათვლილ-გაანგარიშებულივით, და ამიტომაც მიიოლდება საუბარი ამ, მართლაც და უნიკალური ბუნების ადამიანზე.

არასდროს დამავიწყდება მამაჩემის გარდაცვალება და განსაკუთრებით გასვენების დღე.

მამას დამბლა დაცემია, თითქმის თვენახევარია ებრძვის თურმე სიკვდილს, მაგრამ სწავლაში ხელი შეეშლებაო და დედა მხოლოდ უკიდურეს წუთს მიდეპეშებს, მამას საუბარიც არ შეუძლია, ტუჩების მოძრაობით ვუგებ, შემდეგ დედა იმპორტული წამლისთვის გამგზავნის კულაშს, უნდა თურმე მშობლის აღსასრულს ამარიდოს, განშორებისას მამა ძარღვიან მარცხენა ხელს მომიჭერს, სამი თხოვნა შემისრულეო, გამენდობა, მე თავს ვუქნევ.

– არაყი არ დალიო დასათრობადო, – მეჩურჩულება, ამით თითქოს ხაზს უსვამს საკუთარ შეცდომას, რომ აფთიაქის სპირტმა მოინელა:

რამდენგზის მინახავს ფულისთვის თუ ჰემატოგენისთვის მისულს გაფცქვნილ ხახვთან, გლუკოზის აბებთან, ნაჭერ პურთან მოქეიფე დანაყოფებიანი მენზურით ხელში.

თორმეტი საათი ძლივს იქნება, აქ შემოტეულან ხარაზი ჩონჩორ ჯოჯუა, საბჭოს თავმჯდომარე ავქსენტი გითოლენდია, გაურკვეველი პროფესიის შალიკო წარაღბაია გადმოტრიალებული თვალებით, სოფლის დალაქები – მისაკ ჭანია, ვაჟიკო ხვინგია, მამაჩემის ნათლული რაჟიკო მარღანია, სილოვან ხუფენია, სხვებიც.

– ოოო, მიხიჩს გაუმარჯოს, – ორივე ხელს ამიწევს კიბორჩხალასავით გაწითლებული ჩონჩორ ჯოჯუა. – სანამ მამას უნახიხარ, გადაჰკარიო, – და მომაწვდის ორმოცდაათ გრამამდე შეზავებულ სპირტს.

სილოვანი თვალებს დაუბრიალებს, ხომ არ გასულელდიო და ზურგში მიბიძგებს.

– ჩემზე ნაკლები შვილები არ იყოლიო, – მამის მეორე სურვილია. ბოლოს ფიქრობს, ფიქრობს და – სირცხვილი არ მაჭამო, შვილოო, მომავედრებს, და მეც შეძლებისდაგვარად ვუსრულებ დანაბარებს, მართალია, არაყს და კონიაკს გავურბივარ, თუმცა მათ ფუნქციას ხშირად ღვინოს ვასრულებინებ. ოცდათხუთმეტი წლისა დავქორწინდები, ორი ასული და ერთი ძე შეგვეძინება. რაც შეეხება სირცხვილს, ცხოვრებას ვერაფრით ვეთანაწყობი. სახელ გულადს გურით შევიცვლი და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში ფარსმან სპარსის შეგონებას მივეყრდნობი, იმის იმედით, რომ საწერ მაგიდასთან მაინც გავუსწორდები ყოველგვარ ამორალურს და სატანურს.

დიდთოვლობაა.

კუტიკარი ღია რომ მხვდება, გული ყველაფერს მიგრძნობს.

მამას ხომ თავად ჩამოვიყვან სოხუმის რესპუბლიკური საავადმყოფოდან; იქ ოტობაიელი დასტაქრები, ანტუშა, ანტონ ბაგათელია და ნაპო მესხია დასტრიალებენ თავზე.

სააფთიაქო სამმართველოს ოტობაიელი უფროსი, შოთა ქირთბაია იმპორტულ წამლებს მოაყრის მის სასთუმალს, მაგრამ ეთილის სპირტით დაფერფლილ ღვიძლს ეშველება განა რამე;

ჰოდა, ბღავილით გულმოჯერებულს ჩემიანები თავს რომ მეხვევიან, მხოლოდ ამერიკო მესხია მომაწოდებს სიგარეტს, კარგად მახსოვს, – „კოლხეთის„ კოლოფიდან ერთ ღერს ამოიღებს, ასანთსაც თვითონ გაჰკრავს და აცახცახებული ხელით შემომაგებებს.

ნაპო ბიძიას ერთადერთი ძმა სილოვანი გვარიანი ხნის გამოგლოვილი ჰყავს და მაინც გახუნებული სატინის შავი ბლუზა აცვია, მარჯვენა მხარზე დამასვენებს მაჯას, მომიჭერს მერე ტკივილამდე და ამასღა მეტყვის:

– გამაგრდი, აწი შენ კაცი ხარ, – ამის გამგონს ნიკაპი ამითრთოლდება.

ასე დასრულდება ყველაფერი, ასე ჩავეწერები მამრების სათვალავში.

მხარზე მიტყაპუნებენ დასანუგეშებლად მეზობლის კაცები, ნათესავები გულში მიკრავენ, დამქვითინებენ ქალები, მაგრამ ამერიკო მესხიას მოწოდებული სიგარეტი და ნაპო ბიძიას მხარზე ხელის დასვენება გაცილებით მეტს მოიმოქმედებს, ვიდრე მთელი საჭირისუფლოს ქომაგობა.

თვით ამერიკო მესხიას ძმასავით შეერაცხა მიხა. როგორც მამაჩემს ეძახის ხოლმე, მრავალთა უღალატო მიხა, მისი ცოლ-შვილის ღვიძლ ძმასავით მეურვე უმისობის ჟამს, ჰოდა, ამას იმიტომ ვყვები, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ბესო მთლად დადნება ზლუქუნისგან, მე უკვე ვერ ვიცრემლები, დედაკაცები რაიმე გულის ამაჩუყებელს თუ დაატირებენ მიცვალებულს, მხოლოდ მაშინ ავთრთოლდები, ეგ არის და ეგ, ბესო კი ხელით დასამაგრებელია ეზოდან ცხედრის გასვენებისას.

მერეც მეტყვის დეიდაშვილი:

– სულ აფთიაქის წინ ხიდურის ამოშვერილ ბეტონის მერხზე იჯდა მიშა ბიძია და როცა სკოლაში გაკვეთილები დამიმთავრდებოდა, გამომიხმობდა ტოლამხანაგებისგან, რამდენიმე ცალ გემატოგენს მიფეშქაშებდა, თან პურის საყიდელ ფულსაც ჩამიკუჭავდაო.

მამაჩემის გარდაცვალების პირველ ზაფხულს ბიქტორ ბაბუას ვესტუმრები სოფელში.

ზღვისკენ გავეშურებით ალიონზე, იქ თხმელის ტოტებისგან საჩრდილობელს გავმართავთ, გავშლით ჭილოფს და ვერთობით პოეზიაზე, ხელოვნებაზე, საწუთროზე მუსაიფით.

პაპაჩემი, მითქვამს, ფერშალია, პირველი სამამულო ომის დროს ევროპაშემოვლილი, ძარღვიანი მოხუცი, ვაჟაფშაველასეული წვივებით.

შევცურავთ ზღვაში, მხარულით მივიწევით წინ, ვგრძნობ, მცდის, მეშინია მისიც, ჩემიც, მაგრამ გატყდომა დედლობაა.

მოვიხედავ უკან და ნაპირი სადღაა;

ვფიქრობ, ვაითუ გულმა უმტყუნოს, მერე და სად მიდიხარ; მოხუცის მიხმარებას ვინ ჩივის, საკუთარ დაღლილობას ძლივს ვუმკლავდები, სხვა გამოსავალიც არაა, მალიმალ გულზე ვიდებ ხელს, ამჩნევს ამ მოძრაობას ბერმუხა, მიწისფერი გადაურბენს სახეზე.

– ჰოიტ, სი ჩიჩიეო! – მიცაცხანებს, მაგულიანებს, მეჭიდება და ნაპირისკენ მიმაქანებს ძალად მოშვებულს.

ისე აღესრულება ჩემი სულიერი მამა – პაპა ბიქტორი, ბიქტორ ფეტელავა, რომ ამის თაობაზე კრინტს ვერ დამაცდენინებს, ან დამიჯერებს კი? ასე რომ, მე მის თვალში დავრჩები ცხოვრებისთვის უვარგის შთამომავლად, ვისაც ლელოს ბოლომდე გატანა ნაკლებ ხელეწიფება.

– ღვინოს, სიგარეტს და ქალებს მოერიდე, – ბაბუა ბიქტორის სიტყვებია, მისი კრედოა, მაგრამ ოღროჩოღრო წუთისოფელი გარონიებს განა სულმნათი წინაპრის ფასდაუდებელი ანდერძისამებრ?

ორმოცდაექვსს მიტანებული ვრწმუნდები: ნათესაური სიყვარული ყოველდღიური ურთიერთობიდან, უღალატო თანადგომიდან მოდის, რომელიც თანდათან უქრება თომასა და ამბროსის, ბიქტორისა და დიანოზის, თედოსა და მაქსიმეს მრავალრიცხოვან ნაშიერს.

ახლა ამბროსი ბაბუა, – „თომაშ შურმეო", იტყვის ხოლმე და ამ ორად ორ სიტყვაში იტუმბება ყველაფერი – მეტი შეპასუხება უმაქნისია, ვინაიდან მკვდარი ძმის დაფიცების მერმე ამბროსი გელენავა კლდიდან გადაიჩეხება თუკი ამას საჭიროება მოსთხოვს, მაგრამ შვილები; ნუთუ მათში არ გადანაწილებულა სრულყოფილი ენერგია?

ვამბობ და ვიმეორებ , თვისტომის გაფანტვა, საკუთარ კერიებში განმარტოება, ერთხელ და სამუდამოდ გააცივებს, გაანელებს გელენავების, ფეტელავების, მესხიების, ბაგათელიების, კაკუბავების, ხუფენიების თუ სხვათა ღვთით კურთხეულ ერთიანობას. ჩააწკვარამებს და აფხაზეთს – აფსუას ტყვია კი არ დაგვაკარგვინებს, ჩემთავმკვდრებო, გუდამაყრელი გოდერძი ჩოხელისებურად, არამედ – საკუთარ მეობაში უსულგულო ჩანახშირება. საკუთარი პრობლემებით შემოზღუდვა-შემოფარგლვა. ჭინჭებს და კომფორტს გამოდევნება. დავიწყება იმისა, რომ შეიძლება შენს ობოლ დისწულებს თუ ძმისშვილებს ამ ყიამეთ ღამეში შიათ, შეიძლება ლუკმა პური მილიონი უღირდეთ, შენ რომ ერთი პერანგი მოიკლო ათის პატრონმა და მათ უწილადო, არაფერი დაშავდება, ისინი კი ასმაგად გაიხარებდნენ, ასმაგად გაიმართებოდნენ წელში შენგან დავალებულნი, მაგრამ უგულისყურობა, წაყრუება, თვალის დახუჭვა მოყვასის გასაჭირზე ბადებს ახალ საშინელებას, რომელსაც პრიმიტიულად შეიძლება შურისგება ვუწოდოთ: კბილი – კბილის წილ, თვალი – თვალის წილ, მსგავსი გულცივობის წილ – მსგავსი გულგრილობა, და ოდესღაც სიყვარულით გამთბარ სივრცეს ურთიერთ შორის გამყინვარების მერიდიანები დაქსელავენ.

გაოცებული დავრჩები ქრისტიანული სულისკვეთებით აღზრდილი კაცი, – **„ურჯულოთა წიგნად"** წოდებული —ყურანის წაკითხვით, შეხედეთ, დასტკბით, როგორი სიმკაცრითაა იქ განსაზღვრული დაობლებული ძმისშვილებისა და დისწულების მეურვეობის საქმე? ან რა ნაირი ჰუმანურობაა ჩაქსოვილი ვალის მიტევების, პატიების თვალსაზრისით.

ჩვენ კი, ქრისტიანებს, ვითომ ჭეშმარიტების ერთადერთ მფლობელებს, მიგვავიწყდა უარაფროთა, ქვრივ-ობოლთა და დავრდომილთა ხელგამართვა. რომ უწინარესი მოვალეობა ნაზარეველის ნაბოძებ ცნებათა შორის, ალტრუიზმია, სხვისთვის ღვაწლი, თავდადება სიტყვით და საქმით. რამეთუ ბიბლია იტყვის: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენიო. უფალი მაცხოვარი კი დასძენს: მტერიცო და აქ ყოველივე განსაზღვრულია, ვინაიდან სიყვარული მატერიალური თუ მორალური თანადგომის გამორიცხვით – ნონსენსია, თუმცა ეს ყველაფერი – განსასჯელად.

მრავალთა შორის უმთავრეს მიზეზთა მხარდამხარ, ალბათ, საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტვა და სხვათათვის თავდადების უნარის დაჩლუნგება თუ მობლაგვება, (რომელიც მოჭარბებულად არგუნა უფალმა პაპაჩემ თომა გელენავას, მის თანატოლებს დროსა და სივრცეში: ბიქტორ ფეტელავას, დიანოზ მესხიას, თედო ხუფენიას თუ მრავალს, შეგვმუსრავს ხორცძვლიანა და გამობუნძურებულნი თუ ვართ, ძირძველი მიწის მკვიდრნი, ჩვენი წმიდათა წმიდა სამარხებიდან, ყველაფრის თავი და თავი ეგ არის, ადამის ნაშიერო, მერე და მერე უფრო ნათლად დავინახავთ ამ გულგრილობა-სიცივის დამანგრეველ შედეგებს, როცა ჩვენი სანათესაოს ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი ცარიელ-ტარიელზე აღმოჩნდება.

საკენის უღელტეხილით წამოხეტებულებს, სვანი ხალხის სახელით, შლემიანი ბანდიტები ნიფხავში დაუწყებენ იარაღის —ძებნას! ჩვენს დედებს დებს და იქიდანაც ამოაცლიან უკანასკნელ დანაზოგს ოქრო-ვერცხლის თუ ფულის ნიშნის სახით.

გური ფეტელავა

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

როჟე მილა

დაიბადა 1952 წლის 20 მაისს, კამერუნში.

თამაშობდა კლუბებში **"ლეოპარდი", დუალა, "ტონერი"** იაუნდე (კამერუნი), **"ვალანსიენი", "მონაკო", "ბასტია", "სენტ-ეტიენი", "მონპელიე"** (საფრანგეთი).

1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ყოველი გოლის გატანის შემდეგ, სტადიონზე მისულ მაყურებელს მეტად ამხიარულებდა როჟე მილას (მისი ნამდვილი გვარია მილერი) მიერ **"გამარჯვების"** მუცლის ცეკვა მოედნის გვერდით დროშასთან. შედეგიანი თამაშის წყალობით, და იმიტომაც, რომ კოლუმბიასთან გამართულ მერვედფინალურ მატჩში გაიტანა გადამწყვეტი გოლი, როჟე მილა პირველი აფრიკელი სპორტსმენი გახდა, რომელიც ორჯერ აღიარეს **"შავი კონტინენტის"** საუკეთესო ფეხბურთელად. მისი საკლუბო კარიერა ძირითადად საფრანგეთში წარიმართა, რადგან ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელი ფრანგულმა კლუბმა **"ვალანსიენმა"** შეიძინა საკმაოდ სოლიდურ თანხად. საფრანგეთში, როგორც იტყვიან, მილამ საკუთარი თავი **"აღმოაჩინა"** და მალე ფრანგული ფეხბურთის ლიდერად იქცა. იგი ორჯერ დაეუფლა საფრანგეთის თასს: 1980 წელს **"მონაკოს"** შემადგენლობაში, და 1981 წელს – **"ბასტიის"** შემადგენლობაში. აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად მილა პირველად აღიარეს 1976 წელს. როგორც იტყვიან, მილა **"ტკბილად შეაბერდა"** საფეხბურთო მოედანს. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე იგი 42 წლის იყო და შეცვლაზე გამოდიოდა, მაგრამ დიდი დისონანსი შეჰქონდა თამაშში. აქაც კი, მან მაშინ გაიტანა გადამწყვეტი გოლი, როცა მისი სამშობლოს გუნდს საკმაოდ უჭირდა და აღტაცებულ მაყურებელთა შეძახილებით გამხნევებულმა შეასრულა **"ტრადიციული"** მუცლის ცეკვა. სწორედ ამ ჩემპიონატში მონაწილეობამ გახადა მილა რეკორდსმენად – იგი დღესაც რჩება ერთადერთ ფეხბურთელად, რომელმაც 42 წლის ასაკში მიიღო მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში.

მილოშ მილუტინოვიჩი

დაიბადა 1933 წლის 5 თებერვალს, იუგოსლავიაში.

თამაშობდა კლუბებში **"ბორი", "პარტიზანი"**, საფეხბურთო კლუბთა გაერთიანება, ბელგრადი (იუგოსლავია), **"ბავარია"** მიუნჰენი (გერმანია), **"რასინგი"**, პარიზი, **"სტად ფრანსეზი"** (საფრანგეთი).

მილოშ მილუტინოვიჩი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას შემორჩა როგორც მეტად ძლიერი, სწრაფი და აგრესიული ცენტრფორვარდი. მისი აგრესიულობა განისაზღვრებოდა შედეგიანობით, თორემ მილუტინოვიჩი მეტად კორექტული სპორტსმენი გახლდათ და იშვიათად **"იკიდებდა"** ხოლმე ჯარიმებს. იგი გახლდათ მილუტინოვიჩების ცნობილი საფეხბურთო დინასტიის თავკაცი, რომელსაც ეკუთვნოდა ბორა მილუტინოვიჩის. იგი აშშ-ს საფეხბურთო ნაკრებს წვრთნიდა მსოფლიო ჩემპიონატზე. მილოშმა თამაში კლუდ **"ბორაში"** დაიწყო, 1951 წელს კი შედგა მისი დებიუტი იუგოსლავიის ეროვნულ ნაკრებში, რამაც ადგილი დაუმკვიდრა მას იუგოსლავიის სახელოვან საფეხბურთო ელიტაში. მილოში იმავე წელს გადაიყვანეს იუგოსლავიის უძლიერეს საფეხბურთო კლუბ **"პარტიზანში"**, რომელიც არმიელებს ეკუთვნოდათ და რომელსაც პირადად პატრონობდა დიქტატორი იოსიპ ბროზ ტიტო. ამ გუნდის შემადგენლობაში მილუტინოვიჩმა 192 მატჩი ჩაატარა და 183 გოლი გაიტანა. შემდეგ კი გარკვეული სკანდალის გამო მიატოვა გუნდი და საფეხბურთო კლუბთა გაერთიანებაში გადაინაცვლა. შემდეგ მილუტინოვიჩი გერმანიაში გადავიდა და **"ბავარიაში"** ჩაირიცხა. საბოლოოდ იგი საფრანგეთში დამკვიდრდა და ამ ქვეყანაშიც დიდად გაითქვა სახელი, როგორც შედეგიანმა ფორვარდმა. თავიდან იგი პარიზის **"რასინგში"** თამაშობდა, მაგრამ 1965 წელს, როცა იგი თავისი დიდების ზენიტში იმყოფებოდა, ბედმა უმუხთლა – მეტოქესთან შეჯახებისას უხერხულად წაიქცა და ფეხი მოტეხა, რაც მისი კარიერის დასასრულად იქცა. მილუტინოვიჩმა იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაში ჩაატარა 33 მატჩი და გაიტანა 16 გოლი.

სევერინო მინელი

დაიბადა 1909 წლის 6 სექტემბერს, შვეიცარიაში. თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში **"კუსინახტი", "სერვეტი", "გრასჰოპერსი"**, შვეიცარია.

სევერინო მინელი ცნობილი გახლდათ როგორც კერკეტა კაკალივით მაგარი და მეტად საიმედო მარჯვენა მცველი. მას ფეხბურთის თამაში უწევდა მაშინ, როცა მოწინააღმდეგის კარს ხუთი ფეხბურთელი უტევდა და, ამიტომ, საკუთარი კარის დაცვა მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმე გახლდათ. პირველი და მეორე მსოფლიო ომის შუალედ პერიოდში მინელმა შვეიცარიის ნაკრების შემადგენლობაში 79 მატჩი ჩაატარა, რაც იმ დროისათვის შვეიცარიის რეკორდად ითვლებოდა. მისი დებიუტი შვეიცარიის ეროვნულ ნაკრებში შედგა 1930 წელს და იმავე სეზონში გახდა შვეიცარიის ჩემპიონი ქალაქ ჟენევის საფეხბურთო კლუბ **"სერვეტის"** შემადგენლობაში. მომდევნო ცამეტი წლის განმავლობაში იგი კიდევ ოთხჯერ გახდა შვეიცარიის ჩემპიონი, მაგრამ უკვე ციურიხის კლუბ **"გრასჰოპერსის"** შემადგენლობაში. მინელი მთავარ ფიგურად ითვლებოდა შვეიცარელთა დაცვის ხაზზე და მას გუნდის **"კარის გასაღების"** მფლობელს უწოდებდნენ. იგი თამაშობდა იმ საიმედო სქემით, რომელიც შეიმუშავა მისმა თანამემამულემ, ასევე დიდმა ფეხბურთელმა კარლ რაპანმა.

სევერინო მინელი მონაწილეობდა 1934 და 1938 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში, სადაც, მართლია, შვეიცარიელებმა ოქროს მედლები ვერ მოიპოვეს, მაგრამ ყველას დაამახსოვრეს თავი როგორც კორექტულმა და მაღალტექნიკურმა ფეხბურთელებმა. 1938 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ყველაზე დასამახსოვრებელი გამოდგა შვეიცარიელთა მატჩი ინგლისის ეროვნულ ნაკრებთან, სადაც შვეიცარიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1 და გათამაშების მომდევნო ეტაპზე გავიდნენ. ამის შემდეგ მინელმა ფეხბურთის თამაშს თავი გაანება.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

* * *

ლუდით დასალევი სადღეგრძელო:

– ეს იმ კაცს გაუმარჯოს, თავისი ცოლის საყვარელს რომ ეტყვის, ჩვენ ერთი გუნდი ვართო!

* * *

ექიმის და პაციენტის დიალოგი:

– ექიმო, რა არის ყველაზე კარგი დაავადება?

– მუნი, – მოგეფხანება და მოიფხან.

– და ყველაზე ცუდი?

– ბუასილი, ბატონო. ვერ შენ დაინახავ და ვერც სხვას აჩვენებ!

* * *

– მეეტლეო, არ შეგიძლიათ უფრო ჩქარა იაროთ?

– როგორ არა, მაგრამ ცხენს მარტო ხომ არ დავტოვებ!

* * *

– მამა, ბაბუა გცემდა, ბავშვი რომ იყავი?

– რა თქმა უნდა.

– ბაბუას სცემდა მამა ბავშვობაში?

– სცემდა.

– იქნებ მე და შენ მოვუღოთ ბოლო ამ შთამომავლობით სადიზმს?

* * *

მიხო ექიმთან მიდის:

– ძალიან მძიმედ ხარ, ქალებს და ღვინოს საერთოდ არ გაეკარო.

– აბა, დუდუკი უკან გაიკეთე!

* * *

სასაფლაოს შესასვლელში დაკიდული წარწერა:

– ცალმხრივი მოძრაობა!

სახალხო მოძრაობა „სამეგრელომ“ 26 მაისი განსხვავებულად აღნიშნა.

როგორც საქინფორმის რეგიონული კორესპონდენტი სამეგრელოში ზუგდიდიდან გვატყობინებს, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე ზურაბ კვარაცხელიამ და ამ მოძრაობის წევრებმა გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას ბიუსტი, რომელიც 9 წლის წინათ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ლიდერ ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივითა და ძალისხმევით დაიდგა ზუგდიდში.

„26 მაისს ჩვენ აღვნიშნავთ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მე-20 წლისთავს, როგორც ხელისუფლება აცხადებს, არამედ აღვნიშნავთ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევისა და მერაბ კოსტავას დაბადების დღეს. რაც შეეხება დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს დღე უნდა აღინიშნოს არა 26 მაისს, არამედ 9 აპრილს, რომელსაც, რატომღაც, როგორც შევარდნაძის, ისე სააკაშვილის ხელისუფლება უგულებელყოფს“, – აღნიშნა ზურაბ კვარაცხელიამ.

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“

ცისფერებმა სამეგრელოსკენაც გეი-სეირნეს

ამას წინათ გაზეთმა **"ტაიმმა"** გამოაქვეყნა ვიდეო ზუგდიდელი გეის, 19 წლის გიგი მანიას **"გულისტკივილი"** იმის თაობაზე, რომ თავის **"მეგობარ"** ბიჭთან ქორწინება თურმე იმიტომ არ შეუძლია, რომ საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინება დაშვებული არ არის! წერილის სათაურია **"ზუგდიდელი გეები ქორწინების უფლებას ითხოვენ"** (დაკვირდით ამ სათაურს, რომლის მიხედვით, მთელი თუ არა, ნახევარი ზუგდიდი მაინც პედერასტია). **"შეყვარებული"** ბიჭის გულისტკივილით გამსჭვალული **"ტაიმი"** გულისწყრომას გამოთქვამს აღნიშნულის გამო და იმედოვნებს რომ საქართველოს ხელისუფლება მალე გამოაწორებს ამ ლაფსუსს და ქართველ ერს გოიმების კატეგორიიდან ევროპელთა კატეგორიაში გადაიყვანს.

ერთსქესიანთა ქორწილები მერე ნახეთ თქვენ, **"დემოგრაფიულ აფეთქებაზე"** რომ არაფერი ვთქვათ!

მართლაც ვაი ჩვენს პატრონს, უბედურს!

მაგრამ, თუ ინგლისელი მომღერალი **"მამაკაცი"** ელტონ ჯონი ჯონი გაათხოვდა, ზუგდიდელმა გიგიმ და ძუკუმ რა დააშავეს? ნუთუ მათაც არა აქვთ უფლება რომ **"ბედნიერი ოჯახი"** შექმნან? ცოტა მოიცადონ და თუ საქართველოს პარლამენტმა არ მიიღო ერთსქესიანთა ქორწინებაზე კანონი, თეა თუთბერიძის წარმოსახვაში არსებულ ეკლესიაში მივა რომელიმე პედერასტი იეღოველი მოძღვარი და ის აუცილებლად დასწერს ჯვარს.

ბიბლიური შთაგონებით აღფრთოვანებულებმა იარონ მერე ხელხიხელჩაკიდებულებმა მდინარეებსა და ზღვებზე და სამეგრელოს ჭაობები მათ ფეხისგულებსაც კი არ დაუსველებს!

როგორი პარსპექტივაა?

ეს მწარე ხუმრობით, თორემ საქმე რომ ბევრად სერიოზულადაა და უჯიშოთა ხელისუფლებას საქართველო გარყვნილების ზღვაში ჩასაძირად და დასაღუპად რომ მიჰყავს, ეს უკვე ეჭვს არ იწვევს!

ჯერ იყო და ჭიაბერაშვილმა დაგვმოძღვრა: **"ქართლის დედას ხელში რომ თასი უკავია, თასი კი არა, ფალოსიაო..."** ქალაქის მერობიდან კი **"ჩამოალაბორანტეს"**, მაგრამ ელჩად გაუშვეს.

მერე ლაშა ბუდაძემ შეიჭვრიტა წმინდანი მეფის თამარის საძინებელში და სიბინძურის კორიანტელი დაატრიალა, რითაც ძალიან მოიმადლიერა **"ნაციონალები"**...

შემდეგ ქუთაისელმა **"მწერალმა"** დეისაძემ იკადრა უკადრებელი და თავის ნაბოდვარში ჩაწერა: **"დედაჩემი რომ პირჯვარს იწერდა, მე მიდგებოდაო"**. ალბათ ეგონა, რომ ამგვარი მკრეხელობისათვის **"ნაციონალები"** ფულადი თანხით ან თანამდებობით დააჯილდოვებდნენ, მაგრამ შეცდა...

ახლა, ალბათ ვიდაც გადაბვარებულ ზუგდიდელ გიგას მანიას ფული შემოაკლდა და ამიტომაც გააკეთა ასეთი გულისამრევი განცხადება, რათა **"ნაციონალების"** ფავორიტი გახდეს. მაგრამ, ახლავე თუ არ განვჭვრიტეთ, თუ რა ვერაგობა იმალება ამ **"უწყინარი"** განცხადების მიღმა, შეიძლება საქართველოზე თავსდატეხილი მთელი ეს უბედურება მეგრელებს დაბრალდეთ!

მაგრამ, ეტყობა არც მთლად მასეა საქმე, რადგან **"ლეგალიზებული"** მეგრელი პედერასტი თავის ინტერვიუში ამბობს: **"ძალიან ხშირად არის შეურაცხყოფები ქუჩაში, ჩემი ჩაცმულობის გამო მეძახიან უხამს სიტყვებს. "პიდარასტებო", გაეთრიეთ ზუგდიდიდან", "თქვენი ადგილი ჰოლანდიაშია"** (რას ემართლებით ზუგდიდელებს ამგვარი სიმართლის გაჟღერებისათვის – **"ილორი"**), **"ერის გადამჯიშებლებო"** და ა.შ... **ერთხელ, გვიან დამით, სახლში ფეხით მივდიოდი, დამხვდნენ და ფიზიკურად გამისწორდნენ, რაც მქონდა – ტელეფონი, საათი, საფულე, ყველაფერი წამართვეს, რაც მეცვა, ისიც კი გამხადეს, ასე მოუხდებათ შენნაირებსო... საზოგადოება უვიცია და ვერ ხვდება, რომ მე არაფერს ვაშავებ იმით, რომ კაცი მიყვარს და არა ქალი...“**

კაი, ბატონო, შენ ვინც გინდა ის არარაობა იყავი, მაგრამ სხვები არ უნდა მოწამლო და თავს არ მოახვიო შენი ავადმყოფური მიდრეკილებები!

ჯანდაბას შენი თავი, რადგან, ღმერთმა შენნაირებს შიდსი მოუვლინა სასჯელად და მალე გადაშენდები იმქვეყნიურ გეებთან, სადაც **ჯოჯოხეთის** კარს შეგიღებენ ფრედი მერკური, რუდოლფ ნურიევი და სხვა ის ჰომოსექსუალები, რომლებიც სწორედ შიდსმა გააგზავნა მოუსავლეთში.

მანამდე კი **"მაგრად დადექით"** და თუ თქვენი მფარველი და წამხალისებელი ხელისუფლება დროულად არ გადავთესლეთ საქართველოდან, შეიძლება მართლაც დაგრთონ ნება ერთსქესიან ქორწინებაზე.

აი, რა იქნება საქართველოს დასამარება!

მაგრამ, იმედია, რომ საქართველოში ეს ჭირი სამეგრელოდან არ გავრცელდება!

"ილორი"

გაზეთ "ილორის" მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთ "ილორზე" ხელმოწერა შეგიძლიათ გააფორმოთ შპს "საქპრესასთან" (ქვეყნის მასშტაბით). ტელ: (832) 518-518 და ს/ს "მაცნესთან" (თბილისის ფარგლებში), ტელ: 14-39-06.

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა შაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27